

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

*გუძღვნით პროფ. აბელ სურგულაძის  
ნათელ ხსოვნას*

**სოციალურ მეცნიერებათა  
საკითხები**

I

**შრომების კრებული**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2009**

**YDC (უაკ) 316 (051)**  
**ს 743**

**„სოციალურ მეცნიერებათა საპითხები“ გამოდის 2009  
წლიდან**

**რედაქტორი:**

**ირაკლი მანველიძე**

**სარედაქციო საბჭო:**

რეზო მანველიძე, მერაბ ხალვაში, კახაბერ  
სურგულაძე, ქთუვან ჯიჯეიშვილი (თბილისი),  
თენგიზ გრიგოლია (თბილისი), ბესი ბერიძე,  
ვაჟა შებიოძე (თბილისი), გურამ ჩაგანავა,  
ნოდარ ბარამიძე, მალხაზ სიორიძე, ეთერ  
ბერიძე, ინეზა ზოიძე, ნუჯ ზარ ზოსიძე, ნატალია  
ლაზარი, ირინა ცინცაძე, ელენა გუბარაძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)

**ISSN 1987-7686**

**© სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №417.

E-mail [irakli.manvelidze@yahoo.com](mailto:irakli.manvelidze@yahoo.com)

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009**

თბილისი, 0179, 0. ვავავაძის გამზ. 19, ჟ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

**Shota Rustaveli State University**

**Faculty of social sciences, business and law**

**Department of Social Sciences**

# **Problems of Social Sciences**

**I**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universali“  
Tbilisi-2009**

**Issued since 2009**

**Editor**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Rezo Manvelidze, Merab Khalvashi, Kakhaber Surguladze, Ketevan Djidjeishvili, (Tbilisi), Vaja Shubitidze (Tbilisi), Tengiz Grigolia (Tbilisi), Malxaz Sioridze, Besik Beridze, Nodar Baramidze, Ilia Kechekmadze, Guram Chaganava, Eter Beridze, Natalia Lazba, Irina Tsintsadze, Ineza Zoidze, Nugzar Zosidze, Elza Putkaradze (Secretary)*

**ISSN 1987-7686**

**© The Department of Social Sciences**

**Address: 1417, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,  
E-mail irakli.manvelidze@yahoo.com**

Publishing House “UNIVERSAL”

---

TBILISI, 0179, I. CHAVCHAVADZE AVE. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ରେଣ୍ଡାଫିଲ୍ଡିସାବାନ

ქვირფასო მკითხველო, „სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემაა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს დეპარტამენტი ორი წელია ფუნქციონირებს. იგი აერთიანებს სამ მნიშვნელოვან პროგრამულ მიმართულებას: პოლიტიკური მეცნიერებები, ფინანსურული და ჟურნალისტიკა. შესაბამისად, დეპარტამენტი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე, ემსახურება სამი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილებას – საერთაშორისო ურთიერთობები, ფინანსურული და ჟურნალისტიკა.

დეპარტამენტის სტრატეგიული ხედვა ითვალისწინებს ადგილზე კადრების გაძლიერებას და კვალიფიკაციის ამაღლებას როგორც სახწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. მით უფრო ამ დარგში სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე იშვიათობას წარმოადგენს.

შრომების კრებულის გამოცემით გესურს დეპარტამენტში საფუძველი ჩავუდინოთ ბეჭდური გამოცემის ტრადიციას, რომელიც კუთვნილ ადგილს დაიკავებს ეროვნულ სამეცნიერო სივრცეში. ამასთან, სარედაქციო საბჭო, არ იფარგლება დეპარტამენტის თანამშრომლებით.

კრებულის მიზანია, დაეხმაროს დეპარტამენტის წევრებს და სხვებსაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებს მეცნიერული პროდუქციის გამოქვეყნებაში, საზოგადოებას გააცნოს მათი მეცნიერული ინტერესების სფერო, კვლევის დონე და შესაძლებლობები. ასევე, სიამოქნებით დავბეჭდავათ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა ნაშრომებსაც, რომელებშიც განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის, კონომიკური პოლიტიკის, სოციალური კონომიკის, დიპლომატიის, პოლიტოლოგიის, ადმინისტრირების და მენეჯმენტის, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, სო-

ცოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ა.შ. პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

ვფიქრობთ, აქ გამოქვეყნებული სტატიები დაეხმარება სტუდენტებს და ახალგაზრდა დამწყებ მეცნიერებს საკვლევი პრობლემატიკის განსაზღვრასა და მათი სამეცნიერო არგალის გაფართოებაში.

წარმოდგენილი კრებული და მასში დაბეჭდილი სტატიები, გვაძლევს საფუძველს ვთქვაო, რომ იგი იქნება სოლიდური, სერიოზული სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, რომელიც თავის წვლილს შეიტანს სამამულო მეცნიერების განვითარებაში.

ირაკლი მანველიძე  
25 ვარდობისთვე, 2009 წელი

## პოლიტიკური მეცნიერებები

### კახაბერ სურგულაძე

#### ციცერონი – ომის იდეოლოგი

ანტიკური ეპოქის უთვალსაჩინოები წარმომადგენელი მარკუს ციცერონი (106-43) მც.წ. I ს-ის 60-იან წლებში მოგვევლინა რომაული დამცყრობლური პოლიტიკის იდეოლოგად. დიდი ორატორის ეს პოზიცია ნათლად გამოჩნდა მითრიდატული ომების მსვლელობისას.

ძვ.წ. 74 წელს პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორის (120-63) წინააღმდეგ საომარი ოპერაციები დაევალა კილიკიის პროკონსულს ლუციუს ლუკულუსს. მან წარმატებული ბრძოლების შემდეგ დაიპყრო პონტო და 68 წელს დაამარცხა სომხეთი. ლუკულუსის გონებაში იყო პართიის დალაშქვრის იდეაც. არსებითად, ერთი კამპანიით ფიქრობდა იგი სამი სამეფოს დაყრობას. ამ გეგმის განხორციელებას თითქოს აღარაფერი აბრკოლებდა, მაგრამ ლეგიონერების აჯანყებამ მისი გეგმები ჩაალა.

აზის დაშქრის ამბოხის საფუძველზე რომმა ლუკულუსი მთავარსარდლობიდან გადააყენა. მართალია, ლუკულუსმა მოპოვა დიდი გამარჯვებები და თითქმის მთელი მცირე აზიაც დაიპყრო, მაგრამ სენატში სულ უფრო ხშირად ისმოდა უცმაყოფილოთა ხმები აღმოსავლეთში პონტოსთან საომარი კამპანიის უსაშველოდ გაჭირულების გამო. ოპონენტებს კრიტიკისათვის საკმაო საფუძველი პქონდათ. მესამე ომის დაწყებიდან უკვე შვიდი წელი იყო გასული. ამასთან, დაპყრობის მიუხედავად, აზია კვლავ ბობოქრობდა. ციცერონის შენიშვნით: „მითრიდატე იმდენად ძლიერია, რომ კვლავ აღადგინა თავისი საშუალებანი და ლაშქარიო“ (Cic., Pro L.Murena, 15, 33).

აშერა იყო, რომ აღმოსავლეთში ომის გაჭირულებამ რომაული ელიტის დრტვრინვა გამოიწვია. მან გადაჭრით მოითხოვა

პონტოსთან ომის მალე დასრულება, რომ ამით არა მარტო განემტკიცებინა რომის შერუეული პოლიტიკური პოზიციები აზიაში, არამედ უზრუნველყო იქ საკუთარი ინტერესებიც. ეს მისწრაფება ყველაზე მკვეთრად გამოხატა ციცერონმა, რომელმაც აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლად პომპეუსის დანიშვნასთან დაკავშირებით 66 წელს წარმოთქმულ სიტყვაში (De imperio Gn. Pompei, იგივე Pro lege Manilia) ჩამოაყალიბა აზიაში რომის აგრესიის გაფართოების პროგრამა. ამ სიტყვის ლაიტმორივია: „ჩვენი წინაპრები მშვიდობიანობის უამს ყოველთვის ადათს მისდევდნენ, ხოლო ომში კი სახელმწიფო სარგებელს“ (Cic., Pro lege Manilia, XX).

Pro lege Manilia-ში ციცერონი არა თუ მიუთითებდა აგრესიის აუცილებლობაზე, არამედ ასაბუთებდა და ამართლებდა მას. მართალია, ციცერონს ნაკლებად ანტერესებს ომის მსვლელობა და მისი აღწერილობა (ამ მხრივ აშკარად ჩამოუგარდება აპიანეს და სხვა ისტორიუსებს), მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვეთაგან ისე დასაბუთებულად და ორიგინალურად არავის აქვს ჩამოყალიბებული აღმოსავლეთში ლაშქრობის მიზეზები. საქმარისია ითქვას, რომ მან მიუთითა ამ ომების დრმა სოციალ-ეკონომიკურ საფუძვლებზე და წინაპლანზე წამოსწია რომაელი მხედრების დაინტერესებულობა ამ მხარის შემდგომ ათვისებასა და მისი რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემაში ჩართვაზე.

მართლაც, ციცერონი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას აზიის სიმდიდრეზე და მის როლსა და ადგილზე რომის ეკონომიკურ ცხოვრებაში. არცერთ პროგინციას, ამბობდა ციცერონი, ისე სრულად არ შეუძლია უზრუნველყოს რესპუბლიკის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი, როგორც აზიას, „გადასახადები, რომლებსაც ვლებულობთ პროვინციებში ძლივს პყოფნის თვით ამ პროვინციების თავდაცვას“. აზია კი განუზომლად მდიდარია, რადგან აქვს „ნოყიერი და ბარაქიანი მინდვრები, მრავალფეროვანი სასოფლო-სამუშაო პროდუქცია, საექ-

სპერტო საქონლის დიდი არჩევანი, რითაც იგი რამდენჯერმე აღმატებოდა ყველა სხვა ქვეყანას“.

სამწუხაროდ, პონტოსთან გაჭიანურებული ომის პირობებში რომს არ შეეძლო ამ სიკეთით უხვად სარგებლობა. ორატორი წერდა: „მრავალი წლის განმავლობაში, მითრიდატესთან ომების დროს, აზია თქვენ შემოსავალს არ გაძლევდათო“ (Cic., *De lege agraria*, II, XXX). გამოსავალი მხოლოდ ერთია – პონტოს სამეფოს განადგურება, რადგან მისი კავალერიის თუნდაც „ერთ თარეშს შეუძლია უმოკლეს ვადაში მოსპოს ჩვენი მოვლი წლის შემოსავალი“ (Cic., *Pro lege Manilia*, VI).

აზიის სიმდიდრესა და რომის ეკონომიკურ ცხოვრებაში მის როლზე საუბრისას ციცერონს მარტო რესპუბლიკის საერთო ბედ-ილბალი როდი ჰქონდა მხედველობაში. იგი ზრუნვადა საკუთრივ რომაელი ვაჭარ-ფინანსისტების მდგომარეობაზეც. რომაელმა მხედრებმა, ამბობდა ციცერონი, საოცრად დიდი თანხები დააბანდეს აზიაში „ჩვენს სასარგებლოდ გამოსაღებისა და ჯარიმების აკრეფის“ სანაცვლოდ. ახლა ეს „ძალზე პატივსაცემი ადამიანები“ ამ ფულის დაკარგვის საფრთხეშია, რადგან მტერმა გაანადგურა ბითვინია, ხოლო კაპადოკია მთლიანად ხელო იგდო. ამასთან, „განსაკუთრებული გაფრთხების“ სჭირდებათ ვაჭარ-პუბლიკანებს და ბანკირებს, რომლებმაც „პროვინციაში გადაიტანეს თავიანთი საქმეები და საშუალებანი“ და დიდი დრო და ენერგია შეალიეს იქ რომის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. „თუ გადასახადები სახელმწიფოს ძარღვებია, მაშინ წოდება, რომელიც განაგებს მის აკრეფას სხვა წოდების დასაყრდენიცაა“. ამდენად ამ „უღირსეულესი და უცნობილესი ადამიანების“ ფინანსური ინტერესებისა თუ ქონების დაცვა პონტოსთან ომის პირობებში რომის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენდა (*Ibid.*, VII).

ადნიშნულ მიზეზებთან ერთად ციცერონი ყურადღებას მიაპყრობდა აღმოსავლეთში რომის დამარცხების მორადურ ფაქტორზეც. ორატორის სიტყვით მცირე აზიაში პერმან-

ენტულმა წარუმატებლობამ ლაფში გასვარა რომაული იარაღის უძლეველობის შარავანდედი. „საქმე ეხება წინაპრების მიერ ნაანდერძებ რომაელი ხალხის დიდებას, დიადს ჟველა მიმართებაში, მაგრამ განსაკუთრებულად სამხედრო სფეროში“ (Ibid.).

ციცერონს ვერ მოენელებინა 88 წლის მითრიდატული პროსკრიპციები, რასაც 80 ათასი თანამემამულე შეეწირა. მაშინ კიდევ მოიხაზა აზიდან რომაელთა ამოძირკვის კონტურებიც. ამიტომ ციცერონი გულისტყივილით აღნიშნავდა: ნაცვლად იმისა, რომ „იმალებოდეს პონტოსა და კაპადოკიის სიღრმეებში“, მითრიდატე სვიანად და მორჭმით მეფობს. „იმ დროიდან... უკვე 23-ე წელია“, ჩვენ ვერ შეეძლით დაგვესაჯა ის „მოსი ბოროტების შესაფერისად“ (Ibid., III). ასეთ ვითარებაში, თქვენ, მოუწოდებდა ციცერონი რომაელებს, რამდენადაც „უოველოვის ესწრაფვოდით დიდებას“ და „გრწყუროდათ ქქბა“ ვალდებული ხართ იარაღით ჩამოირცხებოთ დამარცხების სამარცხვინო ლაქა და აღმოსავლეთში აღვადგინოთ რომაელთა შერყეული დიდება (Ibid., II).

ციცერონი უკვე სახელმოხვეჭილი ორატორი იყო და ცხადია, მისი შეხედულებები ბევრი რომაელის საბრძოლო პროგრამასაც წარმოადგენდა. აშკარად ჩანდა, რომ რომში უქმაყოფილო იყვნენ პონტოსთან ომის გაჭიინურებით. იგრძნობოდა ისიც, რომ საქმე აღმოსავლეთში დღითიდღე უარესდებოდა, ამიტომ რომის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა გაჭიინურებული ომის დასრულების საკითხი.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პონტოს წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქრის მთავარსარდლის კანდიდატურის შერჩევას. აქ საკითხი ეხებოდა არა იმას თუ ვინ უხელმძღვანელებდა აღმოსავლეურ არმიას საერთოდ, არამედ იმასაც, რომელიც უფრო სწრაფად დამარცხებდა მითრიდატეს და ბოლოს მოუდებდა ამ გაჭიინურებულ ომს. ამიტომ ციცერონი აქტიურად ჩაება მთავარსარდლის შერჩევის საკითხის გადაწყვეტაშიც.

საერთოდ, მითრიდატეს წინააღმდეგ მრავალი იბრძოდა და როგორც ციცერონიც გვიდასტურებს, თაგს გამარჯვებულიად მიიჩნევდა. ტრიუმფი გადაიხადა სულამ, მურენამ და ლუქულუსმაც. ამის მიუხედავად, მათი გამარჯვებები არ იყო სრული, რადგან რომაელთა მიერ „უკუგდებული და ძლეული მითრი-დატე ისევ განაგრძობდა მეფობას“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტრიუმფატორები აზიდან „ბრუნდებოდნენ გამარჯვების ნიშნებით, თვით გამარჯვებით კი ვერა“ (Ibid., III).

ამის გამო, რომში, მომტიფდა აღმოსავლეთში ექსტრაორდინალური ძალაუფლებით აღჭურვილი მთავარსარდლის დანიშვნის აუცილებლობა. მცირე ვადიანი დიქტატორები რომელთა რწმუნებები არ აღმატებოდა 6 თვეს, ერთ ან ორ წელს არ აღმოჩნდა საკმარისი პონტოს დასამარცხებლად. მართალია, ლუკულუსმა საამისოდ შვიდი წელი გამოიყნა, მაგრამ მას არ გააჩნდა ექსტრაორდინალური უფლებები და ამან შეზღუდა მისი შესაძლებლობები. ამიტომ პოპულარებმა გადაჭრით მოითხოვეს შეუზღუდვავი ძალაუფლებით აღჭურვილი მთავარსარდლის გაგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე. მართლაც, 66 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა კომიციას წარუდგინა Lex de bello Mithridatico, აზიაში გნეუს პომპეუსის დიქტატორად დანიშვნის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან პომპეუსს შეეძლო: სურვილისამებრ ჯარის შეგროვება, ხაზინიდან ფულის შეუზღდულავად გატანა, ომის გამოცხადება და ა.შ.

აღნიშნულმა პროექტმა შეაშფოთა ნობილიტეტი, რადგან იგი საფრთხეს უქმნიდა სენატის კონსტიტუციის. ცხადია, ქვეყანაში დაწყებული და უკვე მიმდინარე კრიზისის პირობებში ასეთი შიში არ იყო უსაფუძვლო, რადგან ნათლად ჩანდა, რომ დიქტატორა და საგანგებო პროკონსულატი წარმოადგენდა ხიდს მონარქისაკენ. პროგექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ კატულუსი და პორტენსიუსი, რომლებმაც მიუთითეს პომპეუსისათვის განუსაზღვრელი ხელისუფლების გადაცემის შეუთავსებლობაზე რესაუბლიკურ პრინციპებთან [6,1959:80-81]. ასეთ ვითარებაში კომიციაში სიტყვა მოითხოვა ციცერონმა. მან ჩვეული

მანერით წარმოთქვა მქუხარე სიტყვა აღნიშნული პროექტის დასაცავად (De imperio Gn. Pompei-Pro lege Manilia).

ეს სიტყვა შედგენილია დიდი ორატორული ხელოვნებით. ფ.ზელინსკი მას სამართლიანად უწოდებს „ჩვენს დრომდე მოღწეული ყველა საქებარი სიტყვის ნიმუშს“ [5,1901:XIII]. ამავე დროს იგი უაღრესად საინტერესო დოკუმენტიცაა. მასში ციცერონი ჯერ ლაპარაკობს აღმოსავლეთში ომის სასიათზე შემდეგ სიძნელებზე, ბოლოს კი მთავარსარდლის არჩევაზე. სიტყვა ისეა ჩამოყალიბებული, რომ მსმენელს შესაძლებლობა აქვს თვალი მიადგნოს მოვლენათა განვითარებას მცირე აზიაში, წარმოიდგინოს მითრიდატესთან ომის მთელი მსვლელობა, მისი მიზეზები, ცალკეული მომენტი თუ საერთო სურათი, მძაფრად შეიცნოს ომში რომის წარუმატებლობის მთელი სიმძიმე, რომ ამის საფუძველზე თავად განსაჯოს მთავარსარდლის არჩევის აუცილებლობა. ორატორი თითქოს მსმენელს აძლევს ნებისმიერი მისთვის სასურველი კანდიდატურის არჩევის უფლებას, მაგრამ იგი ისე შთამბეჭდავად წარმოაჩენს პომპეუსის პიროვნებას, მის დირსებებს, სამხედრო ნიჭს, უნარს და საერთო დამსახურებას სამშობლოს წინაშე, რომ აიძულებს ყველას სწორედ მას მისცეს თავისი ხმა.

ამასთან, ციცერონის სიტყვა ისეა აგებული, რომ ყველგან ჩანს პონტოსთან ომის მოწოდება. იგი დასაბუთებული იყო ეკონომიკური მოტივებით და განმტკიცებული ქვეყნის საერთო პოლიტიკური ფაქტორებით. ორატორი ითვალისწინებდა არა მარტო საკუთრივ რომაელი მოქალაქეების, არამედ მოკავშირების ინტერესებსაც და ამით რომის მსოფლიო სახელმწიფოს ხელშეუხებლობის დამცველად და პონტოსთან ომის ძლევამოსილად დამთავრების მომხრედ გვევლინება. იგი კიდეც მიმართავდა შეკრებილთ: „თქვენ, თქვენი კუთილგონიერებით უნდა დაიფაროთ მრავალრიცხოვანი თანამოქალაქენი უბედურებისაგან, ხოლო თქვენი სიბრძნით უნდა შეიცნოთ უბედურება მრავალ მოქალაქეს რომ ემუქრება, რაც შეუძლებელია არ აირეკლოს სახელმწიფოს მდგომარეობაზე“ (Cic., Pro lege Manilia, VII).

სიტყვის დასაწყისში ციცერონი ხაზს უსგამდა პონტოსთან ომის გრანდიოზულ ხასიათს და სამართლიანად მიიჩნევდა, რომ იგი „მძიმეა, სახიფათო და ხანგრძლივი“, მაგრამ აზიის სიმდიდრის გათვალისწინებით სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევდა მის წარმოებას ქვეყნისათვის შემოსავლის ყველაზე მდიდარი წყაროების უზრუნველსაყოფად“ (Ibid., II). არსებითად, ეს უკვე იყო ექსპანსიისაკენ მოწოდება.

ციცერონმა თავისი გამოსვლა ოსტატურად ააგო. მიკერძოება, რომ არ გამოჩენილიყო, შექხო აღმოსავლეთში ლუქულუსის მოღვაწეობას. მისი სიტყვით ლუქულუსი იყო „მამაცი ადამიანი, მრავალნაცადი კაცი და დიდი იმპერატორი“ (Ibid., VIII), მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო მინდობილი საქმის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ საჭიროა ისეთი პიროვნება, რომელიც შეძლებს მცირე აზიაში რომს აღუდგანოს ძველი სახელი და დიდება.

აზიაში წარუმატებლობაზე ამდენი საუბარი გამიზნული იყო პომპეუსის კანდიდატურის წარმოჩენისათვის საჭირო ფონის შესაქმნელად. იგი ერთგვარად აზვიადებდა კიდევ მომავალი მთავარსარდლის შესახებ საუბრის დასაწყისს და მიაჩნდა, რომ „პომპეუსზე ლაპარაკის დაწყება ადვილია, მაგრამ დამთავრებაა ძნელი იმდენად გასაოცარია და ლირსშესანიშნავია ქველობა მისი“ (Ibid., I). ციცერონის სიტყვით პომპეუსი ერთადერთი კაცია, რომელმაც თავისი მამაცობით დაჩრდილა არა მარტო თანამედროვეთა დიდება, არამედ ისინიც კი ვისზეც გადმოგვცემენ თქმულებები (Ibid., X). აქამდე განაგრძობდა შემდეგ ორატორი პროვინციების მმართველად „ჩვეულებრივ ვგზავნიდით იმპერიით აღჭურვილ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თუმცა იცავენ მას მტრებისაგან, მაგრამ მათი ჩასვლა მოკავშირეთა ქვეწებში ნაკლებად განსხვავდება მტრების მიერ დაპყრობისაგან“ (Ibid., V).

მითრიდატეს წინააღმდეგ მიმართული საომარი კამპანია ციცერონის თვალსაზრისით სამართლიანი ომების კატეგორიას განეცუთვნებოდა. ამ შემთხვევაში მისთვის ამოსავალი იყო

ფორმალური, მაგრამ ციცერონისათვის უმთავრესი საკითხი - სენატის მხრიდან ომის გამოცხადება. არსებითად, სენატის დადგენილებით და ხალხის ნების შემდეგ საომარი კამპანია დებულობდა სამართლიანი ომის კვალიფიკაციას. აქვე დაგსძენთ, რომ საომარი ოპერაციების სამართლიანი და უსამართლო ომებად დაყოფა მსოფლიო აზროვნებაში პირველი ცდა იყო [1,1983:25-26].

თავის სიტყვაში ციცერონმა საგანგებოდ მიუთითა მხედართმთავრისათვის დამახასიათებელ ოთხ ძირითად ნიშანზე: სამხედრო საქმის ცოდნაზე, სიმამაცეზე, ავტორიტეტსა და იღბალზე. იმისათვის, რომ მთელი სიცხადით წარმოაჩინოს თავისი კანდიდატურის უპირატესობა იგი თითოეული ამ ნიშნის მიხედვით ვრცლად აფასებს პომპეუსს.

თმომზენი, რომელიც კარგად იცნობდა ანტიკური სამყაროს მოღვაწეთა პოლიტიკურ ფიზიონომიას, ძალზე ძუნწად აღნიშნავდა პომპეუსის სწორედ იმ პიროვნულ თვისებებსა და დამსახურებაზე, რაზეც ასე თავისამოდებით მიუთითებდა ციცერონი. ის არ უარყოფდა, რომ პომპეუსი „ჩინებული ჯარისკაცია, ფრთხილი, მამაცი და გამოცდილი“, მაგრამ თვლიდა რომ იყო „სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც მდგომარეობამ აიძულა გამხდარიყო მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე“ თ.მომზენის შენიშვნით: პომპეუსი ყველაზე ნაკლებად იყო სახელმწიფო მოღვაწე, ხოლო როგორც მთავარსარდალი იგი ვერ ამჟღავნებდა რაიმე განსაკუთრებულ უნარს. პირიქით, „გამოირჩეოდა სიფრთხილით რომელიც სიმხდალეს ემსგავსებოდა“ [2,1997:14].

ციცერონმა ენერგია არ დაიშურა თავისი კანდიდატის განდიდებისათვის. რატომ? ციცერონი, რომელიც მაინდამაინც არ გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით [4,1876:240] და თანამედროვეთა გადმოცემით ახასიათებდა ამა თუ იმ მოღვაწის დამსახურების გაზვიადება, იგი უკვე კონსულობისკენ მიიღებულდა და მეტელუსების ცნობილი გავრის მომდურების შემდეგ ციცერონს ძლიერი ზურგი სჭირდებოდა, პომპეუსი ამ მხრივ კი

შესანიშნავი კანდიდატურა იყო. ამიტომ ციცერონმაც მთელი სიმპატია მასზე გადაიტანა და ყველაფერი გააკეთა მისი აღ- მოსავლეთში მოქმედი არმიის მთავარსარდლად გაყვანისათვის. პომპეუსის გაზვიადებული ქქბაც ამით იყო განპირობებული.

მოკლედ, მცირე აზიაში მხედრებისა და ფინანსისტების საქმიანობის ზომიერ ჩარჩოებში ჩაყენების ცდაში ასახვა ჰპოვა რომში გაჩადებულ პოლიტიკურ ბრძოლაში. ცხადია, ციცერონი გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ ფაქტისადმი. იგი თავად იყო მხედართა წრის წარმომადგენელი და ვერ დაუშვებდა თავისი წოდების ფინანსური ინტერესების შელახვას. მით უმეტეს, რომ შემოსავლის წყაროების გაფართოებით დაინტერესებული მხედ- რები ყოველთვის მოითხოვდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას. მაშასადამე, რომის სახელმწიფო საზღვრების გაფართოებას და დამოკიდებულ სახელმწიფოების პროვინციებად გადაქცევას [3,1950:9]. ასეთ ვითარებაში, ციცერონს მიეცა თუ არა შემთხვევა იგი მაშინვე დაუპირისპირდა ლუკულუსს და თავისი ცნობილი სიტყვით დიდი როლი შეასრულა აზიიდან მის გაწვევა- ში.

ასე იყო თუ ისე, ფაქტია, *Lex de bello Mithridatico*, ანუ *Lex Manilia*-ს მიღებით ახალი ხანა დაიწყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. ამიერიდან, პომპეუსი ცხადებოდა სენატისაგან დამოუკი- იდებელ სრულუფლებიან და უვადო ხელისუფლად. ამით რეს- პუბლიკური კონსტიტუცია თანდათან სრულ დავიწყებას ეძლ- ეოდა. მართალია, რესპუბლიკური ტრადიციები ჯერ კიდევ არ იძლეოდა თვით რესპუბლიკის გაუქმების საშუალებას, მაგრამ ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვილი დიქტატორის მმართველობის პირობებში მისი არსებობა თანდათან ფიქცია ხდებოდა. ასე რომ, აღნიშნული კანონი ქმნიდა იურიდიულ საფუძვლებს რესპუბლიკიდან ერთპიროვნულ სამხედრო დიქტა- ტურაზე გადასვლისათვის, რაშიც გარკვეული წვლილი თვით ციცერონმაც შეიტანა.

მთავარსარდლად დანიშვნისთანავე პომპეუსმა უმაღ გახწია დანიშნულების ადგილისაკენ. აზიაში მან დიპლომატიური ნაბ-

იჯიც გადადგა - გაანეიტრალა პართია, შემდეგ დაამარცხა მითრიდატე და სომხეთი და 66-65 წლებში დალაშქრა იბერია-კოლხეთიც.

ნიშანდობლივია, რომ ციცერონიც აზიაში ომის დასასრულს მითრიდატეს სიკვდილს უკავშირებდა. კიდევ ამბობდა: „ომი დამთავრდება მხოლოდ მას შემდეგ როდესაც მითრიდატე იძულებული გახდება დაემშვიდობოს სიცოცხლეებ“ (Cic., Pro L.Murena, 16, 34). ამიტომ, როგორც კი ცნობილი გახდა მეფის სიკვდილის ამბავი ციცერონის წინადადებით სენატმა 10 დღიანი პარაკლისი დაადგინა (Cic., De Prov. cons., 11, 27). რომაელთა სიხარული გასაგებია, ამიერიდან აღმოსავლეთში მათ საბოლოოდ გაეხსნათ გზა მცირე აზიის დაპყრობისა და ამ გაჭიანურებული ომის დამთავრებისაკენ.

ციცერონს უკვე შეეძლო ეამაყა და ეოჭვა: „ყველაზე მეტად კი პომპეუსის ქება გვმართებს, რომლის სიმამაცემ და გმორბამ იმ ქვეყნებსა და საზღვრებს მიაღწია, რომელსაც მზე აწვდებნ თავის სხივებს“. ციცერონმა გამარჯვებულ პომპეუსს ნამდვილი ხოტბა უძღვნა, რადგან თვლიდა რომ დაპყრობილი ტერიტორიის მასშტაბებით და მნიშვნელობით მან დიდად გაუსწორ კართაგოს დამპყრობ პუბლიუს სკიპიონ აფრიკელს (Cic., Fam., V, 7).

ამასთან, ციცერონი დრმად იყო დარწმუნებული, რომ მადლიერი შთამომავლობა პომპეუსთან ერთად მის სახელსაც „ქებით მოიხსენიებდა“. ეს იმიტომ გაკეთდებოდა, რომ „მნიშვნელოვან საქმედ“ ჩაითვლებოდა „პროვინციების გაშლა“ და „საზღვრების შორს გადაწევა“ (Cic., Cat., IV. X, 21), რაც ახალ-ახალი ტერიტორიების შემოერთების საქმეში მისი დამსახურების აღიარება იქნებოდა.

## **Kakhaber Surguladze**

### **Cicero – the ideologist of war**

#### **Summary**

In given article Mark Ciceron (106-43), the outstanding figure of an antique epoch, on the basis of its speech „Pro lege Manilia” is presented by the ideologist of an aggressive policy of Rome.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Кондратков Т., Идеология. Политика. Война: Критика буржуазных реформистских и ревизионистских концепций, М., 1983.
2. Моммзен Т., История Рима, Ростов-на/Дону, т. 3, 1997.
3. Немировский С., Всадническое сословие в период кризиса и падения республики, Автореферат, М., 1950.
4. Цицерон в изложении Лукаса Колинза, СПб., 1876.
5. Цицерон, Полное собрание речей; редакция, введение и примечание Ф.Зелинского, т. 1 (81-63 гг. до н.э.), СПб., 1901.
6. Celzer M., Pompeius, München, 1959.

## საერთაშორისო ფასრიბის უმნიშვნელობის

საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების ნიშნები ჩნდება სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა და წესრიგი სათავეს იღებს 1648 წლიდან, როცა ვესტფალის საზავო ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპაში დაასრულა ოცდათწლიანი ომი ორ – კათოლიკურ და პროტესტანტულ ბლოკებს შორის. მაიერიდან საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარ ფორმად მიიჩნევა ეროვნული სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების ღომინირებული პრინციპი ხდება ეროვნული სუვერენიტეტი.

ვესტფალის ხელშეკრულების მიზანი იყო ომის შედეგად ძალთა დამოკიდებულების და ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების განმტკიცება, წინააღმდეგობათა შექმნა მათთვის, ვინც სხვათა ტერიტორიებზე გაბატონების მისწრაფებას გამოავლენდა. საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სამართლებრივი დამკაიდრებით ხდება პოლიტიკური თანასწორობის განმტკიცება. მისი ძირითადი მიზანი იყო კომპორმისი სუვერენიტეტისა და საერთო ინტერესების პრინციპებს შორის. ფუნქციონირების მოცემული პროცესი აიძულებდა თითოეულ აქტორს შეეზღუდა თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფებები, რათა არ აღმოჩენილიყო იმ სიტუაციაში, როცა ამას სხვები აიძულებდნენ. ერთ-ერთი მთავარი საშუალება პოლიტიკური თანასწორობის შენარჩუნება-მხარდაჭერისა იყო ამა თუ იმ სახის კოალიციის შეკვრა, ან გაერთიანება პრინციპით ყველა ერთის წინააღმდეგ, ან როცა ერთი თავისი წინდახედულობით მის ირგვლივ იკრებს მოკავშირეებს – ბლოკის კოალიცია, რომელშიც შედიან ისინი, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ ძალთა არსებული ურთიერთობები. კოალ-

იცია მიმართულია სახელმწიფოს დასაშინებლად, რომელიც პოტენციურად ამა თუ იმ ფორმით არღვევს პოლიტიკურ თანასწორობას. თუ კოალიციის შექმნის ფაქტორი ვერ იმუშავებდა, ვერ დააშინებდა სახელმწიფოს, მისი მიზნის შეზღუდვისათვის მაშინ გარდაუდილად ხდებოდა ლოგალური ომი. ამრიგად, ამ სიტუაციაში ძალის ცალმხრივად გამოყენება წარმოადგენდა უწესრიგობის წარმოქმნის ფაქტორს იმდენად, რამდენადაც ძალის კოლექტიური გამოყენება იყო ინსტრუმენტი საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის. ამდენად, სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან საერთაშორისო წესრიგის ფენომენმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ცენტრალური, გლობალური ხელისუფლების არარსებობა და პლურალიზმის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული დაყოფის და სხვა მსგავსი ნიშნების - დაცვის აუცილებლობა, როდესაც ძლიერები აქეთებენ იმას, რაც სურთ, ხოლო სუსტები იმას, რაც შეუძლიათ და სადაც ბატონობს ძლიერთა უფლება, კონფლიქტი და ომები არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს „ბუნებრივი მდგომარეობის სახით”. ამიტომაც საერთაშორისო წესრიგის პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. იგი თავის თავში მოიცავს მსოფლიო არენაზე მოქმედი სოციალური გაერთიანებების, როგორც საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელ ნაწილების და ერთიანი სოციუმის ელემენტებს შორის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა იქმნება ძალებს შორის ურთიერთობების საფუძველზე, ხოლო წესრიგი ყალიბდება ნორმებისა და ურთიერთანამშრომლობის პრინციპებით მართვადი ინსტიტუტების საშუალებით და კანონის ძალით.

საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოება, რომელსაც შეიძლება მართავდეს ერთიანი მთავრობა საერთო კანონების საფუძველზე არ არსებობს. თუმცა, სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც

ცხოვრობენ ერთ პლანეტაზე და დაკავშირებულნი არიან ერთ-მანეთთან ერთიანი მსოფლიო ექონომიკით, მთლიანობაში იყო-ფიან (დირებულებებით და ფასეულებებით დაპირისპირებული) სხვადასხვა ნაწილებად. საბოლოოდ, ისინი აწყდებიან საერ-თო პრობლემებს და გამოწვევებს. თუმცა, ხშირად მიუთითოთ-ებენ, რომ მსოფლიოში არსებობს ერთობის და ორგანიზების ის მინიმუმი, რომელიც იძლევა უფლებას ვთქვათ, რომ არსებო-ბს საერთაშორისო საზოგადოება. ღღეს შეიძლება იგი წარმო-დგნილი იყოს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაცი-ებით და გაერთიანებებით. მართალია, არ არსებობს ამ საერთა-შორისო საზოგადოების ერთიანი მთავრობა, მაგრამ არსებობს მსოფლიო გლობალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრის სურვილი. ყველაფერი ეს კი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ასევე რეალურია აღნიშვნა იმისა, რომ არსებობს საერთაშორ-ისო წესრიგი.

საერთაშორისო წესრიგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რა-მდენადაც საერთაშორისო სისტემა ანარქიული ხასიათისაა. სა-ერთაშორისო ანარქია ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ვარიაციები. საერთა-შორისო სისტემას არ გააჩნია სახლმწიფოსათვის დამახასიათ-ებელი აუცილებელი ორი ელემენტი: საზოგადოების სოციალ-ური საფუძველი და მთავრობის პოლიტიკური ნება. საერთაშო-რისო სისტემას ამიტომ უწოდებენ ანარქიულს. როგორც სამე-ცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ანარქია არ ნიშნავს ქაოსს, სრულ უწესრიგობას, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფ-ოთაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა გულისხმობს ძა-ლზე დეცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც არ ჰყავს ისე-თი უზენაესი ხელისუფლება, როგორიც სახელმწიფოში მთა-ვრობაა.

საერთაშორისო სისტემა შეიძლება სტრუქტურულად ანარ-ქიული იყოს, მაგრამ ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში სხვადას-ხვა ხასიათი ჰქონდეს. იგი ანარქიულია, რადგანაც მისი შემად-

გენელი ერთეულები სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებიც თავიანთ თავზე მაღლა მდგომ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აღიარებენ და ამგვარი ხელისუფლება არც არსებობს. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ანარქიულ ურთიერთობათა პროცესი შეიძლება ქაოსშიც გადაიზარდოს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასე არ ხდება. სახელმწიფოთა ურთიერთქმედება, როგორც წესი, გარკვეულ წესრიგს ემორჩილება, თუმცა აღნიშნული წესრიგი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა და დონისა იყოს.

საერთაშორისო წესრიგის ფენომენი ეს არის მსოფლიო ძალთა ორგანიზაცია, რომელიც განწყობილია ანარქიის საწინააღმდეგოდ. იგი უარყოფს ერთი კონკრეტული ძალის სრულ ბატონობას სხვებზე და ქადაგებს საერთაშორისო აქტორების (ეროვნული სახელმწიფოების) თავისუფლებას და თანასწორობას. საერთაშორისო წესრიგი არის საერთაშორისო პლურალისტური სოციუმის ცხოვრებაში განსაზღვრული ორგანიზაციის წესი, მისი რეგულირება საერთაშორისოდ აღიარებული განსაზღვრული ნორმების და პრინციპების (სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი) და საერთო (ეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური) ფასეულეობების საფუძველზე. ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობებში წესრიგი ნიშნავს მსოფლიო სახელმწიფოთა ურთიერთობების ორგანიზაციის იმგვარად აწყობას, რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული ფასეულობებისა და მიზნების რეალიზება – სახელმწიფოთა სუვერენიტეტის და თანასწორობის დაცვა.

საერთაშორისო წესრიგზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ფენომენი შეფარდებითია გლობალურ სოციალურ ერთობასთან. იგი შექმნილია მსოფლიო არენაზე მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი სუბიექტების (აქტორების) გაერთიანებით. ზოგადად კი, საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშუალებას იძლევა, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები. საერთაშო-

რისო ურთიერთობებში წესრიგის ფენომენის არსი მდგო-  
მარეობს იმაში რომ მსოფლიო არენაზე, სადაც არ არსებობს  
ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება, არსებობს სხვადასხვა  
ურთიერთსაწინააღმდეგო ფასეულობები და დირებულებები. ეს  
უკანასკნელი საქმაოდ სუსტ როლს თამაშობენ გლობალური  
სისტემის სტაბილურობის მიღწევაში, ხოლო საერთაშორისო  
სამართლის ნორმები, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო  
ურთიერთობათა მონაწილეების სამართლებრივ თუ არასამა-  
რთლებრივ მოქმედებებს რეალურად ატარებენ არსავალდებ-  
ულო ხასიათს.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საერთაშორისო ურთი-  
ერთობათა სისტემის შექმნის მომენტიდან კაცობრიობა მიისწრ-  
აფვის მოახდინოს მისი რეგულირება, რომელიც დაფუძნებულია  
ერთ მთავარ მოთხოვნაზე – მისი მონაწილეების უსაფრთხოე-  
ბის და სტაბილურობის შენარჩუნებაზე. რაც უფრო სისტე-  
მური ხდება საერთაშორისო ურთიერთობები, მით უფრო მატუ-  
ლობს მოთხოვნილება მისი სამართლებრივი რეგულირებისა-  
თვის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტე-  
ბის შექმნასა და განმტკიცებაზე, საერთაშორისო ურთიერთო-  
ბების ცხოვრების სტაბილიზაციის საქმეში მათი როლის გაძლ-  
იერებაზე და ბოლოს, თანდათანობით ამ გზით გლობალური  
საერთაშორისო სისტემის ფორმირებაზე.

სამყცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეხება საერთაშო-  
რისო ურთიერთობათა ანალიზს, არ არსებობს საერთაშორისო  
წესრიგის ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ზოგიერთი მკვლევა-  
რი მიიჩნევს, რომ იგი არის იურიდიული ნორმების ერთობლიო-  
ბა, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის  
ნორმებიდან, მეორენი აქცენტს აკეთებენ, ხოლო მესამენი მას  
უკავშირებენ საერთაშორისო არენაზე გარკვეული სტატუს  
ქვოს შენარჩუნებას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების  
საფუძველზე.

საერთაშორისო წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობათა  
ისეთი მოწყობაა, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოთა

შორის ურთიერთობების ისტორიულ გამოცდილებაზე. იგი მოწოდებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით უზრუნველყოს სახელმწიფოებისა და სხვა ინსტიტუტების თანაზიარი არსებობა და მოქმედება მსოფლიო არენაზე, რომელიც განაპირობებს საერთაშორისო სტაბილურობას, უსაფრთხოებას და განვითარებას. ასევე გარკვეული სტატუს ქვოს შენარჩუნებას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში.

საერთაშორისო წესრიგი მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია\*, მათ აქვთ საერთო ფესვები და საფუძლები, რომელიც თავს უქრის საერთაშორისო საზოგადოების ერთობას და უზრუნველყოფს მის ერთიანობას. ასეთ საერთო საფუძღლებად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლები, რომელიც საბოლოოდ ერთიან მსოფლიო ბაზრის ფორმირებამდე მიდის; სამეცნიერო ტექნიკური მიღწევები (განსაკუთრებით კომუნიკაციურ სისტემებში), ინფორმაციის და კავშირგაბმულობის საშუალებები); პოლიტიკური სტრუქტურა და ინტერესი; ხოციოგულტურული ფასეულობები. ყველა ეს ნიშანი თამაშობდა და თამაშობს არაერთგვაროვან როლს საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში. ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთ-ერთი მათგანი უფრო წინ გამოდის ხოლო სხვები შედარებით უკან ინაცვლებენ ან პირიქით. საერთაშორისო წესრიგის პრობლემის გარკვევაში მნიშვნელოვანია მისი ძირითადი განზომილებების (მახასიათებლების) ანალიზი. მათგან მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად სახეს: ა) პორიზონტალურს; ბ) ვერტიკალურს; გ) ფუნქციონალურს.

პირველი გულისხმობს მთავარ აქტორებს შორის ურთიერთობებს. მასში საერთაშორისო წესრიგს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისტემა ატარებს მულტ-

\* საერთაშორისო და მსოფლიო წესრიგი ერთმანეთისაგან განსხვავდება. საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთაშორისო წესრიგია, ხოლო მსოფლიო წესრიგი მოიცავს აგრეთვე ქვენების შიგნით და მუნიციპალურ დონეზე წესრიგსაც.

იპოლარული სტრუქტურული ურთიერთობის ხასიათს და წესრიგის ფუნქციას ასრულებს პოლიტიკური თანასწორობის მექანიზმი. რაც შეეხება ბიპოლარულ სისტემას, აქაც ძალთა ბალანსი გვევლინება მთავარ საშუალებად არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად.

მეორე შემთხვევაში, ეს არის სისტემაში ძლიერ და სუსტ აქტორებს შორის ურთიერთობა. აქ ძალის ტრიუმფი გვევლინება საერთაშორისო ურთიერთობათა იერარქიულ ფარგლებში ურთიერთობათა რეგულირების მთავარ საშუალებად. საერთაშორისო ურთიერთობებში ეს წარმოადგენს საერთაშორისო წესრიგის ვერტიკალური განზომილების ტიპიურ დომინირებულ ნიშანს. აქედან გამომდინარე, ძალადობა მთავარია, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება ძლიერთა დაცვისათვის.

მესამე შემთხვევაში, წესრიგის საფუძველს შეადგენს ის როლი, რომელსაც საერთაშორისო ცხოვრების სტაბილიზაციაში თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა მიმართულებები – წამყვანი აქტორების დიპლომატია და სტრატეგია, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები, მორალური ფასეულობები და ლიდერთა პოლიტიკური ამბიციები. ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო სუბიექტების დეპოლიტიზირებული სფერო (მაგ. საქმიანი ადამიანები, ტრანსნაციონალური საზოგადოებები, სწავლულთა ასოციაციები, სპეციალისტები).

ფუნქციონალური განზომილების მოცემული ასპექტები შეიძლება იყოს როგორც მასტაბილიზერებელი ფაქტორი, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო წესრიგს, ასევე შეიძლება იყოს წყარო მისი არასტაბილურობისა და უწესრიგობისა.

ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, საერთაშორისო წესრიგის მთავარ საშუალებად, აღნიშნული განზომილებების მიუხედავად, რჩება ძალის ფენომენი.

საერთაშორისო წესრიგის ისტორიული ტიპების განხილვისას აუცილებელია შეეხეთ პოლიტიკური თანასწორობის ფანომენსაც, რომელიც ნიშნავდა: ძალთა ნებისმიერ განაწილებას;

სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ჯგუფის პოლიტიკას, რო-  
მელიც მიმართულია ერთი ომელიმე სახელმწიფოს გადამეტე-  
ბული ამბიციების აღვეთისაკენ; მრავალპოლარული ერთობ-  
ლიობა, სადაც დროდადრო ზესახელმწიფოები ქმნიან გაერთ-  
იანებებს ერთ-ერთი მათგანის გადაჭარბებული ამბიციების  
აღვეთის მიზნით.

პოლიტიკური თანასწორობის იდეა, როგორც საერთაშორ-  
ისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის პრინციპი  
არსებობდა 1815 წლამდე, როცა ნაპოლეონის დამარცხება და  
მონარქიის რესტავრაციის დროებითი გამარჯვება ვენის კონ-  
გრესზე განმტკიცებულ იქნა „ლეგიტიმიზმის პრინციპით”. იგი  
ნიშნავდა მოცემულ სიტუაციაში გამარჯვებულთა მცდელობას  
აღედგინათ ფეოდალური წესრიგი. ამის გამო იყო, რომ თანას-  
წორობის მექანიზმი შემდგენისათვის უკვე ადარ გამოიყენება  
წესრიგის მხარდაჭერისათვის.

„ლეგიტიზმი”, რომელიც ამართლებდა ევროპელი მონარ-  
ქების ინტერვენციას ფეოდალური წესრიგის დანერგვის მიზ-  
ნით, დიდხანს ვერ იქნა შენარჩუნებული. უკვე XIX ს. II ნახე-  
ვარში დაიშალა წმინდა კავშირი, რომელიც შეიქმნა ვენის კონ-  
გრესზე, ხოლო XIX ს. ბოლოს ევროპაში ჩამოყალიბდა ორი  
ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი  
ანგანტა და სამთა კავშირი, რომლებიც გახდნენ პირველი  
მსოფლიო ომის გამჩადებელნი.

პირველი მსოფლიო ომის მთავარი შედეგი იყო მსოფლიოს  
გახლება ორ ნაწილად. საბჭოთა კავშირის სახით შეიქმნა თვი-  
სობრივად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანე-  
ბა. ამის შემდეგ საერთაშორისო წესრიგის ზემოთაღნიშნულ  
სამ განზომილებას დაემატა კიდევ ერთი – **იდეოლოგიური გან-  
ზომილება.**

ევროპის და მსოფლიოს გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა  
ორი საზოგადოებრივ-პლოიტიკური სისტემა, ორი ურთიერთ-  
დაპირისპირებული იდეოლოგიით. ცივი ომის პერიოდში მერყ-  
ევი სტაბილურობა მათ შორის განპირობებული იყო ბირთვული

არსენალით და გამალებული შეიარაღებით. ამ პერიოდში საერთაშორისო წესრიგს განაპირობებდა ბიპოლარული მსოფლიოს სტრუქტურა, რომელიც შენარჩუნებული იქნა XX ს-ის 80-იანი წლების ბოლომდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი გამოირჩეოდა ორი არსებული თავისებურებით:

პირველი იყო მსოფლიოს გაყოფა ორ სოცილურ-პოლიტიკურ სისტემად, რომლებიც იმყოფებოდნენ პერმანენტული „ცივი ომის“ პირობებში, სადაც ორი ზესახელმწიფო სისტემატურად ახდენდა თავისი სამხედრო შესაძლებლობების გაზრდას. ეს ორი ურთიერთდაპირისპირული ბლოკი ფაქტობრივად ახდენდა თავისი მდგომარეობის ინსტიტუციონალიზაციას ორ სამხედრო-პოლიტიკურ (ნატო, ვარშავის ხელშეკრულება) და პოლიტიკურ-ეკონომიკურ (ევროპის ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) ორგანიზაციებად.

მეორე იყო გაერთიანებული ერების ორაგანიზაციის შექმნა თავისი სპეციალიზირებული ინსტიტუტებით და არსებობდა უფრო მეტი მისწრაფება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირება განხორციელებულიყო საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე. გაეროს შექმნა იყო პასუხი იმ არსებული რეალობისა, რომ მომხდარიყო საერთაშორისო წესრიგის რეგულირება და დაწყებულიყო საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება, როგორც მისი მართვის სუბიექტი. თუმცა, გაეროს უფლებამოსილებაში გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რაც მას არ აძლევს საშუალებას ითამაშოს მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფის როლი ხალხებს შორის. შედეგად, არსებული წინააღმდეგობრივი და მერყევი საერთაშორისო წესრიგი ავლენს თავის ძირითად განხომილებებს, რომელიც იწვევს სულ უფრო მეტად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დასაბუთებულ შეშფოთებას.

ამრიგად, მთლიანობაში საერთაშორისო წესრიგის ტიპები, შეიძლება გაიყოს ორ კლასიკურ „მოდელად“ – „ომის მდგომარეობა“ და „არასაიმედო მშვიდობა“ ანუ „წესრიგის

დარღვევა”. პირველის შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობათა არსეს წარმოადგენს ომი ან მისთვის მზადება. ამ მოდელის მომხრეები (თუკიდიდე, მაკიაველი, გობი, რუსო, კანტი, ჰეგელი) მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს ერთიანი გონქბა, რომელიც მოკლავდა თითოეული აქტორის ამბიციებს, არამედ არსებობს მხოლოდ ინსტიტუციონალური რაციონალობა, რაც ნიშნავს, რომ ძალის საშუალებით მოიძებნოს საუკეთესო საშუალება განსაკუთრებული მიზნის მიღწევისათვის, რომელსაც მივყავართ არა ჰეგელონბობამდე, არამედ კონფლიქტამდე.

რაც შეეხება მეორე მოდელს, აյ საერთაშორისო ურთიერთობები განიხილება როგორც საშუალება, რომელსაც აქვს ძალა და რომელიც ხელს უწყობს წესრიგის მინიმუმის გარანტიას. ასეთი ძალები ყალიბდება იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც ერთიანდებიან მსგავსი ინტერესების საფუძველზე, ხოლო ამგვარ ქმედებას ისინი მიჰყავს საერთო სამრთლებრივი ნორმების ჩამოყალიბებამდე.

ამრიგად, საერთაშორისო წესრიგის ისტორიული ტიპების განიხილვიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ჩამოყალიბებას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან. ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო წესრიგის გარანტი ეს იყო პოლიტიკური თანასწორობის იდეა, რომელიც დაფუძნებული იყო ეროვნული სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე. ვესტფალიის სისტემის დარღვევის შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა, საერთაშორისო წესრიგის გარანტიად მოგვევლინა „ლეგიტიმიზმის” პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იყო „წმინდა კავშირის” საფუძვლებზე და რომელიც უზრუნველყოფდა ფეოდალური წესრიგის აღდგენას ეკრაპაში. მისი შედეგი იყო თუნდაც ის, რომ მთელი 40 წლის განმავლობაში ეკრაპაში შედარებით სიმშვიდე იყო. თუმცა XIX ს. მეორე ნახევარში და განსაკუთრებით საუკუნის დასასრულდს, ევროპა გაიხდის თუ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად. მისი

კულტინაცია იყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების კერსალი-ვაშინგტონის სისტემა. სამწუხაროდ, ამ სისტემამ ვერ შექმნა ეფექტური საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო წესრიგს. არადა, ერთა ლიგის შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იყო იმ მხრივ, რომ მისი ეფექტურად მუშაობის პირობებში შეიძლება მართლაც ჩამოყალიბებულიყო კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სტაბილურობის და მშვიდობის გარანტი. ფაქტობრივად, ვერალ-ვაშინგტონის სისტემა შეიცავდა იმ საფუძვლებსაც, რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩადებას. ომის შემდგომ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა-პოტ-დსტამის სისტემა დაეფუძნა ბიპოლარულ მსოფლიო სტრუქტურას და მან საერთაშორისო წესრიგის თვისობრივად ახალი საშუალებები მოიტანა. ეს იყო ბირთვული პოტენციალი, რაც საბოლოოდ ძალთა სტრუქტურაში გამოიხატა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი ადექვატური იყო იმ რეალობისა, რომელიც არსებობდა ბიპოლარული მსოფლიოს სახით. მართალია, ამ პერიოდში არსებული ორი ურთიერთობაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბანაკი მუდმივად იმყოფებოდა კონფლიქტური კრიზისების ზღვარზე, მაგრამ ეს დაპირისპირება არ მისულა გლობალურ კონფრონტაციამდე. საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა-პოტ-სდამის სისტემის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფაქტობრივად გამორიცხა მსოფლიო კონფლიქტის რეალურობა, რაც ფორმირებული ძალთა ბალანსის სისტემის უდიდესი დამსახურებაც იყო.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება ძალთა წონასწორობის მექანიზმის, ომისა და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაცია მეტყველებს, რომ კაცობრიობა იმყოფება მისი განვითრების გარდამტებ ეტაპზე. გადარჩენის ობიექტური იმპერა-

ტივები, უსაფრთხოება და განვითარება თავისთავად მოითხოვს ახალ ბევრად საიმედო წესრიგის განვითარებას, რომელიც შესაბმისობაში იქნება ახალ ტენდენციებთან. დღეს, რთულია ზუსტი განკვრებაც თუ როგორი იქნება მომავალი საერთაშორისო წესრიგი, მაგრამ ცხადია ის გარემოება, რომ მსოფლიოს გლობალიზაცია, გლობალური პრობლემები, ინტეგრაციული პროცესები გარკვეულ როლს ითამაშებს ამ პროცესებში და ამ გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება იმის თქმა, რომ საერთაშორისო წესრიგი იქნება გლობალური, რომელიც დაეფუძნება ერთიან მოთხოვნებს.

**Irakli Manvelidze**

## **The Phenomenon of the international order**

### **Summary**

Lines of formation of the international order arise with the beginning of formation of the international relations. The modern international order and system of the international relations originates since 1648.

The central moment in the international relations is necessity of protection of the nonexistent global power and pluralism, the sovereignty, territorial division etc. when strong do that want, and weak – that can the rights of masters, conflicts and wars cannot be presented «natural position». Therefore one of the central places in the international relations is occupied with a problem of the international order.

The phenomenon of the international order is the organization of world forces which is directed against anarchy. It denies domination of one concrete force over others and supports freedom and equality of the international actors (the national states). The international order is an organizational rule in a life of the international pluralistic society on the basis of regulation of the standard international certain norms and principles (state, legal) and, in general, on the basis of the standard values (cultural,

morally-ethical). Thus, the order in the international relations means such organization of interstate relations which promotes realization of certain values and the purposes – protection of the state sovereignty and equality.

At the present stage destabilization in the international system says that the mankind is at a critical stage of the development. Objective imperatives of rescue and safety demand development of new, more reliable order which will correspond to new tendencies. Today, it will be difficult to predict what the future international order, but on the person that fact that world globalization, global problems, integration processes play an essential role in occurring processes and, considering these global tendencies it is possible to notice that the international order will be based on uniform requirements.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Цыганков П.А. Теория международных отношений. М., 2002.  
Гл. 16. С. 470-475.
2. Богатуров А.Д., Косолапов Н.А., Хрусталев М.А. Очерки теории и политического анализа международных отношений. М., 2002.
3. Лебедева М.М. Мировая политика. М., 2003.
4. Miller L. Global Order. Values and Power in International Politics. Boulder, 1994.
5. Cooper R. Is there a New World Order? // Prospects for Global Order. Ed. by Seizaburo Sato and Trevor Taylor. London, 1993. Vol. 2.
6. Рогов С.М. Россия и США в многополярном мире // США: ЭПИ. 1992. № 10.
7. Сорокин К.Э. Геополитика современности и геостратегия России. М., 1996.
8. Богатуров А.Д. Кризис миросистемного регулирования // Международная жизнь. 1993. № 7.
9. Салмин А.М. Россия, Европа и новый мировой порядок // Полис. 1999. № 2;

10. Косолапов Н.А. Контуры нового миропорядка // Постиндустриальный мир: центр, периферия, Россия. Общие проблемы постиндустриальной эпохи. М., 1999. Сб. 1.
11. De Senarclens P. Regime theory and the study of international organizations // International Social Science Journal. 1993. Vol. 45. № 4.
12. Krasner S. D. (ed.). International Regimes. Ithaca, New York: Cornell University Press, 1983; Haggard S. and
13. Simmons B. A. Theories of international regimes // International Organization. 1987. Vol. 41. № 3.
14. Buzan B. From international system to international society: Structural realism and regime theory meet the English School // International Organization. 1993. Vol. 47. № 00.
15. Grieco J. Anarchy and the Limits of Cooperation: A Realist Critique of the Newest Liberal Institutionalism /
16. Kegley C. (ed.). Controversies in International Relations Theory; Realism and the Neoliberal Challenge. New York, 1995..
17. Rittberger V. International Regimes in East-West Politics. London - New York, 1990..
18. Simmons B.A. Compliance with international agreements // Annual Review of Political Science. 1998. № 1.
19. Goldstein J., Kahler M., Keohane R. Legalization and World Politics // International Organization. 2000. Vol. 54. № 3.

## ნიგალის ისტორიული საზღვრები

ნიგალის ხეობა (ის. რუკა №1) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია. იგი მოიცავს მდ. ჭოროხის შექა და ქვედა წელს. ქართული მატიანებიდან (მატიანე ქართლისა, სუმბატ დავითისძის ქრონიკა), გიორგი მერჩულეს ძეგლიდან, ასევე, ამავე ეპოქის სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ მესხეთი ანუ ზემო ქართლი, ე.ო. ზემო მტკვრის ხეობა მთლიანად და ჭოროხის ხეობა მთლიანად მე-8-10 საუკუნეებში განიყოფოდა ცხრა მხარედ; ესენია: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (არტაან-კოლა), აჭარა, ნიგალი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სკერი (ინგოროვა, 1954, 390). აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდების დიდი ნაწილი წარმოიშვა ჩეკენს ერამდე და მიუხედავად ბედუქულმართობისა, დღემდე შემორჩა (ბაქრაძე, 1987, 38).

ნიგალი მნიშვნელოვანი ისტორიული წარსულის მქონე ქართული რეგიონია. „ისტორია ჭოროხის ბასეინისა ერთობ რთულია, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, არაბები, თათრები სელჩუკები და თათრები ოსმალები, იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება“ (თაფა-იშვილი, 1991, 203)”.

ნიგალი წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება საქართველოს სხვა პროვინციებთან (კლარჯეთი, აჭარა, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი და სხვა.) ერთად. სომები სწავლულის, ანანია შირაკაცის, „სომხურ გეოგრაფიაში“ (VI-VII სს) ნიგალს კანტონი (ოლქი) ეწოდებოდა, მის თანატოლად განიხილებოდა ისეთი რეგიონები, როგორიც იყო – მრული, მრიტი, ეგრი. მასში ნათქვამია, რომ კაკამარი (ჭოროხი) გაივლის კლარჯეთს, ნიგალს, მრულს, მრიტს, ეგრს და ჩაედინება შავ

ՆԾՐԱՑՈ (Արմանակա գեոգրաֆիա VII., 1887, 39-40; Ածոնց Ի., 1971, 26).

յարտցւլ Վյարոցքի նոցալու პորցելաց մռուեսենոյեծա „մաթօ-անց յարտլուսամու“, զյրմուց ով, ևաճաց մռուերոծուլուա, րոմ չը-անմշերու ևուուցելումուց „ուուզալա աճարնասյ ծագրաթոնուման նասամալու յլարջյուտուսա, Շաշմշետուսա, աչարուսա, նոցալուսա... դա լույցուացանցա, րոմելնու էյլոնցու մշուլումշուլու զաեթանց մյուս-սատա (յարտլուս լեռացրեծ, I, 1955, 251). Մյմցցցու Վյրուլունուտու Վյարու, րոմելնուց նոցալուս Շեսաեծ լունոնցու զեցցենու, արուս ևյմինաթ լազուուս մուս յրոնոյց „լեռացրեծ դա շնչյցա ծագրաթո-նուանուա“. մաշու նոցալու մռուեսենոյեծուլուա արածուա Վոնագմցցց ամութ յշրապալաթուս ծրմուլցուան դայաշմուրցուտ. լուրուլցո-լու մյույ մուշյուլա նոցալուս եյցմու լումյերուս Շեսացրուցցելուա. „վամումարուա դա մռութու եցաս նոցալուսասա դա ովյու մյենաց յրուսա, րատամցա զուա ցանումրացլա լումյերու տցուսու“. ովյու աճնու-Շնչյուլուա, րոմ մաշմշետ-կլարջյուտ-նոցալուս մռուելունուաս արած-ցիմա եարցու մաշմշերու: դա „ուզբեց եարցուս մռմցցմցց եարցոնութ-ու յուցցելնուց եցնու մաշմշետ-կլարջյուտ-նոցալուսանո (յարտլուս լեռացրեծ, I, 1955, 377-378).

ամ եցուուս տացուակուրցցելու յարտցւլու սաելու մռմցունարց-ուն արտցունուս մուժամոցքի մցյենարց ամացց սաելումուցցելուս մյու-նյ ևոյցլուս սաելուսացան. զյրմուց, նոցալու/նոցալա, րոմելուց մց. կորունուս մարջյունա մյենացալուս, նոցալուսեցուս մարցեցնա սանապուրությ մցյենարցուն դա ևոյց. եցեթուս յրու-յրու շնանս ցա-նեցյուցնեծա. եցն յլս սաելու մամուն շնուա դարյմցուա, րուցա մուսմա լեբնիրմա ծարմու ցաքմունացցուա. մաս մյմցցց մյերմից ամ րյցուոնս նոցալուսեցու անց նոցալու (ևսարշլումյ, 1985, ջ. 3).

սաելումուցցելու նոցալու ուսմացցուուս օմպերուուս ծաթունուուս դրուս մյուցալու լուցանաց.

Ցեղացրացույլու ուցալսանրուսուտ նոցալու մռյւցյուլուա մնու-շ-ցնելուցան արյալքի. իրուլու-ալմուսացլուտուան յարիելուս մռուատա ևսաթյմուտ ոցու ցանույուց մաշաելուսա դա աչարուսացան, ալ-մռուացլուտու - ևսայուրուց յլարջյուտուսա դա արցանշյուչուսացան,

სამხრეთით – ტაოსაგან ორჯოხის და არსიანის მთათა სისტემით, ხოლო დასავლეთით ებჯინება ორჯოხის მთასა და ლაზეთის ქედს.

ისტორიული ნიგალი კლარჯეთის ნაწილი იყო. კლარჯეთი ტაოსთან ერთად მიეკუთვნება მსხვილ რეგიონულ ერთეულს, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა საკუთრივ კლარჯეთს, შავშეთს იმერხევითურთ და მაჭახლითურთ, აჭარას, არტანუჯს. ტაოს მიეკუთვნება: იმიერ და ამიერ ტაო, სპერი (დღევანდელი ისპირი), ოლთისი (დღევანდელი ოლთუ), ოოლგომი, ბასიანი და სხვა. ყველა ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი სამხრეთ საქართველოს (მდ. მტკვრის აუზის) სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა მესხეთის, ანუ ისტორიული ზემო ქართლის შემადგენლობაში.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული დაყოფით ნიგალის ხეობა მოქცეულია ორი სახელმწიფოს – თურქეთისა და საქართველოს შემადგენლობაში, ხეობის უდიდესი ნაწილი (კ.წ. „საზღვარგარეთული“) მიეკუთვნება თურქეთის რესპუბლიკას. საქართველოს შემადგენლობაში რჩება ხეობის ბოლო ნაწილი რამდენიმე სოფლით (ქვედა მარადიდი, კირნათი, მაჭახლისპირი, გვარა, მირვეთი, შუშანეთი, კობალეთი, ძაბლავეთი, ზედა კირნათი). ზედა და ქვედა მარადიდს შორის გადის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის. ზედა მარადიდი თურქეთის შემადგენლობაშია, ქვედა მარადიდი – საქართველოს ეკუთვნის.

ნიგალის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილი მოქცეულია ბორჩხის, მურდულისა და ართვინის რაიონებში, რომლებიც დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მიეკუთვნება ართვინის ვილაჟეს. სწორედ ართვინის ვილაჟეტში შედის ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული რეგიონების უმრავლესი ნაწილი.

ნიგალის ხეობის საქართველოს ნაწილი მდებარეობს ხელგაჩაურის რაიონში (აჭარის რეგიონი): მაჭახლისპირი, კირნათი, გვარა, შუშანეთი, კობალეთი, ზედა კირნათი – მდ. ჭოროხის

მარჯვნივ, ხოლო ქვედა მარადიდი, მირვეთი და ძაბლავეთი – მდ. ჭოროხის მარცხნივ.

ნიგალის ხეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მე-18 საუკუნის ქართველი მეცნიერი, ბატონიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი (ბაგრატიონი, 1941). იგი წერს: ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ იწოდების ლიგანის ხეობად და არს ეს ლიგანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერ ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროვეულით, ლელვით, ვენახით, ხილით შემკბილი” (ბაგრატიონი, 1941, 136).

ვახუშტი მიუთითებს, რომ ნიგალი შედიოდა ანჩის საეპისკოპოსოში: „ანჩაში იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის-ტევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა“ (ბაგრატიონი, 1941, 135).

ნიგალისხევის ვახუშტისეულ საზღვრებს მეტ-ნაკლებად იმოწმებენ და ადასტურებენ ცნობილი მეცნიერები და მოგზაურები: ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, იური სიხარულიძე და სხვები.

„ნიგალისხევი ხარხანის ალპურ მდელოებამდე ადის,,, მას სურდა თავისი ბედი აღმოსავლეთით ბერთას ხევისათვისაც და-ეკავშირებინა (სიხარულიძე, 1985, 3-4),“ თუმცა დ. ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (ბაქრაძე, 1987, 38) მგზავრ ნეგაშევის მონათხობით, ლი-ვანის საზღვრები სამხრეთით სცილდება ვახუშტისეულ საზღვრებს და პარხალხაც მოიცავს.

გ. ყაზბეგი ლიგანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს პონტოს ქედზე, ჩხალისწყლის სათავეებში ასახელებს – „სოფელ ბორჩხასთან ჭოროხს მარცხნიდან ერთვის მდ. ჩაირ-სუ, რომელიც ლიგანასა და ლაზეთს შორის საზღვარს ქმნის“, ხოლო სამხრეთ-დასავლეთში ლიგანის პროვინციაში განიხილავს პარხალს, კლარჯეთის სამხრეთ ნაწილს, ნიგალის და შავშეთის

გამყოფ საზღვრად კი, არტანუჯისწყალთან იმერხევისწყლის შესართავს ასახელებს (ყაზბეგი, 1995, 121, 141, 105-106). „მოუდგომელი სივრცეა სათლელისწყლის სათავიდან იმერხევისა და არტანუჯის შესართავამდე, სწორედ აქ მდებარეობს საქართველოს ისტორიაში განთქმული ციხე წეფთა და არანაკლებ ცნობილი მონასტრები – ოპიზა და ბერთა, ... ეს ადგილები შავშეთის საზღვრებს გარეთ, ლივანის პროვინციაშია, ...გორგოთხანიდან, რომელიც არტანუჯიდან შვიდი ვერსის დაშორებით მდებარეობს გზა მდინარის გაყოლებით გადის იმერხევისწყლის შესართავამდე, იმერხევისწყალზე იგი სახელდახელოდ ხიდზე გადადის და პროვინცია ლივანაში (იხ. რუკა 2) შედის....ლივანის ტერიტორიზე ჩვენ ვეწვიეთ ამ ტერიტორიის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებს – პარხალისა და კობაკის ხეობებს” (ყაზბეგი, 1995, 87, 105-106, 121, 141). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ლივანი იწყება მარადიდის ხეობიდამ და თავდება კლარჯეთის მიჯნაზე” (ჭიჭინაძე, ტფ., 1917).

სხვაგან, ასევე, წერს: ლივანი ძველად იწყებოდა შესართავთან და იქიდან ართვინამდის მიემართებოდა. ართვანს იქით კი, ანუ ბერთას საზღვრიდან კლარჯეთი იწყებოდა. დღეს აქეთ კლარჯეთის სხენება არავინ იცის, ყველა ლივანას უწოდებს ამ ადგილებს (ჭიჭინაძე, 1912, გვ. 17.) სხვათა შორის, უნდა ადინიშნოს, რომ ზ. ჭიჭინაძე ლივანის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტით შემოსაზღვრავს. ი. სიხარულიძეც მიუთითებს, რომ ნიგალისხევს შესაძლოა ბერთას ხევში ემია სამეურნეო ცხოვრების ატრიბუტები (სიხარულიძე, 1985, გვ. 4).

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ნიგალისხევი განცალევებული ხევი არ ყოფილა, იგი მოიცავდა ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს, რომელიც დაახლოებით უდრიდა ართვინის ოლქის ტერიტორიას მდ. ჭოროხის ორივე მხარის ჩათვლით. სახელი ნიგალისხევი ოსმალებმა ლივანედ ანუ ლივანად შეცვალეს (თაყაიშვილი, 1991, 197-198, 227).

ექ. თაყაიშვილის აზრით, ლიგანა ლიბანას სახით დღესაც დაცულია. ეს არის სოფ ჩიხორის ერთ-ერთი უძნის (მგჰელეს) სახელი. იმოწმებს ნიკო მარს (იქვე: Mapp H, 1911, 28, 79).

ლიბანს სოფელ ჩიხორის ერთ-ერთ უძნად დღესაც ადასტურებს ნ. ცეცხლაძე (ცეცხლაძე, 2000, 192).

აღ. ფრენკელიც ლიგანის ყაზაში აღწერს ოიკონიმებს, რომელიც მოიცავს პარხალს და კლარჯეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს (Френкель, 1879, 150-151).

როგორც ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი ჭოროხის იმიერ და ამიერში და ართვინის სანახებში ნიგალის დანარჩენ ტერიტორიასთან ერთად გულისხმობდა კლარჯეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილს და პარხალსაც. ნიგალის საზღვრების შესახებ ამგვარი ცნობების არსებობა შემთხვევითი არ არის. ეს განპირობებული იყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის იმ რეჟიმით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა აქ. კერძოდ, ნიგალი, როგორც აღვნიშნეთ, წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენება აღრე შუასაუკუნეებიდან. ამ პერიოდში იგი ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო IX საუკუნიდან იგი ტაო-კლარჯეთის სხვა ტერიტორიებთან ერთად ქართველთა საკურაპალატოში (ისტორიული ტაო-კლარჯეთი) იყო მოქცეული. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქიის ფორმირების კვალდაკვალ ნიგალი საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში იყო. XII საუკუნეში ნიგალის მოსაზღვრე პროვინციები იყო პარხალი (სამხრეთით), კლარჯეთი (აღმოსავლეთით), მურდული (დასავლეთით) და შავშეთი (ჩრდილოეთით).

უნდა აღინიშნოს, რომ ნიგალის (ნიგალისხვის) გეოგრაფიული საზღვრები ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფიდან გამომდინარე პირდაპირ არ მოიცავდა მის უკედა ნაწილს. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხშირად იცვლებოდა მისი პოლიტიკური-გეოგრაფიული საზღვრები. ხშირ შემთხვევაში მის შემადგენლობაში ექცეოდა მეზობელი პროვინციების საზღვრები, ან იგი თვითონ კარგავდა კონტროლს თავის რომელი-

მე ნაწილზე, ძალიან ხშირად ნიგალის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ნაწილები – მურღული და ფორჩხა არ იყო მის შემადგენლობაში. ეს უკანასკნელი XII საუკუნის II ნახევრიდან გურიის საერისთავოს საზღვრებში იყო მოქცეული, ხოლო თვითონ ნიგალი კლარჯეთის.

XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს ნიგალი მურღულისა და ფორჩხის გარეშე სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია. ხოლო XV ს-ში უკვე მურღული სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია, ხოლო ფორჩხა სამცხის მთავარმა გურიის მთავარს გადასცა. XVI ს-ის I ნახევარში იმერეთის სამეფო მცირე ხნით ახერხებს ნიგალზე კონტროლის დამყარებას, თუმცა ამავე საუკუნის II ნახევარში ოსმალეთი იპყრობს ნიგალს. ამდროისთვის ნიგალიც, მურღულიც და ფორჩხაც ცალკალკე პროვინციებს წარმოადგენდა.

ოსმალეთის დაპყრობების კვალდაკვალ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ადმინისტრაციულმა დაყოფამაც სახე იცვალდა. ნიგალის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოექცა ახლად შექმნილი ჩილდირის ვილაეთის (ახალციხის საფაშოს) შემადგენლობაში ლიკანას (ნიგალის) სანჯაყის სახით, ხოლო ნიგალის მცირე ნაწილი – ფორჩხა მოექცა ტრაპიზონის ვილაეთის გონიოს სანჯაყის შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მმართველობის დროს არ-სებობდა ორი ლიკანას სანჯაყი: ლიკანას სანჯაყი და პატარა (ნისფი) ლიკანას სანჯაყი. ამ უკანასკნელის საზღვარი სამხრეთით თუხარისამდე გრძელდებოდა და მისი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი ლიკანა (პატარა ლიკანა) იყო. ამ დროს ლიკანას სანჯაყს ესაზღვრებოდა: დასავლეთიდან ტრაპიზონის ვილაეთი, სამხრეთით – ფერთექექის (ძვ. პარხალი) სანჯაყი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ნისფი ლიკანას და არტანუჯის სანჯაყები, ხოლო ჩრდილოეთიდან – მაჭახლის სანჯაყი, რაც შეეხება ნისფი ლიკანას საზღვრებს, მას დასავლეთიდან – ფერთექისის და ლიკანას სანჯაყები, ჩრდილოეთიდან – ლიკანას

და არტანუჯის სანჯაყები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არტანუჯის სანჯაყი ემეზობლებოდა.

XVIII ს-ის II ნახევარში ჩილდირის ვილაეთს (ახალციხის საფაშოს) ტერიტორიული ცვლილებები თითქმის არ განუცდია, მხოლოდ ბორჩხის რაიონი, რომელიც ამ საუკუნის გარკვეულ პერიოდში ეკუთვნოდა ლივანას სანჯაყს, შევიდა გონიოს სანჯაყში (ტრაპიზონის ვილაეთი). ამ დროს ვილაეთის შიდა აღმინისტრაციულ დაყოფაში მოხდა ცვლილებები. ლივანას და ნისფი ლივანას სანჯაყები გააერთიანებს, მას, ასევე, შეუერთეს ფერთექრექის ყოფილი სანჯაყის უდიდესი ნაწილი (ძვ. პარხალი). ამრიგად, ლივანას საზღვრები მნიშვნელოვნად გაიზარდა და მას ესაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან – მაჭახლის სანჯაყი, დასავლეთიდან – ტრაპიზონის ვილაეთის გონიოს, არხავის და ათინას ყაზები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ისპირის, ქისკიმის და ტაოსკარის სანჯაყები, აღმოსავლეთიდან – ტაოსკარის, არტანუჯის და იმერხევის სანჯაყები. ლივანას საზღვარი სამხრეთი ისპირამდე გრძელდებოდა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს XVI ს. და XIX საუკუნის 20-იანი წლების ახალციხის საფაშოს რუკებს, დავინახავთ, რომ დასავლეთ მესხეთის აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი, XVIII და XIX სს. მიჯნაზე ნაცვლად მსხვილი ლივებისა (სანჯაყები), უფრო წვრილი აღმინისტრაციული ერთეულები დომინირებენ.

ოლთისის ლივა ოლთისის, ნარიმანის ქისკიმისა და ტაოსკარის სანჯაყებად დაიშალა, ასევე ისტორიული შავშეთის ტერიტორიაც შავშეთის, იმერხევისა და მაჭახელას სანჯაყებად დაიყო: ძველი კლარჯეთი კი ლივანისა და არტანუჯის სანჯაყებად დაქუცმაცდა (ცინცაძე, 1980, 58-59).

XIX ს. 20-იანი წლების რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მიერ შედგენილი ახალციხის საფაშოს მიერ შედგენილი რუკის მიხედვით არტანუჯის სანჯაყი – მდ. არტანუჯის ხეობას და ძველი კლარჯეთის ქვეყნას ემთხვეოდა; ლივანის სანჯაყი (ძველი ლივანი) – ჭოროხის ქვემო წელსა და ძველი

ქართული პროგინციის – ლიგანისხევის ძირითად ნაწილს (მეტი ლიგანის ხევის ის ნაწილი, რომელიც დაღისტი-თეფეს (ბორჩხის მთები) ქედსა და მდინარეების – ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავს შორის მდებარეობდა, ამ დროისთვის უკვე ადარ ეკუთვნოდა ლიგანის სანჯაყს და ის ტრაპიზონის ვილაეთის გრინის სანჯაყში შედიოდა (იქვე, 59).

XIX ს-ში ჩილიდირის ვილაეთის (ახალციხის საფაშოს) გაუქმების შემდეგ ვილაეთის ყოფილი ტერიტორიები გადანაწილდა ტრაპიზონის და არზრუმის ვილაეთებში. ლიგანის სანჯაყის ნაცვლად შეიქმნა ლიგანას ყაზა, რომლის ტერიტორია საგრძნობლად გაფართოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ჩრდილოეთიდან ლიგანას ყაზას ესაზღვრებოდა ტრაპიზონის ვილაეთის აღმინისტრაციული ერთეულები – მაჭახლის ნაჰიე, დასავლეთიდან – გრინის, ხოფას და ხემშენის ნაჰიები, სამხრეთიდან – ისპირის და ქისკიმის ნაჰიები, აღმოსავლეთიდან – ტაოს, არტანუჯის და შავშეთის ნაჰიები. ამ დროს ჩრდილო-აღმოსავლეთით ოპიზა ლიგანის ყაზაში შედიოდა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ახალ ტერიტორიულ აღმინისტრაციულ დაყოფას დაექვემდებარა. ნიგალი მოექცა ქუთაისის გუბერნიაში მყოფ ართვინის ოკრუგის შემადგენლობაში\*.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე ნიგალი მიმდებარე ტერიტორიებით ოსმალო დამპყრობლების ხელში იყო. ამ დროის ისტორიამ ჩვენს ქვეყანაზე ცოტა რამ შემოგვინახა.

სხვადასხვა დროს ოსმალეთის ხელისუფლებამ დაპყრობილი ტერიტორია ვილაიეთებად, საკაიმაკამოებად, ყაზებად და

\* ნიგალის მოცემული საზღვრები აღებულია საქართველოს ისტორიულ ატლასში მოცემული რუკების მიხედვით. ატლასი მომზადებულია (კომპიუტერული ვერსია) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. მთ. რედ-აქტორი დ. მუსხელიშვილი, გამომც. „არტანუჯი“.

ნაპიებად დაყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის ხელი-სუფლებამ მოგვიანებით ნიგალი ტრაპიზონის ვილაიეთში შემა-ვალ ლაზისტანის საფაშოში გააერთიანა, საფაშო სამ საკაიმა-კამოდ იყოფოდა, ერთ-ერთი იყო ლივანის საკაიმაკამო, რომელ-შიც მაჭახლისა და ლივანის ყაზები შედიოდა (**პალგრევი, 1972. № 588.**)

მე-17 საუკუნის ისტორიკოსი ევლია ჩელები ჩილდირის ვი-ლაეთში შემავალ 13 სანჯაყს შორის ასახელებს ორ ლივანას: ლივანასა და მცირე ლივანას, როგორც ცალკე დამოუკიდებელ ერთეულს (**ჩელები, 1971, 299.**)

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ლივანა დღევანდელი ნიგალის ხეობის სახელი ყოფილიყო, ხოლო „მცირე ლივანა“ – ართვინისა. საყურადღებოა ისიც, რომ ევლია ჩელები თავის წიგნში ართვინს არ ასახელებს. იგი ლაზისტანის სანჯაყში შემავალ 13 სანჯაყს შორის ჭოროხის მხარეში ჩამოთვლის მხოლოდ არტანუჯს, შავშეთს და მაჭახე-ლს” (**მალაყმაძე, 2008, 31.**)


აკად. დ. მუსხელიშვილის რედაქტორობით გამოცემულ სა-ქართველოს ისტორიულ ატლასში ნათლად ჩანს „ლივანას“ და „მცირე ლივანას“ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები. ჩვენ, ზემოთ, იქ, სადაც ვსაუბრობთ ნიგალის საზღვრებზე, აღ-ნიშნული გვაქვს, რომ პატარა ლივანას სანჯაყი ართვინიდან კარგა მოშორებით, სამხრეთში იყო და იგი ვერ იქნებოდა არ-თვინის სახელწოდება. უფრო მეტიც, თვით პატარა ლივანის სანჯაყში, სამხრეთით, თუხარისთან ახლოს, იყო დასახლებუ-ლი პუნქტი ლივანას (ზოგიერთ წყაროში პატარა ლივანას) სა-ხელწოდებით.

რესეთის მმართველობის დროიდან (1878 წ.) იწყება ჭორო-ხის აუზის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ამ დროს შემოუქერთდა საქართველოს ჩილდირი, კოლა, ფოც-ხოვი, ოლთისი, არტანუჯი, ნიგალი. 1883 წელს შეიქმნა ბათუ-მისა და ართვინის ოკრუგები. ართვინი გაიყო სამ უბნად, არ-თვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის (**Чорохский край,**

**1887, c. 46).** თავის მხრივ უბნები დაიყო სასოფლო საზოგადოებად. ართვინის ოქროგში გამოიყო თღლაურის სასოფლო-საზოგადოება, სადაც გაერთიანებული იყო 27 სოფელი: ზედა მარადიდი, ბერძნევი, ბელლევანი, ბაშელი, მირვეთი და სხვა (დიდმანიძე, გოგიტიძე, 19, 34)


1921 წლის მოსკოვის და ყარსის ხელშეკრულებების მიხედვით ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ნიგალის ხეობაც, თურქეთის შემაღლებნლობაში დარჩა, საქართველოს ნიგალის ხეობის რამდენიმე სოფელი (ქვ. მარადიდი, კირნათი, გვარა, მაჭახლისპირი, მირვეთი) შეუნარჩუნდა.

ରୂପା 1



ମୁଦ୍ରଣ 2

ମେଜା N13



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
3. თაყაიშვილი ე., სამუსლიმანო საქართველო, დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, ტ, I, შემდგენელი გურამ შარაძე, თბ., 1991.
4. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. მალაუმაძე რ., ლიგანის ხეობა, თბ., 2008.
6. პალგრევი ვ, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძის, ბათ., 1972. ინახება აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588.
7. სიხარულიძე ი., ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, ბათ., 1985.
8. საქართველოს ისტორიული ატლასი (კომპიუტერული ვერსია) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. მთ. რედაქტორი დ. მუსხელიშვილი, გამომც. „არტანუჯი“.
9. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხესიშვილის მიერ, თბ., 1955.
10. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995.
11. ცინცაძე ზ., „ჯოროხის აუზის ტერიტორიულ-აღმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნეება და მეოცე საუკუნის დასაწყისში“, კრებ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბ., 1980.
12. ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000.

13. Հովհաննես Ն., Թյաղալման յարտցըլոծ և մատուցողական աշխատավայրի մասին, Երևան, 1917.
  14. Հովհաննես Ն., յարտցըլ մաշմագութեան դօքո գագաթական աշխատավայրի մասին, Երևան, 1912.
  15. Իշխանոս, Առաջնային բարեկայի պատրիարքական տարրեական գոմելիքարքի և գամունքագլուխ գայթական գոտը գոյացության մասին, Երևան, 1971.
  16. Армянская география VII в., Патканова, приписываемая Майкелу Хоренскому, С. П. 1887, с. 39-40; Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Ереван, 1971.
  17. Марр Н. Я. Дневники поездки в Шавшетию и Кларджецию, «Георгий мерчул, Житие в Григория Хандзтийского», СПБ, 1911.
  18. Френкель Ал., очерки чуруксу и Батума, Тифлисъ, 1879.
  19. Чорохский край (Военно-статистический очерк) выпускъ I, составилъ Генерального штаба Польковника В. Я. Лисовский, Тифлисъ, 1887.

## **Eter Beridze**

### **Historical Borders of Nigali**

#### summary

The gorge of Nigali is one of the most important historic-geographic region of south-west Georgia.

From the north-east Nigali is separated from Machakhela and Adjaria by the mountains of Karchkhali, from the north it is separated from Klarjeti and Artaniju, from the south it is separated from Tao by the Orjokhi and Arsiani mountains, and from the west it borders the mountain of Orjokhi and Lazeti.

It is denoted in the article that geographical borders of Nigali as a result of the country's territorial-administrative disjoint did not always include all of its parts. Its political-geographical borders often were changed along the different stages of history. Neighboring borders were often conquered by Nigali and other times it would lose control over its territories, therefore its important geographical parts Murguli and Borchkha often were not its parts. Thus territorial and administrative borders of Nigali in different times either would enhance or lessen.

## ემზარ მაკარაძე

### მუსტავა შემალ ათათურქის ოოლი ისლამისა და ლაიციზმის საკითხებზე რესაუგლიძე თურქეთში

თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკაში რელიგიის საკითხი წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს. ამ საკითხმა ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად იჩინა თავი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და გრძელდება დღემდე.

ისლამი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიაა მსოფლიოში, რომელსაც მიღიარდ ზე მეტი აღმსარებელი პყავს. თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობის 98% სწორედ სუნიტური მიმდინარეობის მუსლიმია. საუკუნეების მანძილზე ეს ქვეყანა წარმოადგენდა უაიდეგანო ისლამურ სახალიფოს, სადაც რელიგია მოიცავდა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს. რესპუბლიკური თურქეთის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმებმა კი ეს ქვეყანა საერო, ლაიცისტურ სახელმწიფოს და ოფიციალურად აკრძალა მისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება.

თანამედროვე თურქეთის ცხოვრებაში ისლამის როლის შესწავლისას ურიგო არ იქნებოდა, წარმოგვეჩინა მუსტაფა ქემალ ათათურქის შეხედულებები ისლამზე, როგორც რელიგიაზე.

რესპუბლიკური თურქეთის ისტორიული განვითარება წარმოუდგენელია მუსტაფა ქემალ ათათურქის გარეშე. იგი ქვეყნას ყველაზე მძიმე წლებში ჩაუდგა სათავეში (1918-1923) და სამართლიანადაც ითვლება რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლად. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, რელიგიის დამცველიც, სახელმწიფო მოღვაწეც და რევოლუციონერიც.

საკითხის შესწავლის პროცესი, აუცილებელია განისაზღვროს ათათურქის, როგორც მუსლიმის დამოკიდებულება. ამ მხრივ საინტერესოა მის მიერ წარმოთქმული მოსაზრება:

„რელიგია არსებობს და საჭიროა ..... ურწმუნო ხალხს ცხოვრება არ უწერია.” მისივე აზრით „თურქი ხალხი, რომ ერად ჩამოყალიბდა და აქვს ძალა ერთობისა და ცხოვრებისა – ამის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ძარღვი სწორედ რელიგია და რწმენაა. ოსმალეთის სახელმწიფო, რომ დაცემის გზას დაადგა, ამის უკეთესობაზე უდიდესი მიზეზთაგანი – რელიგიის და რწმენის დასუსტება იყო.... ჩვენი ხალხი იმის პატრონია, რასაც რელიგია და მისდამი რწმენა ჰქვია. ამ ღირსებას ვერანაირი ძალა გერ ამოძირებავს მათი გულებიდან (Atatürk ve Kur'an; „Konferans,” №18, 1996).”

როგორი იყო რელიგიისადმი ათათურქის დამოკიდებულება? თურქები ამბობდა ათათურქი – „სანამ მათ შეგნებაში ისლამის სხვადასხვა გაგება არსებობს, ყოველთვის ნგრევაში იქნებიან. წარსულ ჩვევებს შეჩვეული და რწმენას გადაჩვეული, ნამდვილი ისლამიდან დაშორებული თვითონვე მტერბის კლანებში მოექცენ. რისი ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ მათ რელიგიას ევროპული გადახრა ჰქონდა, ნამდვილ ისლამს კი სხვანაირი გაგება და შეგნება სჭირდება (Djem, 1975).” ამ სიტყვებით, ათათურქმა თურქ ხალხს აჩვენა „ნამდვილი ისლამიდან შორს დგომა და რეალური ისლამის სინამდვილეების არ მიღება.”

აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რა იყო ეს ”ნამდვილი ისლამი?” თუ თურქი ხალხი ამ სახელით სხვა რწმენას მისდევდა? ამ კითხვას თვით ათათურქი ასე პასუხისმგების: ”თურქ ხალხს აზიელებთან შედარებით სხვა, განსხვავებული, გაევროპულებული რწმენა ჰქონდათ, დიას ის რწმენა, რაც თურქ ხალხს გააჩნდა, ”ნამდვილი ისლამისაგან” შორს იდგა, მას თურქეთი განახლებისაენ კი არა, სიბრძელისაენ მიჰყავდა. ამ ლტოლვის გაჩერების ერთადერთი გზა არის ”ნამდვილი ისლამის ხელახლა აღდგენა.”<sup>12</sup> ამის საფუძვლად ათათურქი თვლიდა საზოგადოებრივი აზროვნებისა და მეცნიერების განვითარებას, რაც ყურანის ახლებურად გაგებას შეუწყობდა ხელს.

მუსტაფა ქემალი ყოველნაირად ცდილობდა ყურანი თურქებისათვის გაუგებარი ენიდან მშობლიურ ენაზე ეთარგმნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ის დასძენს: ”თურქებისათვის წმინდა წიგნი ყურანი თურქულად ნათარგმნი უნდა იყოს, რადგანაც მღვაცელები მას ვერ კითხულობენ და უცოდინრად ეცდებიან მის გაგებას. ჩემი მიზანია გაიგოს თურქმა ხალხმა, თუ რა წერია შიგ.”<sup>10</sup> აქედან გამომდინარე, მისივე პრანებით დაიწყეს ყურანის თურქულ ენაზე თარგმნა. თხუთმეტ წელიწადში ითარგმნა ყურანი, ცხრა განმარტებითი ლექსიკონით.

ათათურქი ყურანს ”ყველაზე საუკეთესო” წიგნს უწოდებდა, ხოლო მჟამალი ყველა მუსლიმისათვის სათაყვანებლად და მისაბაძად მიაჩნდა. ის ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ”მთელი მსოფლიოს მუსლიმებო, ღმერთის ბოლო მოციქულის წმინდა მჟამალების მიერ ნაჩვენებ გზას უნდა გავჰვეთ და მის მიერ მოცემული შეგონებები სისრულეში უნდა მოვიყვანოთ. ყველა მუსლიმმა წმინდა მჟამედისაგან მაგალითი უნდა აიღოს და მასავით იმოქმედოს. მწერვალს მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ და ხალხიც თავისუფლებას მოიპოვებს (Sendayi Nedin, 1965).

ათათურქის ცხოვრებაში მთავარი აღგილი ეჭირა რწმენისა და სულის თავისუფლების იდეას. ის რწმენის შემდეგნაირ განმარტებას იძლევა: ”რწმენა ყველასათვის საჭირო მცნებაა. არ არსებობს რწმენის გარეშე ერის შენარჩუნება, რწმენა ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობაა. თურქი ერი უფრო მორწმუნე უნდა იყოს, სულიერი სიწმინდით და უმანკოდ უნდა აფასებდეს მუსლიმების. ჩვენი სარწმუნოება ყველაზე რგალური და ბუნებრივია, ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ იგი ბოლო და სამუდამო სარწმუნოებაა. ეს რომ ბუნებრივი იყოს, საჭიროა ეთანხმებოდეს: ჰქონას, გონიერას, აზროვნებას და მეცნიერებას (Ançι Naci, 1981).

ისლამთან დაკავშირებით არსებულ ქემალიზმის პრინციპებიდან (რესპუბლიკურობა, ნაციონალიზმი, ლაიციზმი, ხალხუ-

რობა, ეტატიზმი, რევოლუციურობა) ათათურქი გამოყოფს დაიკიზმს.

ლაიციზმი (ლაიქლიქ, წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „Laicite,, რაც საერო ხასიათს ნიშნავს) გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. თურქეთის 1924 წლის კონსტიტუციაში ჩადებული დებულება „სახელმწიფო რელიგია ისლამია,” გაუქმდა 1928 წლის 10 აპრილს №1222 კანონით. ათათურქი ამ ფაქტთან დაკავშირებით აცხადებდა: „ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას, არ ვერინააღმდეგებით არავითარ აზრებს და აზროვნების წესს. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ რელიგიური და სახელმწიფოებრივი საქმეები არ აირიოს ერთმანეთში (Atatürk’ün Söylev ve Demeçler, 1945-1959).“

1922 წლის 1 ნოემბერს ათათურქის ძალისხმევით გაუქმდა სასულთნო, ხოლო ცოტა მოგვიანებით 1924 წლის 29 თებერვალს კი სახალიფო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, 1 მარტს თურქეთის დიდი ეროვნული კრების გახსნის დღეს, ათათურქმა მოხსენება გააკეთა - „ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების წინააღმდეგ” და შეახსენა დეპუტატებსა და საზოგადოებას რელიგიის ჭეშმარიტი დანიშნულების შესახებ.

1924 წლის 3 მარტს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო მნიშვნელოვანი კანონი - ხალიფატის ლიკვიდაციის შესახებ. ხალიფატის გაუქმება მოხდა კანონით, რომელსაც, როგორც ცნობილია მხარი დაუჭირა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ.

1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც მომზადებული იქნა დიდი ეროვნული კრების მიერ, არც ერთი კონფესია არ იქნა აღიარებული სახელმწიფო რელიგიად. მაგრამ 1923 წელს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებით, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული იქნა ისლამი. ეს დებულება, რომელიც შენარჩუნებული იქნა 1924 წლის კონსტიტუციაშიც, საბოლოოდ მოხსნილი იქნა 1928 წელს. ამით დასრულდა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პროცესი.

ათათურქი ქვეყნის საერო მმართველობაში დაიციზმს დიდ ადგილს უთმობდა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში ის-

ლამი თურქეთში საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრული იდეოლოგიური ფაქტორი იყო. ალბათ ამ ფონზე ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინა მას ლაიციზმი და როგორ ახორციელებდა მას ქვეყნის ცხოვრებაში.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ „ლაიციზმის“ პირდაპირი მნიშვნელობა რელიგიის სახელმწიფოდან გამოყოფაა, მაგრამ ათათურქისეულ „ლაიციზმს“ უფრო მრავალმხრივი და ამასთანავე კერძო მნიშვნელობაც გააჩნია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათათურქის მოსაზრებაც: „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში – რესპუბლიკა ხედავს ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს (Atatürk Kemal, 1973).

მათი აზრით, „ლაიციზმი“ რესპუბლიკურ თურქეთში უზრუნველყოფს პიროვნების სულიერ, ფიზიკურ და რელიგიურ თავისუფლებას, სასულიერო და საერო დაწესებულებების ხელშეუხებლობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რელიგიური უფლებების დაცვას და კონკრეტულად, რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან.

მუსტაფა ქემალ ათათურქის აზრით, სახელმწიფოს მმართვის, მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციის საფუძველია არა რელიგიური ელემენტები, არამედ მეცნიერული სიახლენი, მოდერნიზირებული ტექნოლოგია. სწორედ ამგვარი ქმედებითაა შესაძლებელი თურქულ სამაროში არსებული ყველა დაწესებულებების ამოქმედება და განვითარება თანამედროვეობისათვის მისაღები ფორმებითა და მეთოდებით. იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის ბოროტად გამოყენებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით ის აცხადებდა: „ჩვენი მუზები ციდან ან იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინებიან, მათ ცხოვრება გვიძადებს. ჩვენი გზების მაჩვენებელია სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს თურქი ხალხი და გქმნით ჩვენს ისტორიას. მძიმე ხვედრი და ტანჯვა კი ჩვენი მუზებისაგან მოდის“ (Atatürkçülük, 1997).

ლაიციზმის ამგვარი მიდგომა რელიგიისადმი, უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ მცდარ შეხედულებას, ქვეყნის ცხოვრ-

ებაზე. ასეთ გარემოში კი რელიგიას უნდა მიეცეს მისი კუთვნილი ადგილი. ამ თვალსაზრისით ათათურქისეულმა ლაიცი იშმა საშუალება მისცა რელიგიას, სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

სახელმწიფო საქმიანობისა და ისლამის შესახებ მუსტაფა ქემალი იძლევა შემდეგ მოსაზრებას: ”სარწმუნოება სულის საქმეა, ყველა თავის სულის ბრძანებაში თავისუფალია. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვმუშაობთ, რომ სარწმუნოების საქმეები სახელმწიფო და საერო საქმეებს არ შეერთოს. ამით კი, თავშეუპავებელ მოქმედებას ავიცილებთ თავიდან (Armaner Neda., 1997).”

ამ ვითარებიდან გამომდინარე, ათათურქი რელიგიურობის წინააღმდეგ კი არ გამოდის, არამედ იმათ წინააღმდეგ ვინც სარწმუნოებას იარაღად იყენებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა მისი კიდევ ერთი შეხედულება: ”იმათ, ვისაც სურდა თურქი ხალხის არასწორ გზაზე დაყენება, იცოდნენ, რომ ეს არ გამოუვათ. ჩვენი წმინდა, უბრალო ხალხი შარიათით მოატყევს. ისტორია წაიკითხეთ, დაინახავთ, რომ ხალხის ყველა ცუდი საქციელი სარწმუნოების საფარველ ქვეშაა წარმოდგენილი, ხოლო ყველა კარგ საქციელს კი სარწმუნოებას უკავშირებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველანი მუსლიმები, ერთმორწმუნენი ვართ; ეხლა უკვე აღარ ვსაჭიროებთ სარწმუნოებით ჰქუის სწავლებას. ჩვენი მშობლებისაგან მოცემული გაკვეთილებიც კი რწმენის საზღვრების ახსნისათვის საქმარისია, განსაკუთრებით კი სარწმუნოებისათვის. ყველას ხელთ ერთი და იგივე საზომი არის. დღეს, ხალხის უცოდინარობის, გაუცნობიერებლობის და თავშეუკავებლობის გამოყენება რწმენის იარაღად მიუღებელია, რადგანაც მასში მონაწილეებს ყველგან მსხვერპლად აქცევენ (Bulut Faik., 1995).”

ათათურქი თავისი ქვექნისა და ერის დიდი ქომაგი და დამცველი იყო, ის ხშირად ლოცავდა სამშობლოს და ღმერთის წინაშე ინანიებდა იმ ცოდვებს, რაც მან თურქეთის რესპუბლიკის საკეთილდღეოდ ჩაიდინა. 1922 წლის 31 აგვისტოს ბერძნებთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ათათურქი დმერთს

ეველრებოდა: ”ღმერთო ჩემო, მე არ დამსაჯო, მე ამ ცხელრების მიზეზი არ გაგმხდარვარ, ბერძნები ჩემს ქვეყანაში შემოვიდნენ და ჩემი სახელმწიფოს ნამუსი, თურქობა არაფრად ჩათვალეს და იმ ხალხის, რომელიც შენზე ლოცვით არსებობს, ამოქლება მოინდომეს. ღმერთო, ქვეყნის გადარჩენა ტყვიით მოხდა, მაგრამ ფაქიზი სულის გამარჯვება ისე მომხდარიყოს, როგორც თქვენ ინებებთ (Atatürk’ün Söylev ve Demeçler,“ 1945-1959).

საინტერესოა, ათათურქის მიერ ხალხის მიმართ დაწერილი საბოლოო ანდერძი: ”ქვეყანაზე, ყველა ერთი რანგისაა. ყველას ესაჭიროება რწმენის აუცილებელი მოვლენების შესრულება (მდიდარისა თუ დარიბისა), იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ შეისწავლოს რწმენის სიყვარული, მასზე მომსახურებას კი ერთი ადგილი სჭირდება და ეს წმინდა ადგილი სკოლადა (Atatürkçülük, 1997).“

მუსტაფა ქემალის შეხედულებებიდან და ქემალისტური პრინციპების დადგენიდან 85 წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე ისლამისა და ლიაციზმის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და თქმულა. წარმოდგენები ამ საკითხის მიმართ გამომდინარეობდა ისტორიული წარსულითა და სახელმწიფო იდეოლოგიის იმ ფორმით რასაც საუკუნეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა თურქეთის ცხოვრებაში, რომელსაც უნდა დაეცვა სიწმინდისა და სარწმუნოების თავისუფლება რესპუბლიკურ თურქეთში.

## **Emzar Makaradze**

### **The role of Mustafa Kemal Ataturk in Islam and Laiklik in modern Turkey**

#### **Summary**

The issue of religion is a very interesting metter of the modern Turkish domestic politics. It became important issue at the end of the XXth and begganing of the XXIth centuries.

Today as we research the role of Islam it would be usefull to show the view of Mustafa Kemal Ataturk in Islam and Laiklik.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Atatürk ve Kur'an; „Konferans,” №18, 1996.
2. Atatürkçülük (üçüncü kitap), Atatürkçü Düşünce Sistemi. İstanbul, 1997.
3. Atatürk'ün Söylev ve Demeçler, c.1-3, Ankara, 1945-1959.
4. Atatürk Kemal, Nutuk, c.II, İstanbul, 1973.
5. Ançı Naci, Atatürk İlkeli ve Türk Devrimi, Ankara, 1981.
6. Armaner Neda., Atatürk-Din ve Laiklik, Atatürkçülük (ikinci kitap), İstanbul, 1997.
7. Bulut Faik., Tarikat Sermayesinin Yükselişi. İslam ekonomisinin eleştirisı. İstanbul, 1995.
8. Djem I. Türkiye'de geri kalmışlığın tarihi. İstanbul, 1975.
9. Karal E. Osmanlı Tarihi, CV. Ankara, 1970.
10. Kocatürk U., „Atatürk'ün Fikir ve Düşünceleri,” Ankara, 1971.
11. Sendayı Nedin, Atatürk (urdanca yayınlarında), İstanbul, 1965
12. Tarhanlı, İştar B. Müslüman Toplum, „Laik“ Devlet. İstanbul, 1993.

პოლიტიკური მარკეტინგი და საინფორმაციო-  
ჰიბრიდული მომსახური

თანამედროვე ეტაპზე საარჩევნო ტექნოლოგიების განვითარებაში პოლიტიკურ სუბიექტებს ხელისუფლებაში საკუთარი კანდიდატის გაყვანის შანსი გაუზარდა. დღეს „აღიარებული ლიდერობა“ „წარმატებული პოლიტიკოსის იმიჯის“ შექმნით არის მიღწეული. იგი გამარჯვებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: თვითდაჯერებულობას, მოწინააღმდეგეთა მიმართ შეუვალი პოზიციების დაფიქსირებას, ამომრჩეველთა პრობლემებისადმი ყურადღებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრაგმატულ პოლიტიკურ პროგრამას ეფუძნება. პოლიტიკოსი წარმოუდგენელია პოლიტ-ტექნოლოგთა, იმიჯმეიკერთა, პრომოუთვრთა, PR-ის და პოლიტიკური რეკლამის სპეციალისტთა გარეშე, რაღაც მხარდაჭერი აქცენტს ყოველთვის მის იმიჯზე, როგორც საფირმო ნიშანზე აკეთებს, ამიტომ ის ცდილობს **მისისა** და კომუნიკაციის საშუალებების ყველა სეგმენტი თვითსთვის სასარგებლოდ გამოიყენოს. საარჩევნო კამპანიის კონკრეტულ მომენტში კანდიდატი კარგავს თავის ინდივიდუალურ თვეშებებს და ის პოლიტიკურ ბრენდად გადაიქცევა, რომელიც მომხმარებელს, მეტად კი საზოგადოებას, არჩვენებზე წარედგინება. ცნობილი პოლიტ-ტექნოლოგი ჯ. სეგუელა, რომელიც შაპ შირაკის საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა (1995), აღნიშნავს: „მწერლისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსი ფართო მოხმარების პროდუქტია“ [1]. გამომდინარე აქედან, არ შეიძლება არ დავვთანხმოთ ტ. ლებედევას იმაში, რომ ლიდერთა ხელისუფლებაში მოსვლა და მიღწეული მდგომარეობის შენარჩუნება მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების მოედი არსენალისთვის მნიშვნელოვანი კომერციად [2].

თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიებში პოლიტიკოსის ბრენდი ისეთი საქონლის თვისებებს იძნს, რომელიც ამომრ-

ჩეველზე უნდა გაიყიდოს. აღნიშნულ პროცესში ბრენდის კომ-ერციული ლირებულება იმ ხმათა რაოდენობით განისაზღვრება, რომელიც მოცემული კანდიდატის მხარდასაჭერად დაგროვდება. კანდიდატის იმიჯის მხარდაჭერისა და ამომრჩეველისთვის მისი „მიყიდვის“ ტექნოლოგიები პოლიტიკური მარკეტინგის კონცეფციაშია გაერთიანებული. პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტი კომერციულისგან განსხვავებით განსაკუთრებული ტიპის პროდუქტთან, კერძოდ კი, კანდიდატის ბრენდთან მუშაობს, რომელსაც კერძო მომხმარებელი (ელექტორატი), რეალიზების საკუთარი ბაზარი (არჩევნები) და კომერციული ლირებულება გააჩნია.

პოლიტიკის და ბიზნესის სფერო მარკეტინგის კანონებით ფუნქციონირებს. თანამედროვე პოლიტიკაში ის ლიდერის იმიჯის შესაქმნელად ვითარდება და როგორც მის “შეფუთვასა” და ბრენდის დიზაინს, ისე ძირითადი კამპანიის თემებსა და მის ტონალობასაც კი მოიცავს [3]. საარჩევნო ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში (ან პროცესში) [4-6], კომერციული პროდუქტი არის არა ცალკეულ ლიდერთა იმიჯი, არამედ, კონკრეტული პოლიტიკური მოვლენაა, მისი თანმიმდევრულობაა. მთლიანობაში კი, აგრესორი-სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიმართულებაა (ვთქვათ, სავაჭრო ნიშანი - ბრენდი, რომელიც ამ შემთხვევაში ასოცირდება შეიარაღებულ შექრასთან) რომელიც, აუცილებელია წარმატებული შეიარაღებული კამპანიისთვის, ვთქვათ „სამშვიდობოების“ სამსედრო ოპერაციები, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ ქვეყანაში თავდასხმის მსხვერპლთა ანდა სისხლი-ანი დიქტატორისაგან გაუბედურებულთა გამოსახსნელად, შესაბამისად, მთელი მსოფლიოს საზოგადობის შესაძლო საფრთხის, ტეტორიზმისაგან თავის დასაცავად (2003 წლის ომი ერაყში) [7]. მსგავსი პროდუქტის მომხმარებელი, ვთქვათ სამსედრო კონფლიქტის სახით, რომელიც ბაზარზე საკუთარი სავაჭრო მარკით არის წარმოდგენილი, კვლავინდებურად საზოგადოებაა, სწორედ ის განსაზღვრავს პროდუქტის წარმატებულად

გაყიდვის შანსს. წარმატებული პოლიტიკური მარკეტინგის ნათელი მაგალითია ერაყის „განმათავისუფლებელი ომის” წარმატებული იმიჯი (2003 წლამდე), როდესაც რამოდენიმე თვის განმავლობაში მთელს მსოფლიოში მიღიონობით ტელემაყურებელი აღფრთვანებით ადეკვატურა თვალს მრავალსერიან რეპორტაჟებს კონფლიქტის ზონიდან და რომელმაც პოპულარობით ყველასთვის კარგად ცნობილ „საპნის ოპერებსაც” კი გაუსწრო. ამ შემთხვევაში ტელემაყურებელთა შეგნებაში „აუცილებელი ომის” იმიჯის ფორმირება შესაძლებელი გახდა ინფორმაციების ნაკადის კომპეტენტური მენეჯმენტით, კონფლიქტის ზონიდან წამოსული დოზირებული ინფორმაციით, რომელიც თანადათხობით, ყველაზე მცირე, ერთი ერის ტრაგედიიდან უფრო მარტივ – „საერთაშორისო ტერორიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის” ბრენდად გარდაიქმნა. აღნიშნული პროდუქტის შემდგომი პრომოუშენიც და მოხმარებაც, როგორც შიგა, ისე გარე აუდიტორიის მიმართ, სარეკლამო მარკეტინგის კანონებით წარიმართა, იმავე გზით, როგორც სხვა საქონელთან მიმართებაში ხდება.

დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ ამერიკელი ექსპერტების მიერ ერაყში მიმდინარე სამსედრო კონფლიქტის დროს შექმნილმა სავაჭრო ნიშანმა ან ფსიქოლოგიურმა ომმა, მოსახლეობის შეგნებაში ეფექტურად დანერგა აშშ-ს მმართველი პოლიტიკური ელიტის ფოკუს-იდეოლოგია შეიარაღებული ძალების პრევენციული დარტყმების მიზნებში გამოყენების შესახებ. საფასური, რომელიც საზოგადოებისთვის აღნიშნული იდეოლოგისთვის იქნა გადახდილი (კომერციული პროდუქტის) და რომლის პრომოუშენი ბაზარზე მისივე სავაჭრო ნიშით განხორციელდა, რეალურად ის დანაკარგებია, რომელიც აშშ-ს დღეს აქვს ერაყსა და ავღანეთში. გარდა ამისა, არსებობს მზარდი საფრთხე იმ ქვეყანათა მხრიდან, რომელთაც არც თუ უსაფუძვლოდ სწამო, რომ ავრესის შემდგომი ობიექტები თავად გახდებიან, ისევე როგორც გარდაუგადი იქნება საერთაშორისო უსაფრთხოების ათეული წლების განმავლობაში შექმნილი

პოლიტიკური და სახელმწიფოთაშორის ბალანსის რდვევა. პოლიტიკური კონფლიქტის „ბრენდის“ კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი აშშ-ის მიერ ირანის წინააღმდეგ შექმნილი და მხარდაჭერილი ფსიქოლოგიური ომია. პოლიტიკური მარკეტინგის იმავე კანონების თანახმად, სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის პრომოუშენისთვის შექმნილი, ერთგვარი სავაჭრო ნიშანი, რომელიც საგარეო პოლიტიკას მოხმარებისათვის მზა სარეკლამო-საგაჭრო პროდუქციის ნიშნებს ანიჭებს. ასეთი სარეკლამო ნიშანი აუცილებელია: 1) ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად; 2) ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფთა გადმოსაბირებლად; 3) პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა და ოპონენტთა დასაბნევად.

**Irakli Gorgiladze**

### **political marketing in operations of information-psychological war**

summary

Today, observing fast evolution of the election technologies allowing political forces to bring their candidate to the authority, we get more and more convinced, that success in elections of many well-known representatives of the authority is reached thanks to the successfully generated image of the politician combining a victory will, confidence in own power, pragmatic political program, rigidity toward contenders and "touching" attention to problems and cares of ordinary voters. The modern politician cannot manage without army of own policy-technologists, image-makers, promoters, specialists in PR and political advertising, who promote his image as a trade-mark using all opportunities of modern mass media and communications.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Seguela J. Ne dites pas à ma mère que je suis dans la publicité. P. Flammarion 1979. p. 175.
2. Lebedeva T. Ju. The way to authority. France: president elections/Editor Ja.N. Zasursky. – M.: Moscow University Press, 1995. – p.10.
3. Lebedeva T. Ju. The way to authority. France: president elections ..... – p.16.
4. Manoilo A. V., Gestion de la guerre psychologique dans le cadre de la politique informationnelle de l'Etat. – P.: Politique et société, №2' 2004
5. Manoilo A.V., Petrenko A.I., Frolov D.B., 2003: State information politics under the conditions of information – psychological war. – M.: Hot line – Telecom, 541 p.: fig.
6. Veprintsev V.B., Manoilo A.V., Petrenko A.I., Frolov D.B., 2005: Operations of information-psychological war. Methods, means, technologies: Short encyclopedic handbook. - M.: Hot line - Telecom - 495 p.: fig.
7. RIA Iran News, Information-psychological war: factors, determining format of the modern armed conflict (Andrey Manoilo, 22.07.05 11:33), [http://www.iran.ru/rus/news\\_iran.php?act=news\\_by\\_id&news\\_id=31796](http://www.iran.ru/rus/news_iran.php?act=news_by_id&news_id=31796)
8. Manoilo A.V., Information-psychological war: factors, determining format of the modern armed conflict. – Kiev: Proceedings of the V International scientific-practical conference “Information technologies and security”, №8, 2005 г., p. 73-80.

## ჯემალ კარალიძე

### რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში XVIII საუკუნის II ნახევარში

XVIII საუკუნე მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია კავკასიის ხალხთა ისტორიაში. ამიერიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ტრადიციულ მეტოქეებთან – ირანთან და ოსმალეთან ერთად აქტიურად ებძება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. XVIII საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთის ისტორიაში. საუკუნე დაიწყო პეტრე I მოღვაწეობით და დასრულდა ეკატერინე II მმართველობით. „ამ პერიოდში რუსეთის იმპერია გახდა უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო, ძლიერი არმიითა და ფლოტით.. რუსეთის პოლიტიკურმა, სამხედრო და ინტელექტუალურმა ელიტამ ევროპული ცივილიზაციის არაერთი მიღწევა შეითვისა“ (Россия и восток, 2002, 336) გაძლიერებული რუსეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა მისი პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპიის ზღვების აუზში. შავ ზღვაზე პორტების მშენებლობა, სრუბიების გავლით ხელთაშუა ზღვის აუზში გასვლა ბიძგს მისცემდა სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას დანარჩენ მსოფლიოსთან, რაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი განვითარება. „სწორედ ამიტომ სამხრეთის პოლდლემა გახდა მთავარი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და რუსული დიპლომატიის მოღვაწეობა დაექვემდებარა მის გადაჭრას (История внешней политики России, 2000, 110) რუსეთის მიერ შავი ზღვის აუზში ფეხის მოკიდება დამოკიდებული იყო ყირიმისა და კავკასიის პოლდლემების გადაწყვეტასთან. პეტრე I ბალტიისპირეთის საკითხის გადაჭრის შემდეგ სცადა სამხრეთის მიმართულებით მოქმედების გააქტიურება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მისი განხორციელება ვეღარ შეძლო. კავკასიაში გავლენის დამყარებას რუსეთის სახელმწიფო გეგმაზომიერად შეუდგა

ეკატერინე II მმართველობაში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში განსაკუთრებული იყო იმპერატორის როლი. ამ ეტაპზე რუსეთისათვის გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჩრდილოეთ კავკასიას ენიჭებოდა. „შეაფასა რა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ერთი წლისა და ერთი სამხედრო კამპანიის საქმე არ იყო, მან (ეკატერინე II – ჯ.კ.) დაიწყო ამ რეგიონის გეგმაზომიერი სამხედრო-პოლიტიკური ოპისება“ (В.Дегоев, 2001, 15) რუსეთის გააქტიურებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ყირიმის სახანოსა და ოსმალეთის გადიზიანება გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გაძლიერების და შესაბამისად მისი გაატიურების პარალელურად მისი ძირითადი მეტოქები კავკასიაში - ირანი და ოსმალეთი სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, შავიზდვისპირეთში პირველობისათვის ბრძოლაში, ოსმალეთის დასუსტება“. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უალრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში“ (მ.სვანიძე, 2007, 260) ფაქტიურად XVIII საუკუნის მანძილზე (განსაკუთრებით მეორე ნახევარში – ჯ.კ) რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდნენ. „რუსეთის სახელმწიფო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა, ხოლო ოსმალეთის იმპერია სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტდებოდა“ (Россия и восток, 2002, 338).

შეგვის აუზში რუსეთის სულ უფრო მზარდი ინტერესების მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გააჩნდათ ევროპის სახელმწიფოებს. ინგლისი, რომლის მიზანი იყო „ძალთა თანაფარდობის“ პრინციპი, ცდილობდა ხელი შეეშალა საფრანგეთის გაძლიერებისათვის. ამ მოსაზრებით XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების შუა სანებამდე ინგლისი ხელს არ უშლიდა რუსეთის გესანსიონისტურ პოლიტიკას შევის აუზში.. ბრიტანეთის კაბინეტი მიიჩნევდა, რომ როგ-

ორც სავაჭრო, ისე სამხედრო-საზღვაო თვალსაზრისით რუსეთის სახელმწიფოს არ შეეძლო ინგლისთან მეტოქეობა“ (История внешней политики России, 2000, 115). საფრანგეთს კი რუსეთი კონკურენტად მიაჩნდა მახლობელ აღმოსავლეთში. საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 60-იან წლებში კიდევ უფრო დაძაბა ინგლის-რუსეთის დაახლოებამ. თავადაც უკმაყოფილო და საფრანგეთის წაქეზებული ოსმალეთი რუსეთის ელჩისაგან ალექსეი ობრეკოვისაგან ულტიმატუმის ფორმით მოითხოვს რუსეთისაგან პოლონეთის საკითხში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას. ამის გადაწყვეტა ელჩს ბუნებრივია არ შეეძლო, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა. 1768 წლის 18 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთისათვის ეს ომი მოსალოდნელი იყო და ამისათვის ემზადებოდა კიდევ. „შვიდწლიანი ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო რესურსები უვრცის ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო მდგომარეობაში იყო, არმიამ მიიღო მნიშვნელოვანი გამოცდილება.. შესაძლებელია ეს პქონდათ მხედველობაში ეპატერინე II, როცა ომის დაწყების შესახებ გრაფ სალტიკოვს თვითდაერებით სწერდა: „პირველად არ არის რუსეთმა გაიმარჯვოს მტრებზე“ (История России, 1998, 251). რუსეთმა სწრაფი და უფასტური ნაბიჯები გადადგა წარმატების მოსაპოვებლად: შეძლო ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყვანა; საბერძნეთსა და ჩერნოგორიაში ანტიოსმალური მოძრაობის გასაძლიერებლად ემისრები მიავლინა; ბალკანეთში ანტიოსმალური მოძრაობის მხარდასაჭერად ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში აღმირალ გ.სპირიდოვის დიდი ესკადრა გაიგზვნა. ამასთანავე რუსეთმა შეძლო ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსალეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერის შენარჩუნება. „კაბარდოს ფეოდალთა უმრავლესობამ დაიცვა რუსეთის ერთგულება.. ომის მსვლელობაში რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ ასევე ოსებიც“ (История народов Северного Кавказа, 1988, 440) 1769-1770 წლებში. სამხედრო მოქმედებებში ხმელეთსა და ზღვაზე

რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც მოითხოვეს საზაფო მოლაპარაკებების დაწყება. 1772 წ. ფოკშანში დაწყებული მოლაპარაკება მაღვე შევიდა ჩიხში და 1773 წლის მარტში შეწყდა. გაჭიანურებული ომი არ აწყობდა რუსეთსაც, მით უფრო რომ იძაბებოდა ვითარება ბალტიისპირეთში. საჭირო იყო რუსეთს იარაღის ძალით აეძულებინა ოსმალეთი კვლავ დაეწყო მოლაპარაკებები. ამ მიზნით პ.რუმიანცევის არმიამ 1774 წ ივნისში კვლავ გადალახა დუნაი და ოსმალები რამდენჯერმე დამარცხა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ქ. კოზლუჯასთან ა.სუვოროვის მიერ ოსმალთა 40-ათასიანი არმიის სასტიკად დამარცხება. ოსმალეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა, რომელიც გაფორმდა სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში 1774 წლის 10 ივნისს. ზავის პირობები შეესაბამებოდა რუსეთის წარმატებებს: ყირიმის სახანო დამოუკიდებლად ცხადდებოდა. ჩიხესიმაგრეები: ქერჩი, ენი-კალე და კინბურნი მდ. ბუგსა და დნესტრს შორის მდებარე მიწებით გადაეცემოდა რუსეთს, მასვე უბრუნდებოდა ყაბარდო, შავი და მარმარილოს ზღვები რუსეთის საგაჭრო გემებისათვის დიად ცხადდებოდა. რაც შეეხება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა რომ არ შეავიწროვებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს. სხვა მხრივ, ქართველთა მონაწილეობა ამ ომში არ დაფასებულა. „გამოიყენა რა თავისი მიზნებისათვის ქართველი მფლები, რუსეთმა მათ ფაქტიურად არავთარი დანაპირები არ შეუსრულა. პირიქით, კრიტიკულ მოქნებში მარტო დატოვა მოძალებული მტრის რკალში. იმედგაცრუებულ მეფებს კვლავ საკუთარი ძალების მაქსიმალური დაძაბვის ფასად უხდებოდათ მტრების მოგერიება“ (მ. ბულევიშვილი, 1991, 96-97).

რუსეთი ყველაფერს აკეთებდა რომ მოეხდინა ყირიმის სახანოს გაუქმება და მისი შეერთება. მართლაც, 1783 წლის 8 აპრილის აქტით რუსეთის მფლობელობაში შევიდა არა მარტო ყირიმის ნახევარკუნძული, არამედ ტამანის ნახევარკუნძული და ყუბანის მხარე“ (ბ.სოხვაძე, 1996, 243). ამრიგად რუსეთმა მყარი

პოზიციები შეიქმნა კავკასიაში ბატონობის დასამყარებლად. 1783წ 24 ივნისს ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიეგსის ტრაქტატის გაფორმებით რუსეთმა ამიერკავკასიაშიც მტკიცედ შემოდგა ფეხი. ცხადი იყო, რომ რუსეთი „საქართველოს და-პატრონებით“ მოედ ამიერკავკასიასაც ჩაიგდებდა ხელში, მით უფრო, როცა დადესტნისა და ამიერკავკასიის სახანოები თავის მხრივ ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში მიღებას.. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მოედ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება სუ-ლაც ირანს დაპატრონებოდა“ (თ. ბოცვაძე, 1990, 244). კოვე-ლივე ამან XVIII საუკუნის 80-იან წლებში კიდევ უფრო გაამწვ-ავა წინააღმდეგობები რუსეთს, ოსმალეთსა ირანს შორის ახ-ლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ოსმალეთის დასუს-ტება, არასტაბილურობა ირანში და რუსეთის მზარდი ძლიერ-ება „გარდაუვალს ხდიდა „დგელის“ დარღვევას და „ახალი“ ბალანსის ჩამოყალიბებას კავკასიაში“ (Внешняя политика России, 1960, 40).

ეკატერინე II ხელისუფლება ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გეგმაზომიერად ცდილობდა კავკასიის ათვისებას – აგებდა ცი-სიმაგრეებს, ეწერდა კოლონიზაციას. დაიწყო კავკასიის ხაზ-ის მშენებლობა, რომელშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი კაზაკური დასახლებების შექმნას ენიჭებოდა. კაზაკები დიდი მამაცობით და სიმტკიცით იცავდნენ თავს. სწორედ მათი ამ თვისებებისა და კაზაკთა ხელში მახვილისა და გუთნის შეხ-ამებით შეძლო რუსეთმა შეექმნა უზარმაზარი იმპერია და ევე-ქტურად დაცვა თავისი საზღვრები როგორც აღმოსავლეში, ისე სამხრეში“ (Джон Баддели, 2007, 44).

მოვლენათა ასეთი განვითარება მიუღებელი იყო ოსმალე-თისათვის. „თურქეთის სახლმწიფო მოღვაწეები ცდილობდნენ ნებისმიერი საშუალებით წინ აღდგომოდნენ რუსეთის გაძლი-ერებას ჰავ ზღვაზე და მზად იყვნენ საომარი მოქმედებებისათ-ვის (История России (1682-1861), 1998, 258). ასეთ ვითარებაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი გარდაუვალი ხდებოდა,

მით უფრო, რომ ოსმალეთს აშკარად აქეზებდნენ ევროპის ქვეყნები ინგლისის თაოსნობით.

1787-1791 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო 21 აგვისტოს ოსმალთა თავდასხმით კინძურნზე, მაგრამ რუსულმა ნაწილებმა ა. სუვოროვის მეთაურობით მოიგერიეს მოწინააღმდეგებები და შემდეგ შეტევაზეც გადავიდნენ. 1788 წ. რუსეთს ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა შვეცია და მოითხოვა ბალტიის პირეთისა და შავიზღვისპირეთის დატოვება. აქტიური საერთაშორისო იზოლაციის მიუხედავად რუსეთის ჯარებმა შეძლეს როგორც შვედების, ისე ოსმალების დამარცხება. „1792 წლის დეკემბერში ირანში გაფორმებული ზავით რუსეთმა განიმტკიცა შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში მოპოვებული წარმატებები“ (История России 1998, 287). რუსეთის მიზანი რომ კავკასიის სრული დაპყრობა იყო ეს აშკარა გახდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დამოკიდებულებით – არაერთგზის დაარღვია რა მფარველობითი ტრაქტატის პირობები, მან ერეკლე II 1795 წელს, ადა-მაკმად-ხანის თავდასხმის დროს, მარტოდმარტო დატოვა. ცხდი გახდა, რომ „რუსეთს პერსპექტივაში არ აწყობდა ერთიანი და ძლიერი საქართველო. იგი ეხმარებოდა მას როგორც მოკავშირეს ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მანამ, სანამ ეს კავშირი მომგებიანი იყო თავად რუსეთისათვის“ (В. Дегoeв, 2001, 14).

ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილების შემდეგ რუსეთს აღარ სჭირდებოდა ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთგულების მოკავშირეობა. იგი აშკარად მათი დამორჩილების კურსს დაადგა. „ამიერკავკასია, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცე რუსეთის საგარეო პოლიტიკის მუდმივი უზრადდების ცენტრში იყო მთელი XVIII საუკუნის მანძილზე“ (История внешней политики России, 2000, 166). ჩრდილო კავკასიის შემდეგ ამიერკავკასიაში თავისი გეგმა, რაც ამ მხარის სრულ დაპყრობას გულისხმობდა, რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში განახორციელდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ბოცვაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV–XVIII სს.), თბ., 1990.
2. მ.ბულეოშვილი, ქართული გადახისის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., 1991.
3. მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000), თბ., 2007.
4. ბ.სოხვაძე, რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში, თბ., 1996.
5. Джон Баддели, Завоевание Кавказа русскими 1720-1860, М., 2007.
6. Внешняя политика России,( документы Россиского министерства иностранных дел), т.І, М., 1960.
7. В. Дегоев, Большая игра на Кавказе ( история и современность), М., 2001.
8. История народов Северного Кавказа, М., 1988.
9. История внешней политики России (XVIII век), М., 2000.
10. История России с начала XVIII до конца XIX века, М., 1998.
11. История России (1682-18610), М., 1998.
12. Россия и Восток, Санкт-петербург, 2002.

**Jemal Karalidze**

**Russian Geopolitical Interests in the Caucasus  
in the Second Half of the XVIII Century**

**Summary**

The XVIII century is significant period in history of the Caucasus. Besides Persia and the Ottoman Empire, Russia entered the struggle for domination over it. The interests of the Russian Empire required taking control of the Basins of the Black Sea and the Caspian Sea. Empress Catherine the Great began to realize systematic activity towards this region – new castles were built and the colonization of the North part was begun. This process became more considerable after the Russia-Turkish War of 1768-1774. Despite the Ottoman Empire and European countries' (especially England and France) great effort in the second half of the XVIII century Russia managed to consolidate her influence over the North Caucasus, and according to so called “Georgievski Tractati” – the Georgian-Russian treaty (signed between Russia and the Kingdom of Qartl-Kakheti) she entered the Transcaucasia and finally conquered it at the beginning of the XVIII century.

## ნატალია ლაზარე

### დოკუმენტის პოლიტიკა ლიბანში

დრუზები ცხოვრობენ ლიბანის მთიან რაიონებში. ისინი საკუთარ თავს „მუაჰადუნებს“ ეძახიან, რაც ნიშნავს ერთი ღმერთის მიმღევრებს. ამ კონფესიის წარმომადგენლები ასევე ცხოვრობენ სირიაში, იორდანიში და ისრაელში. დრუზების ჯგუფები ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, დასავლეთ აფრიკაში, კარიბის აუზის ქვეყნებში და ა.შ. დრუზების წეს-ჩვეულებები აერთიანებს არაბულ, სპარსულ, ქურთულ, სირიულ-ლივანურ ელემენტებს. მათი სარწმუნოება მოიცავს ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიებს [დოკუმენტს](http://ru.wikipedia.org) (<http://ru.wikipedia.org>)

სახელწოდება „დრუზი“ მომდინარეობს მუსლიმი განმანათლებლის მუჰამედ იბნ ისმაილ ად-დარაზის სახელიდან (XI ს.). ად-დარაზი განეკუთვნებოდა ფატიმიანთა ისმაილიტებს და შესაბამისად, მისი ქადაგებით ეგვიპტის ფატიმიანთა ხალიფი ალ-ჰაკიმი იყო ღმერთის ჩამომავალი. შემდგე იგი დაუპირისპირდა ისმაილიტების შეხედულებებს, რის შედეგადაც ად-დარაზის მომხრეები იზოლაციაში აღმოჩნდნენ. შემდეგ ში მისმა გაერთიანებამ ეთნოკონფესიური სექტის სახე მიიღო.

დრუზები მიეკუთვნებიან შიიტების რალიკალურ მიმდინარეობას. მათი მოძღვრების არსში გარკვევა რთულია მათი რელიგიური დოქტრინის „თაკიაის“ და წესების გასაიდუმლოვების გამო. თაკია მორწმუნებს აძლევს უფლებას საკუთარი რწმენა ფორმალურად უარყოს. ასეთი მიღოომა გამოდნირეობს დრუზის უსაფრთხოების ინტერესებიდან. აქედან გამომდინარე, დრუზს უფლება აქვს გარეგნულად ეზიაროს ნებისმიერ რელიგიას, ხოლო შინაგანად ისევ დარჩეს დრუზად (მეტრეველი, 1987:29). სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ცხოვრებისას დრუზი არასოდეს არ უსვამს საზნს, რომ ის დრუზია. მუსლიმებს შორის ის იქცივა როგორც მუსლიმი, იუდეველებთან – როგორც

იუდეი, ქრისტიანებთან - როგორც ქრისტიანი. დრუზი ადვილად დებულობს ნებისმიერი ქვეყნის კანონებს, არასოდეს არ გა-აკრიტიკებს სხვა ჩვეულებას ან წესს (<http://www.sunhome.ru/religion/>).

დრუზების ძირითად საკულტო წიგნს წარმოადგენს „რასილ ალ ხუმა“ (წერილები ცოდნაზე). იგი შეხვეულ მდგრმარ-ეობაში ინახება დრუზების წმინდა სალოცავ ადგილას. წიგნზე შეხების უფლება აქვთ მხოლოდ იმ დრუზებს, რომლებმაც გაი-არეს სათანადო სპეციალური მომზადება. აღსანიშნავია, რომ ხშირად დრუზები უცხოელებთან საუბარში ხაზს უსვამენ იმას რომ ერთადერთი რელიგიური წიგნი მათ სახლში არის ყვრანი (Супонина, 2002: 68).

შეა საუკუნეებში და ახალი ისტორიის დროს ლიბანში დრუზებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეყავათ. ისინი შეადგენდნენ ქვეყნის მიწათმფლობელი არისტოკრატიის მნიშვნელოვან ნაწილს. მათ ხელში იყო უმაღლესი საერო ხელისუფლება მმართველი ამირების დინასტიების სახით (მაანები, შიჰაბები და სხ.). დრუზი ამირების ადმავლობა მოხდა ფახრადინ II მაანის (1590-1633 წწ.) და ბაშირ II შიჰაბის (1788-1840 წწ.). მმართველობების დროს. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება. XX საუკუნემდე დრუზები არ ეწეოდნენ ხელოვნებას და ვაჭრობას. XVIII საუკუნის დასაწყისში დრუზების ნაწილი გადასახლდა ჰაურანში (სირია), ჯებელ-დრუზის რაიონში.

XIX ს-ის 40-60-იან წლებში, ლიბანში, სხვადასხვა კონფესიებს შორის ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები. განსაკუთრებული სისახტიკით გამოირჩეოდა კონფლიქტი დრუზებსა და ქრისტიან-მარონიტებს შორის (მეტერეველი, 1987:90). აღსანიშნავია, რომ ამ კონფლიქტში რელიგიურმა ანტაგონიზმა ნაკლები როლი ითამაშა. ამ დაპირისპირების მთავარი მიზეზი იყო გლეხების ექსპლუატაცია და ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო ლიბანში ოსმალურ ადმინისტრაციულ დაყოფასთან. კონფლიქტის გამწვევებაში გადამწყვეტი როლი ითამ-

აშა ევროპული სახელმწიფოების ინტერესებმაც – ბრიტანეთი მხარს უჭერდა დრუზებს, საფრანგეთი – მარონიტებს, რუსეთი – მართლმადიდებლებს.

ოსმალეთის ხელისუფლების მცდელობამ, შეეზღუდა დრუზების „თავისუფლება” (იარაღის ტარების უფლება, დრუზი თავადების განუსაზღვრელი უფლებები და ა.შ.) გამოიწვია ანტიოსმალური გამოსლები (1869, 1888, 1894-1897, 1904, 1910 წწ.).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1916 წლის საიკ-პიონერთანხმების (შეთანხმება დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის იმპერიის აზიური ტერიტორიების დაყოფის შესახებ) თანახმად, ლიბანისა და სირიის დრუზებით დასახლებული ტერიტორიები მოექცა ფრანგული მანდატის ქვეშ (1920-1943 წწ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა ინგლისის დიპლომატია აგრძელებდა ინტენსიურ კონტაქტებს ლიბანელ დრუზებთან.

II მსოფლიო ომის წლებში, ბრიტანელებმა სცადეს ჩამოეყალიბებინათ დრუზული კავალერიის სამხედრო შენაერთები. მათ დაიკავეს ფრანგული წარმომადგენლობა სუვეიდში. ამ ფაქტმა მწვავე კონფლიქტი გამოწვია პარიზსა და ლონდონს შორის. დე გოლის თქმით „ეს იყო ყველაზე მწვავე კონფლიქტი” მისი მართველობის განმავლობაში ბრიტანეთთან. ამის გარდა ინგლისელებმა მოახდინეს ლევანტის ვაჭრობის მონოპოლიზაცია და მიიღეს რკინიგზის მშენებლობის უფლება პარიზის თანხმობის გარეშე.

საფრანგეთის მანდატის პერიოდში, ლიბანის პირველ დამუკიდებელ მთავრობაში დრუზებმა მიიღეს ორი მინისტრის ადგილი. დღევანდელ დღეს დრუზებს აქვთ სამი სამინისტრო პოსტი. დღემდე ლიბანის მთავრობაში მიგრაციის და დევნილების მინისტრი არის დრუზი (<http://religiya.com.ua/?p=29>).

XX საუკუნის 70-იან წლებიდან დრუზები აქტიურ მონაწილეობას დებულობენ ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ქამალ ჯუმბლატი იყო გამოჩენილი ლიბანელი პოლიტიკოსი, სოციალ-პროგრესული პარტიის დამაარსებელი, ლიბანელი დრუზების ლიდერი, გავლენიანი გვარის ჯუმბლატ-

ების წარმომადგენელი. ეს გვარი XVI საუკუნიდან არის ცნობილი. დღეს სოციალ-პროგრესული პარტიის სათავეში დგას მისი ვაჟი ვალიდ ჯუმბლატი. იმისათვის, რომ დაეცვა შიდა და საგარეო მტრებისაგან საკუთარი ხალხი, ქ. ჯუმბლატი დაუახლოვდა ქრისტიან-მართინიტებს. ის ამტკიცებდა, რომ ყველა სახის კონფესიათ შორის კონფლიქტი წარსულში დარჩა და ადარ განმეორდება მომავალში.

ღრუზების სექტის რელიგიის საიდუმლო ხასიათის მიუხედავად, მათი ოწმენა ცალსახად აყენებს საკითხს თემის წევრის სამოქალაქო პოზიცის შესახებ იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელშიც ცხოვრობს. ისინი ვალდებულნი არიან ლოიალურ დამოკიდებულებაში იყვნენ იმ ქვეყნებთან, რომლებიც დაეხმარნენ საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრაჟები მ., დრუზთა თემი, თბ., 1987.
2. Супонина Е.В. Плюрализм арабо-мусульманской философии: (На прим. религиозно-филос. доктрины друзов): Учеб.-метод. пособие по курсам: "Древняя и средневековая философия Востока", "Современная философия Востока", "Религиоведение" / Ин-т востоковедения РАН. - М., 2002).
3. Путь Востока. Проблема методов. Материалы IV Молодежной научной конференции по проблемам философии, религии, культуры Востока. Серия "Symposium", выпуск 10. СПб. Санкт-Петербургское философское общество, 2001.
4. <http://religiya.com.ua/?p=29>
5. <http://www.sunhome-ru/religion/>
6. <http://www.sunhome-ru/religion/>

## **Natalia Lazba**

### **Druze faith in Lebanon**

#### Summery

Drusians live in the mountainous regions of Laban. They call themselves 'Muakhiddun', that means 'believers to the One God'. The representatives of this confession live also in Syria, Jordan and Israel. There are numerous groups of Drusians in the USA, Canada, France, Great Britain, West Africa, in the countries of Caribbean Basin. These groups consist of descendants of emigrants. Druse has Arabian, Persian, Kurdish and Syrian-Labanon characteristics. Religion of Druse has elements of Christian and Asian religious. .

## **პოლიტიკის გლობალიზაცია**

გლობალიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მისმა ძირითადმა მიმართულებებმა (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა) სახე უცვალა მსოფლიო ხალხთა ცხოვრებას.

XVII საუკუნის შუა ხანებიდან, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ეწ...ვესტფალის სისტემა” განსაზღვრავდა. ყოველი სახელმწიფოს სუვერენიტეტი ხელისუფლება საქუთარ სუვერენიტეტს ახორციელებდა განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა. თუმცა იგი ხშირად ირდვეოდა.

გლობალიზაციას და საერთაშორისო ურთიერთობათა ინტეგრაციის პროცესმა ეჭვება დააქცია სახელმწიფო სუვერენიტეტი. თუმცა არ გამართლდა მეცნიერთა ერთი ნაწილის პროგნოზი სახელმწიფოს მოსპობის შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზება აიძულებს სახელმწიფოებს შეცვალონ საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი. პოლიტიკის ინტეგრირების გამო მათ შორის კლასიკური თანაფარდობა დარღვეულია და შეუძლებელია საზღასმით განისაზღვროს მათ შორის ზღვარი.

გლობალური პოლიტიკის სცენაზე დღეს სახელმწიფოთა გვერდით უამრავი საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს. ისინი აქტიურად არიან ჩართული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში და სახეს უცვლიან საერთაშორისო ურთიერთობებს და მსოფლიო პოლიტიკას. მათ უმნიშვნელოვანები ადგილი მოიპოვეს მსოფლიო მმართველობის პროცესში. მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს. ასე მაგალითად, 1909 წლისათვის საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი 37-ს არ აღემატებოდა, ხოლო

არასამთავრობოთა რიცხვი – 176-ს. 1998 წლისათვის 6000-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობდა.

„გლობალური პოლიტიკის“ სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციების დანიშნულებაც და ფუნქციაც განსხვავებულია. მათი უმრავლესობა მხოლოდ სამთავრობოთაშორისო კონსულტაციებისა და მოქმედებათა კოორდინაციისათვის ჟიქმნა.

დღეს გლობალურ პოლიტიკაში მნიშვნელობითა და როლით გამოირჩევიან ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი უამრავი სტრუქტურული ინსტიტუტით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო საგადაუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია და მრავალი სხვა.

თანამედროვე პოლიტიკის გლობალიზაციას თან ახლავს და გარეკანულწილად გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონალური ბლოკები და დაჯგუფებები, რომლებიც შექმნილია არა მარტო დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, არამედ აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში. მათ შორის ორგანიზების დონითა და მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენით გამოირჩევა ევროპის საბჭო, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევროპის კაგშირი.

ევროპის საბჭო, რომელიც 1949 წელს შეიქმნა და დღეს საკმაოდ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს დემოკრატიული დირექტულებისა და ინსტიტუტების დამკვიდრებას წევრ-სახელმწიფოებში. ხელი შეუწყოს წევრ-სახელმწიფოთა თანამშრომლობას ადამიანთა უფლებების დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, ინფორმაციის, სამართლის, გარემოს დაცვის საკითხებში. ევროპის საბჭომ, თავისი არსებობის მანძილზე, 200-მდე საერთო-ევროპული კონფენცია მიიღო, რომელთა დაცვა აუცილებელია წევრი სახელმწიფოებისათვის. ევროსაბჭოში მიღების უპირველეს პირობას წარ-

მოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიულ-სამართლებრივი მოწყობა.

1973 წელს ჩამოყალიბებულია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშომღობის ორგანიზაციის (ეუთო), რომლის ძირითადი მიზანია სახელმწიფოთა შორის ან ცალკეულ სახელმწიფოებში კონფლიქტთა თავიდან აცილება და წარმოშობილ კონფლიქტთა მოგვარება. ორგანიზაციის უმნიშვნელოვანები დოკუმენტებია „ჰელსინკის აქტი” (1975წ.) და „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის” (1990წ.). დღეს ხშირად საუბრობენ ეუთოს მარგინალიზაციის შესახებ, რაც გამოწვეულია მრავალი ქვეყნის სურვილით, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანდნენ. ეუთოს-ს ბედზე, როგორც ჩანს, ზემოქმედებას მოახდენს რუსეთის სურვილი გააძლიეროს ეს ორგანიზაცია ევროპაში „ნატოს” გაბატონების გასახეიტრადებლად.

ევროპის კავშირი, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც ევროპის ქვეყანათა ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშემწყობ თრგანიზაციად, დღეს მრავალმხრივი მოდგაწყვობითაა ცნობილი და საერთაშორისო არენაზე საქმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ევროპის წევრ-სახელმწიფოთა სახელით გამოდის საერთაშორისო კონფერენციებსა და მოლაპარაკებებზე. იხრდება მისი გავლენა ამა თუ იმ საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საქმეში. ცნობილია ევროკავშირის აქტიურობა „მესამე სამყაროს” და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დახმარების საქმეში.

ამდენად, თანამედროვე პოლიტიკური სისტემა მხოლოდ სახელწიფოებისაგან კი არ შედგება, არამედ გლობალური და რეგიონალური ინსტიტუტებისაგან. ისინი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და, მიუხედავად ამისა, ეს ინსტიტუტები ხშირად მანიპულირდება წამყვანი განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი აშშ-ს მიერ, რომელიც ცდილობს „მესიად” მოევლინოს კაცობრიობას და ხელი შეუწყოს პროგრესსა და სტაბილურ განვითარებას („მონროს დოქტრინა”, „ტრუმენის დოქტრინა”).

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გეგუბაძე ქ., ბერიძე ბ., გლობალიზაცია. ბათ., 2003.
2. Лотман Ю.М. Культура и взрыв. М. 1992.
3. Baulis J., Swith S., The Globalization of World Politics. NY. 1999.
4. Kymlicka W. The Rights of Minority Cultures. Oxford 1999.

**Besik Beridze**

### **Globalization of the politics**

#### **Summary**

Globalization has concerned all spheres of humans' lives and it has changed social-economical, political and cultural relations with the world's scale.

At the same time the world reality evidently shows how great is the influence and role played by international economical institutions and transnational corporations on the international politics as well as on politics of separate countries. From the point of view of some researchers, exactly they will be main subjects of the world politics of the XXI century, who will realize the "world authority"

Nowadays on the scene of global politics, there are a lot of international inter-governmental and non-governmental organizations next to states, which are actively involved in world activities and they modify international relations and in general the world politics.

Individuals, societies and state institutions are for or against the globalization according how they perceive the influence of the global

processes on social justice, human rights and freedom, individual autonomy and nation-state sovereignty.

Certain part of the population perceives the globalization as a negative event. It is unacceptable for them domination of the western economical political and cultural interests on the rest part of the world, because domination of the west causes the contradiction between rich and poor countries and regions.

Thus, globalization is a historical process and a strong transformational power, which changes human life, it makes individuals, societies and countries think of their future and find their own place in the global world.

## ირაკლი მანველიძე

### სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების ზონააირობები და განვითარების თავისებურებები

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. მისი კონცეფცია გამომდინარეობს სისტემური ანალიზიდან. საერთოდ, სისტემას უწოდებენ ელექტრობაზის, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებასა და ურთიერთქმედებაში ქმნიან მთლიანობას და ერთიანობას.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არსებობის 500 წელს ითვლის. თუმცა, ჯერ კიდევ, უძველეს დროში ხალხი ცხოვრობდა უფრო შერეული ტიპის, ინტეგრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებში, როგორიცაა: ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები და ფეოდალური სამფლობელოები.

კაცობრიობის ისტორიული განვითარების ახალ პერიოდში ევროპელი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ სფეროებში განხორციელებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობების და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსისა და ხასიათის სრული გარდაქმნა.

ახალი ისტორიის პერიოდს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს სახელწოდება სავსებით შეესაბამება იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ამ დროს განვითარდა უკრაშასა და დანარჩენ მსოფლიოში. ფაქტობრივად, ამ ცვლილებებმა განსაზღვრა მსოფლიოს შემგომი განვითარების სახეც.

XVI საუკუნე არის განსაკუთრებული ძვრების პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდეგი ეპოქის ეპოპის განვითარება.

ამ პერიოდიდან, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის და ურთიერთობების კუთხით მომზადდა ნიადაგი სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. ეპო-

ოპაში საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, აღნიშნული პერიოდი ჯერ კიდევ არის დინასტიური დიპლომატიის საუკუნე. ამ დრომდე არ არსებობდა სახელმწიფოთა შორის მკვეთრად გამიჯნული საზღვრები. ხოლო ევროპის პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარეობდა კონფესიური წინაღმდეგობა.

ახალ პერიოდში, სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების წინაპირობებად მოგვევლინა ის საშინაო და საგარეო ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპის კონტინენტზე. უპირველესად, ეს პროცესები დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარებასთან, რომელიც ევროპაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან იყო შესამჩნევი.

XV ს-ში ნაოსნობის განვითარებას მოჰყვა ევროპული იმპერიალიზმის ჩამოყალიბება. გემების საშუალებით შესაძლებელი გახდა დიდი ოდენობის ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა შორეულ ქვეყნებში. პორტუგალია იყო პირველი ქვეყანა, საიდანაც დაიწყო მსოფლიოს სხვა ქვეყნების აღმოჩენების ეპოქა. მოგვიანებით, მსგავსი ინიციატივებით ასპარეზზე გამოვიდნენ ესპანეთი, ბრიტანეთი და საფრანგეთი. თავისი ძლიერი სამხედრო შეიარაღების წყალობით ევროპელებმა დაიმორჩილეს ოკეანის სანაპირო ზოლში განლაგებული ქალაქები და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ძირითადი სავაჭრო მარშრუტები. ეტაპობრივად ევროპელების ექსპანსია გაფრცელდა ლათინური ამერიკის, მოგვიანებით კი, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე.

XVI ს-ში ესპანეთმა ცენტრალური ამერიკის, ხოლო პორტუგალიამ ბრაზილიის ტერიტორია თავისი იმპერიის ფარგლებში მოაქცია. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კოლონიები მოიპოვეს ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის კუნძულებზე. კოლონიებში მოპოვებულ სიმდიდრეს ევროპის მონარქები ჯარისა და სახელმწიფოს გასაძლიერებლად იყენებდენენ.

ახალი სამყაროს, ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი საზღვაო გზის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი მიწების აღმოჩე-

ნამ და სამყაროს გარშემო მოგზაურობებმა არა მარტო ჩამო-  
აყალიბეს ევროპელების წარმოდგენა მთლიანად მსოფლიოზე,  
არამედ განაპირობებს ევროპული სახელმწიფოების გეოპოლი-  
ტიკური ინტერესების შეცვლაც. ერთი მხრივ, დაიწყო ევროპის,  
როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის ფორმირე-  
ბა, რომელიც ციფილიზაციური განვითარების კუთხით წინააღ-  
მდეგობაში მოდიოდა დანარჩენ მსოფლიოსთან, ხოლო, მეორე  
მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სტიმული მისცა  
აქტიურ საერთაშორისო და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთ-  
ობებს. მთლიანობაში კი, ეს ხელს უწყობდა მსოფლიო მას-  
შტაბით საქონლის ბაზრის გაფართოვების შესაძლებლობას.  
პოლესების ამგვარი განვითარება, კიდევ უფრო ააქტიურებდა  
კონტინენტთა შორის ურთიერთობებს, რაც აახლოებდა ევრო-  
პას ამერიკასთან, აზიასა და აფრიკასთან.

ევროპის კონტინენტზე მოხდა ქვეყნების შიდა პოლიტიკ-  
ური კონსოლიდაცია, რომლებიც თანდათანობით გარდაიქმნენ  
ცენტრალიზებულ ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქიებად. ასე-  
თი სახელმწიფოები საქმაოდ დიდხანს, ნიდერლანდების და  
ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგაც კი, განა-  
გრძოდნენ არსებობას ევროპის კონტინენტზე; მცირე სახენი-  
ორებს შორის ფეოდალური ომების შეწყვეტის პვალდაპვალ,  
რომლებიც დაემორჩილნენ ძლიერ სამეფო ხელისუფლებას,  
შეიქმნა შედარებით მტკიცე შიდა წესრიგი. აღნიშნული პო-  
ლესი ხელს უწყობდა ქვეყნების შემდგომ ეკონომიკურ, კერ-  
ძოდ კი, კაპიტალისტურ განვითარებას.

მართალია, აბსოლუტური მონარქია, როგორც ცენტრალი-  
ზებული და ძლიერი სახელმწიფო, დარჩა თავის აზნაურულ-  
კლასობრივი წარმომავლობის საწყისებზე, თუმცა, მაინც უნა-  
რიანად შეძლო თავი დაეღწია წინა კაოქების ფეოდალურ-ყაჩა-  
ღური ფუნქციისაგან (მემკვიდრეობისაგან) და დაეცვა მისი  
ქვეშევრდომების საგარეო პოლიტიკური ინტერესები. სახელმწი-  
ფო ხელისუფლებამ ახალ კოქაში ბურჟუაზია აღიქვა როგორც

წესრიგის საყრდენი და კეთილდღეობის საფუძველი სახელმწიფოში.

ევროპა XV საუკუნის დასასრულისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საბოლოოდ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფოები: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია (პაპსბურგების სახლის სამემკიდრო მიწები), რომლებიც წინათ შედიოდნენ გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის საზღვრებში. ასევე თურქეთი, არც ისე დიდი სკანდინავიური ქვეყნები – დანია, შვეცია და ნორვეგია, დასავლეთ გერმანული მცირე სათავადოები, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები და ევროპის მცირე სახელმწიფოები აგსებდნენ კონტინენტის პოლიტიკურ რუკას. ევროპის აღმოსავლეთით თანდათან აძლიერებდა პოზიციებს მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ევროპის პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან მან დაასრულა პოლიტიკური გაერთიანება და ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ, აბსოლუტურ მონარქიად.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე რამდენიმე ძლიერი და პატარა სახელმწიფო არსებობდა. ყველა ეს სახელმწიფო თავის აქტიური თუ პასიური მოქმედებებით, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ევროპის კონტინენტზე ქმნიდა საერთო პოლიტიკურ კლიმატს XVI–XVIII საუკუნეებში.

ევროპაში, XVI–XVIII საუკუნეებში, საერთაშორისო წინააღმდეგობის სამი ძირითადი კერა არსებობდა. აღნიშნული კონფლიქტური კვანძები ყოველ წელს შეიძლება გამხდარიყო დიდი ომის მიზეზი.

პირველი, XVI–XVIII ს-ში დასავლეთ ევროპაში ერთმანეთს დაუჯახა კონტინენტის დიდი სახელმწიფოების ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და პოლანდიის (XVII ს-დან) სავაჭრო-კოლონიური ინტერესები.

მეორე, XVI საუკუნეში, ევროპის სამხრეთ აღმოსავლეთ რეგიონში, წარმოიქმნა და საბოლოოდ, XVIII ს-ში, ჩამოყ

ალიბდა ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი” – ევროპის დიდ სახელმწიფოებს და თურქეთს; რუსეთს და თურქეთს შორის ურთიერთობების პრობლემა.

მესამე, ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რეგიონის დიდი სახელმწიფოები სამი საუკუნის მანძილზე აწარმოებდნენ სისხლისმდვრელ ოქტომბერის ზღვაზე გაბატონებისათვის.

ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში, დაპირისპირების ეს სამი კვანძი არა მარტო ენაცვლებოდა, არამედ გავლენასაც ახდენდა ერთმანეთზე. მთლიანობაში კი, ქმნიდნენ საკმაოდ მოულოდნელ და რთულ კომბინაციებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

XVI ს-ში, ამერიკის და ინდოეთის საზღვაო გზების გახსნის შემდეგ, დასავლეთის დიდი სახელმწიფოების წინაშე საკმაოდ მწვავე საკითხი წარმოიქმნა კოლონიების დაპყრობის დაზღვისიქეთა სამფლობელოების გაფართოების შესახებ. თუმცა, ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ ერთეულთა დაპირისპირები ართულებდა ბრძოლებს კოლონიებში. სშირად, კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტები სწორედაც რომ მწვავდებოდა დასავლეთის დიდი სახელმწიფოების კოლონიურ სამფლობელოებში მომხდარი ცვლილებების (გავლენის ახალი სფეროების მოპოვების) კვალდაკვალ.

XVI ს-ში, უკელაზე დიდი ევროპული კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ საფრანგეთი და ესპანეთი. თუმცა, XVI ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ინგლისის კოლონიური ძალის გაძლიერება. ამ პერიოდში მოხდა ნიდერლანდების რევოლუციაც და მათი აჯანყება ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. XVI საუკუნის ბოლოსათვის, ევროპაში შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი, პირველი ბურუჟუაზიული სახელმწიფო - შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა, რომელიც ისტორიაში პოლანდიის რესპუბლიკადაა ცნობილი.

უშალოდ XVI ს-ში, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შინაარსი ევროპის კონტინენტზე იყო ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა ევროპის კონტინენტზე, ინგლისის

და ესპანეთის წინააღმდეგობა ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ომების შედეგად დასუსტდა ესპანეთი. მისთვის დამდუპველი აღმოჩნდა ინგლისთან დაპირისპირება და განსაკუთრებით, ნიდერლანდების განმათავისუფლებელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. მაღრიდის გავლენის შესუსტების კვალდაკვალ ევროპაში გაძლიერდა ინგლისი, საფრანგეთი და ჰოლანდია.

ევროპაში, XVII ს-ში, საფრანგეთი გახდა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო და გაუმნდა კონტინენტზე პეტერებისა. ამ პეტონდში საფრანგეთი გადაიქცა დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ, ხოლო ინგლისში განხორციელდა ბურჟუაზიული რევოლუცია. ასევე, დაიწყო ბრძოლა ორ საზღვაო სახელმწიფოს – ინგლისსა და ჰოლანდიას შორის ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში ინგლისმა მოიპოვა წარმატება. რეალურად, მას ევროპაში, მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე – საფრანგეთი დარჩა. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი XVIII ს-ის მანძილზე. მიუხედავად ამ კონფლიქტში საფრანგეთის დამარცხებისა, მან მაინც შეინარჩუნა ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი კონტინენტზე. თუმცა, მან დაკარგა თავის ოკეანისგაღმა კოლონიური სამფლობელოების დიდი ნაწილი.

ამირგად, XVIII ს-ის ბოლოსათვის ინგლისი გახდა არა მხოლოდ პირველი კოლონიური და საზღვაო სახელმწიფო ევროპაში, არამედ თანდათან გარდაიქმნა „მსოფლიოს მასტერად”, რომელიც აწარმოებდა საქონელს მთელი მსოფლიოსათვის.

ასეთი იყო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სტრუქტრა დასავლეთ ევროპაში XVI–XVIII საუკუნეებში.

მოცემულ პეტონდში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია შეიძლება დაგვითაროთ შემდეგ პეტონდებად:

პირველი, ესპანეთის ბატონობის პეტონდი ევროპაში, რომელმაც მთელი XVI ს. მოიცვა. ეს იყო სისხლისმდვრელი რელიგიური ომების პეტონდიც, რომელშიც მაღრიდის სასახლე აქტიურ მონაწილეობას დებულობდა, როგორც ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციის საყრდენი. საკუთრივ დასავლეთ ევრო-

პაში ეს არის ესპანეთ-საფრანგეთის დაპირისპირების და ბრძოლების პერიოდი.

მეორე, ევროპაში საფრანგეთის პეგემონბის პერიოდია. მისი კულტინაციური მომენტია ვესტფალიის ზაგი (1648) და მასთან დაკავშირებული ლუი XIV-ის საგარეო პოლიტიკა. ეს ასევე იყო საფრანგეთსა და პოლანდიას შორის დაბაბული ბრძოლის, ახალგაზრდა პოლანდიის რესპუბლიკის და მისი წარმომადგენლების ბრწყინვალე დიპლომატიური მოქმედების, ინგლისის მნიშვნელოვანი გაძლიერების დრო. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბურგუაზიული რევოლუციის და ევროპაში მისი დიპლომატიის როლის გაძლიერების შემდეგ.

მესამე პერიოდი დაახლოებით ემთხვევა XVIII საუკუნეს, როცა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა კოლონიებისა და მსოფლიო პოლიტიკაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის კულტინაციურ წერტილს აღწევს.

აღმოსავლეთ ევროპაში, სწორედ ეს პერიოდი დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი მონაწილის სახით ახალგაზრდა რუსეთის იმპერიის გასვლას ასპარეზზე.

ზემოაღნიშნულმა საერთაშორისო წინააღმდეგობებმა მკაფიო გამოხატულება პოვეს XVII-XVIII საუკუნეების ოთხ მსევილ საერთო ევროპულ ომში:

პირველი – ოცდაათწლიანი ომი (1618-1648);

მეორე – ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714);

მესამე – შვიდწლიანი ომი (1756-1763);

მეოთხე – რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1791-1815), რომელიც ევროპაში მსხვილი და რაღიკალური ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა.

აქვე აღსანიშნავია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ბრიტანული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიო პოლიტიკაში და დიდი გავლენა ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზეც.

XVII საუკუნის შუა ხანებში საერთაშორისო ურთიერთობები განიცდიდა თავისებურ ბიფურგაციას (გაყოფას, განაწილებას). XVI ს-ის შუა ხანებში ჩამოყალიბებული პაბსბურგების სამოქმედო პრინციპი – *Cujus region, ejus religio*, რომლის თანახმად ქვეყანაში ბატონობს ის რწმენა, რომელსაც მხარს უჭერს მისი მმართველი – ამ დროიდან არსებით ტრანსფორმაციას განიცდის და ცვლის კონფესიური ფაქტორის როლს მსოფლიო პოლიტიკაში, თუმცა ჯერ კიდევ არ არის მომხდარი საერთაშორისო ურთიერთობების სრული სეკულარიზაცია.

სწორედ, საერთაშორისო პოლიტიკიდან რელიგიის ფაქტორის გამოყოფისაკენ მიღდება გულისხმობს ბიფურგაციას. რელიგია ჯერ კიდევ რჩებოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ასპექტად და ეს კარგად გამოჩნდა ოცდაათწლიანი ომის მოვლენების დროს.

ევროპის შუასაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, კონტინენტს, ევროპის მონარქების და განსაკუთრებით, „აერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორების სახით, პონდა რომის პაპის ხელისუფლებისადმი დაპირისპირების ტენდენცია. ვინაიდან იმპერატორებს, პაპის ხელისუფლების მსაგესად გააჩნდათ პრეტენზია მსოფლიო ოკუპაციული მმართველობის სისტემის შექმნისა. ნიშანდობლივია, რომ გერმანიის პროტესტანტი მთავრების და ჩრდილოეთ ევროპის მონარქების ერთობლივი დაპირისპირება პაბსბურგების კათოლიკური უნივერსალიზმის სამყო სახლის გერმანული წარმოშობის იმპერატორების ექსპლუატაციის წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით თავისთავად წარმოადგენდა ბრძოლის უკანასკნელ აქტს კონტინენტზე ბატონობისათვის.

იმპერატორი ფერდინანდ II, საკუთარ თავს სერიოზულად განიხილავდა როგორც „ლმერთის წარმომადგენელს“. იგი ამ სულისკვეთებით ხელმძღვანელობდა ჰეშმარიტ ჯვაროსნულ დაშქრობას გერმანიის პროტესტანტულ ოლქებში, ვინაიდან კონტინენტზე ბატონობისათვის განხორციელების საფუძველზე განზრ-

ახული პქონდა შეექმნა ევროპაში უნივერსალური კათოლიკური იმპერიის მსგავსი გაერთიანება.

კარდინალ რიშელიეს სახით ის შეეჯახა არა მარტო გაბეჭდულ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ საგარეო პოლიტიკის ახალი პრინციპის შემოქმედსაც. საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურად შეფერილი უნივერსალიზმის სანაცვლოდ შემოვიდა პრინციპი – *raison d'etat* – სახელმწიფო ინტერესები, რომლის არსიც მანამდე არსებული რელიგიური კრედოს გარდაქმნა იყო. ბევრი ევროპელი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის ეს ახალი პრინციპი გახდა დოგმა და რწმენის სიმბოლო.

მკლევართა აზრით, ოცდათწლიანი ომის „ქურაში”, მოვლენების უშუალო მონაწილეების ნებისგან დამოუკიდებლად, შესაძლოა საბოლოოდ „გამოიჭედა” თანამედროვე სახელმწიფო ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა შიდა და საგარეო სუვერენიტეტი, ბიუროკრატია, რეგულარული არმია, მკვეთრად გამიჯნული და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების არსებობა, ტერიტორიაზე ცენტრალიზირებული კონტროლი და ა.შ. სწორედ, XVIII–XIX სს. მანძილზე, სახელმწიფო, „ეროვნული სახელმწიფოს” ცვლუციური განვითარების ანუ „ერი-სახელმწიფოს” ჩამოყალიბების შედეგად, საბოლოოდ, გახდა საერთაშორისო ურთიერთობების წარმატები.

თუკი პაპს და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის, პოლიტიკურ სფეროში შეასაუკუნოვანი კონფლიქტი განპირობებული იყო ალტერნატიული ძალის ცენტრის არსებობის შექმნის შესაძლებლობით და კვრობული კონსტიტუციონალიზმის წარმოქმნით, მაშინ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებული ხელშეკრულების საფუძველი ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროიდან ბევრი რამით ახდენდა გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე. კერძოდ, ფეოდალური სახელმწიფო (ევროპის ნებიმიერი სახელმწიფო, ასევე იმპერია - რომის საღვთო იმპერია) თავისი არსით, თავისთავად წარმოადგენდა სხვადასხვა სტატუსის და რანგის სუბიექტებს შორის

სახელშეკრულებო ურთიერთობების რთულ სისტემას. რა თქმა უნდა, შესაბამისი ხელშეკრულების დახმარებით ხდებოდა ვასალიტებთან ურთიერთობის რეგლამენტაციაც, რომელიც აფიქსირებდა ფეოდალური სამართლის სუბიექტებს (მონარქები, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, რაინდები, სასულიერო პირები, მოქალაქეები) შორის ურთიერთვალდებულებებს. იგი ასევე განამტკიცებდა შესაბამის სავაჭრო და პოლიტიკურ უფლებებს და პრივილეგიებს. ვარაუდობენ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს იმ თეორიის ფართოდ აღიარება, რომელიც მიიჩნევს ხელისუფლების წარმოქმნას „ხელშეკრულების პრინციპის“ საფუძველზე. ეს კი შესაძლებელი აღმოჩნდა ახალი ეპოქის გარიურაზე, სწორედ ევროპაში და შემთხვევითაც არა. დომინირებული ხელშეკრულების არსებობამ, რომელიც ასახვდა საზოგადოებრივი ორგანიზმის გარკვეულ საკითხებს, საფუძველი დაუდო საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებას. ამ უკანასკნელის ფარგლებში შესაძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების მიღება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. სწორედ, XVII საუკუნეში, კოლონიებისათვის ბრძოლის და საერთაშორისო ვაჭრობაში მონოპოლიზმის მოპოვების გავლენით, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ მიიღო დამატებითი იმპულსი.

მოცემულ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის თავისებურება იყო საერთაშორისო ურთიერთობის მსოფლიო სისტემაში მისი ცალსახად ევროცენტრისტული მოწყობა. ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი მოვლენა მიმდინარეობდა ევროპაში. რა თქმა უნდა, არა: მაგალითად, ჩინეთში ამ დროს ხდებოდა დინასტიის შეცვლა (მინის იმპერიის დაცემა და ციხების მანჯურიული დინასტიის დამყარება) და იმპერიის ტერიტორიული გაფართოება. კერძოდ, XVII ს-ის დასასრულს და XVIII ს-ის პირველ ნახევარში იმპერიის საზღვრები მიიწვდა ამჟრამდე ჩრდილოეთის და თანამედროვე ყაზახეთის დასავლეთის მიმართულებით.

ინდოეთის ნახევარკუნძულზე კი პირიქით, XVIII ს. დასაწყისში ხდება დიდი მოგოლის იმპერიის დაცემა, რომელსაც მოჰყვა საკმაოდ მძიმე პოლიტიკური შედეგები, შექმნილმა ვითარებამ ხელი შეუწყო ევროპელების შეღწევას სუბკონტინენტზე და ა.შ. მაგრამ აღნიშნულ თავისებურებაში საქმე ეხება სხვა რამეს. კერძოდ, ამ პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების მსოფლიო სისტემა მოეწყო არა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთი მთლიანი ორგანიზმი, (რეგიონალური სისტემების გაერთიანების შედეგად, როგორც ეს შესაძლებელია რომ ყოფილიყო მოსალოდნელი), არამედ საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული სისტემის აქტიური ექსპანსიის სვლაში ევროპის კონტინენტის გარეთ.

ამრიგად, ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები და პარამეტრები ჩამოყალიბებული იყო სწორედ XVII საუკუნის შუა ხანებში ეწევად ვესტფალიის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფარგლებში.

## **Irakli Manvelidze**

### **The Bases and Originalites of Systemic International Relations**

summary

The system of the international relations exists already almost five hundred years. However, during antique times people lived in the integrated political associations of the mixed type (a city-state, empire, feudal princedoms).

In sphere of the international relations the system is the important and known phenomenon. As system is called the generality of elements, which are interconnected among themselves and create integrity and unity.

The board type in the Ancient East, in classical Greece and Rome can be entered in frameworks Westphalian systems, but it, however, is deprived the sovereignty. The Westphalian peace promoted formation and an eminence of the nations and the states, setting up to diplomacy and army. The colonialism was a principal cause of distribution of this especial European system on other continents.

The modern international system, as a result, was generated after decolonization, in cold war. This system, basically, consists of sovereign political units, which with various frequency and heat co-operate in processes of the international relations.

The international system covers the states, with working out of actions and which reciprocal actions in foreign policy, the others since the international system is the phenomenon in which frameworks there is an acceptance interdependent the state decisions are considered.

Cardinal changes which XVI century has brought to the European people in political, economic, religious, cultural spheres, has changed and has reconstructed both character, and the maintenance of the international relations and foreign policy.

The Westphalian peace signed in 1648, became a basis of formation and development of system of the international relations. It is necessary to notice that the Westphalia system was a transition period between medieval (feudal) international relations and the international relations a new epoch (capitalist). It also was the first unstable international system in which the principles characterising the international relations of the ancient world (for them dynastic) and system international relations (for them a principle of the state interests have been expressed).

By the end of XV century Europe has entered a new stage of development of the international relations. For the given period the centralised states already actually were formed: Spain, Portugal, France, Poland, Austria (the hereditary earths Habsburg) which were a part of Sacred Roman empire the German nation earlier. Turkey, the Scandinavian countries – Denmark, Sweden, Norway, the East German small princedoms, the Italian cities-states and the small European states have made a continental card of continent. In the east gradually strengthened the

positions Moscow a principedom, which left on the European arena in second half XVI centuries. From now on in a principedom process of political association, then formation of the centralised state and, as a result, transformation in an absolute monarchy has come to the end.

Thus, the national states with the national-state interests became the main subject of system international relations. These interests become a principal cause of formation of resisting camps in world politics. As formation of system international relations in Europe has coincided with the beginning of development of capitalism, and the economic mercantilism has strengthened opposition between the European states.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, 1640-1815 წლები, ნაკვ. 1, ობ., 1999

ლომსაძე დ., ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-1870, ობ., 1998

მენუშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, უძველესი დროიდან - 1799 წლამდე, ობ., 2000

განველიძე ი., სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების გენეზისი და ევოლუცია, ობ., 2008.

რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, ობ., 2006

Андреев А.Р. Гений Франции, или жизнь кардинала Ришелье. – М., 1999.

Борисов Ю.В. Дипломатия Людовика XIV. – М., 1991.

Ивонина Л.И., Прокопьев А.Ю. Дипломатия Тридцатилетней войны. Учебное пособие. - Смоленск, 1996.

История Европы: С древнейших времен до наших дней. – В 8-ми т. – Т.4. Европа нового времени (XVII-XVIII века). – М., 1994.

Кобзарева Е.И. Вестфальская мирная система и Россия // Альманах "Космополис". – 1999.

Кошкин А.А. Первая мировая война и Восток // Новая и новейшая история. – 1998. – № 5.

Тарле Е.В Очерки истории колониальной политики западноевропейских государств (конец XV– начало XIX вв.). – М., – Л. 1965.

Черкасов П.П. Кардинал Ришелье. - М., 1991.

Andreas Osiander, „Sovereignty, International Relations, and the Westphalian Myth,” International Organization 55 (2) (Spring 2001): 251-287.

Benno Teschke, Theorizing the Westphalian System of States: International Relations from Absolutism to Capitalism, European Journal of International Relations, Vol. 8, No. 1, 5-48, 2002

Claire Cutler (2001). Critical Reflections on the Westphalian Assumptions of International Law and Organization: A Crisis of Legitimacy. Review of International Studies 27: 133-150.

Christopher Harding, Who Designed the Westphalian System? Probing the Epistemology of the Westphalian Debates: "Moses was but a juggler and King James the new Solomon", Law, Culture and the Humanities, Vol. 2, No. 3, 2006, 399-419

James Caporaso, The Westphalian System in Historical Perspective (International Studies Review Presidential Series), 2000

Leo Gross, „The Peace of Westphalia,” The American Journal of International Law 42 (1), January, 1948, p. 20-41.

Teschke Benno, Theorising the Westphalian System of States: International Relations from Absolutism to Capitalism, European Journal of International Relations, 8 (1), 2002, pp. 5-48

Valery Zorkin, An Apologia of the Westphalian System RUSSIA IN GLOBAL AFFAIRS VOL. 2, No. 3, JULY – SEPTEMBER, 2004, 22-29

Walker, Thomas Alfred, A History of the Law of Nations: From the Earliest Times to the Peace of Westphalia, 1648. Buffalo, NY: Willam S. Hein & Co., 2004

*ინგზა ზოიძე*

**გლოგალური ტელეკსელევბის როლის სოციოლოგიური  
ასპექტები**

უცანასქნელ ათწლეულში მეცნიერების ყურადღების ქვეშ აქტიურად ექცევა გლობალური სოციოლოგიური ჯგუფების ურთიერთობებზე, კერძოდ, საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე, პოლიტიკოსებისა და დიპლომატების გადაწყვეტილებებზე გლობალური ტელევიზიის ზემოქმედების ეფექტები. საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ხარისხი და მათი გამოყენების საშუალებები სულ უფრო მეტად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს, საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგიის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გააზრება აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მაინც რა როლი და მნიშვნელობა გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობის სოციოლოგიას (სუბ-ს) საერთაშორისო ურთიერთობებში? საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო და არასახელმწიფო მონაწილეებთან ერთად გლობალური ტელეექსელები წარმოადგენს თუ არა მთავარ ფაქტორს? მხედველობაში მიღებული უნდა იქნას ის ნიშნები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში. კერძოდ, საერთაშორისო გარემოზე აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობა, სხვა აქტორების მხრიდან ცნობა, მოქმედების სტრატეგიასთან შესაბამისობა, საკუთარი იდენტურობის გამოქვება, სარესურსო ბაზის არსებობა.

გლობალური ტელეექსელების მსოფლიო პოლიტიკაზე ზემოქმედების ხარისხს მოწმობს ის ფაქტიც, რომ გლობალური საინფორმაციო ტელეექსელები ხელისუფლების მიერ განიხლება ზემოქმედების ინსტრუმენტად არა მხოლოდ ფართო

საზოგადოებრივ მასებზე, არამედ სხვა ქვეყნების დიპლომატიურ ელიტაზეც. გლობალური ტელევიზია გახდა მრავალი პოლიტიკური და დიპლომატიური პროცესის მონაწილე და გარკვეული ქვეყნის ელიტისა თუ საერთაშორისო საზოგადოებაზე ამა თუ იმ დოზით გავლენის მომხდენი. გლობალური ტელეჭერები თანამედროვე ეტაპზე განსაზღვრავენ დიდ გამოწვევებს. გამოყოფენ ამა თუ იმ მოვლენის პირველ ხარისხიანობას, აშუქებენ თანამედროვე მსოფლიოს აქტუალურ პრობლემებს, აჩქარებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და არც თუ ისე იშვიათად, გამოღიან შეამავლებად დიპლომატიურ მოლაპარაკებებში.

გლობალური კომუნიკაციების ქსელში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიოს ახალი ამბების სისტემა. ახალი ამბების სისტემის შექმნაზე ზემოქმედების მომხდენ საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესი (კავშირების საშუალებათა სრულყოფა, პერსონალური კომპიუტერებისა და ინტერნეტის გავრცელება, თანამგზავრული კავშირი). საერთაშორისო ახალი ამბების სისტემის სრულყოფაში არანაკლები როლი შეასრულა ეკონომიკურმა გლობალიზაციაში.

ახალი ამბების გლობალური მაუწყებლობის დიდერები არიან – ტელეკომპანია SNN და ტელეკომპანია **BBS WORLA**. მათი მთავარი კონკურენტები არიან ახალი ამბების უმსხვილესი რეგიონალური ქსელები: Euronews, Deutsche welle, Eurosport-news-ი ევროპაში, **al-jazeera**, **Al-Arabiya**, **ANN** არაბეთის სახელმწიფო შიდა და აშ. **SNN**-ის შესახებ ჩამოყალიბდა აზრი, რომ მოვლენის ადგილზე აღნიშნული ტელეკომპანიის უკრნალისტის ყოფნაც კი გავლენას ახდენს მოვლენათა მიმდინარეობაზე. რუსეთიც ასევე ცდილობს საკუთარი გლობალური ტელეარხების შექმნას. უკვე შექმნილია ისეთი არხები, როგორიცაა საერთაშორისო ვერსია ტელეარხისა „**Россия**”, **РТР-планета**, „**Первый канал**”, „**Всемирная сеть**”. უდავოა, რომ რუსეთის საინფორმაციო საერთაშორისო არხების შედარება დასავლეთის მსგავს

არხებთან ჯერჯერობით არ შეიძლება, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი სულ უფრო კონკურენტუნარიანი ხდებიან.

დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც ყალიბება შეიარაღებული კომფლიქტების ესკალაციის პირობებში, მოითხოვს მოვლენათა მრავალმხრივ გაშუქებასა და მათი გადმოცემისას ინტერნაციონალურ მიდგომას. ახალი ამბების გლობალური ტელეარხები, რომლებსაც პყავთ მრავალკვალიური კადრები (ჟურნალისტები) ფლობენ უახლეს ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, პასუხობენ ახალ მოთხოვნებს. - ახალი ამბების გლობალურ ტელეარხებს შეუძლიათ განაპირობონ ცივილიზებული მეთოდებით დიალოგის წარმოება, პულტურულ ბარიერთა გადალახვა. გლობალური ტელეარხების წყალობით ფორმირდება პრობლემის გადაჭრის ინტერნაციონალური მიდგომა და გარკვეულ სოციოლოგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა დარეგულირება, როდესაც შესაძლებელი ხდება კონსესუსის მიღწევა.

ამრიგად, გლობალური ტელექსელები რიგი მაჩვენებდებით შეიძლება მივაკუთვნოთ აქტორთა კატეგორიას, თუმცადა სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი უფრო მეტად განიხილება, როგორც ფაქტორები (რესურსები) ან აგენტები ცალკეულ სოციალურ ჯგუფებისა და ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა.

## **Ineza Zoidze**

### **Sociological aspects of a role of global television networks**

#### **Summary**

Last decade under steadfast attention of scientists get, operating on relations of global sociological groups, in particular, the international public, on decisions of politicians and diplomats, effects of global TV. At the present stage of development of the public when quality and means of application of an information technology define vital character of a society even more actively, sociology of the international relations, one of the important factors of stability of the international relations is their judgement.

Thus, some indicators of global television networks can be carried to a category of actors, however in the scientific literature they are usually considered as factors (resources) or agents of separate social groups and as foreign policy of this or that country.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Циганков П.А. Акторы и факторы в международных отношениях и мировой политике. М., 2002.
2. Каза-Мрза. Манипуляция сознанием. М., 2001.
3. Орлова В.В Глобальриые телесети новостей на информационном рынке. М., 2003.

გურამ ჩაგანაგა

ეროვნული იდენტობის ფინანსური პროცესები და  
მოქალაშობა

ოქსფორდის ლექსიკონი (Fowler,Fowler, 1974:601) იდენტობას, როგორც აბსოლუტურ იგივეობას განმარტავს. ლევი-სტროსის მიხედვით „იდენტობა“ განისაზღვრება როგორც ფაქტიური ობიექტის სახეობა, რომელსაც უნდა დავუყრდნოთ მოვლენების განსამარტავად (Ainhoa de Federico de la Rua, 2007: 683). საუბრობებს აგრეთვე ე.წ. ნაციონალურ იდენტობაზე (სმითი, 2008, 24-52). ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში კი იდენტობა გაიგივებულია პიროვნების მიერ საკუთარი თავის განსაზღვრებისა თუ აღწერილობის შესაბამისად არსებულ ლირებულებებთან, რწმენებთან და იდეალებთან, რომლებიც ინდივიდუალური ქცევის წარმართვას განაპირობებენ (Hockenbury, Hockenbury, 2007:380). სოციალური ფსიქოლოგიის ე.წ. სოციალური იდენტობის თეორიის (ტაუერი და ტურნერი, 1979, 1986) მიხედვით იდენტიფიკაცია ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი უნივერსალური პროცესია (Ainhoa de Federico de la Rua, 2007: 687). ინდივიდები პოზიტიური შეფასების მიღებას ცდილობენ, რაც სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილებაზე და მასთან დაკავშირებულ შეფასებებზე არის დამოკიდებული. იდენტიფიკაციის პროცესი ორ განზომილებას ეფუძნება. პირველი - სოციალური კლასიფიკაციის კოგნიტური განზომილებაა: ადამიანები ცდილობენ ჯგუფებში აღმოაჩინონ მსგავსება, რომელიც დაკავშირებულია მათ აქტივობასთან, მიღრეკილებასთან ან ქცევასთან. მეორე განზომილება - პოზიტიური შეფასების მიღების გრძნობებთან და სოციალურ კატეგორიებისადმი კუთვნილებასთან არის დაკავშირებული (Ainhoa de Federico de la Rua, 2007: 687). ე. ერიქსონის მიხედვით, იდენტობის

განსაზღვრებაში გამოყოფენ სამ ელემენტს. პირველი: ადამიანი საკუთარ პიროვნებას მუდმივად საკუთარ თავთან გაიგივებულად უნდა აღიქვამდეს; მეორე: სხვა მნიშვნელოვანი ადამიანები აგრეთვე უნდა ხედავდნენ ინდივიდის საკუთარ თავთან გაიგივებულობასა და მთლიანობას. მესამე: ადამიანს უნდა ჰქონდეს დარწმუნებულობის განცდა, რომ მისი მთლიანობის შინაგანი და გარეგანი მხარეები შეთანხმებულები არიან ერთმანეთან (Хელл, Зиглер, 2006:228).

ეპროპული ტრადიცია არ ანსხვავებს ეროვნული იდენტობის აღმნიშვნელ ტერმინს “**Nationality**” და მოქალაქეობას “**Nationality**” (თუმცა ევროპულ ენებში მოქალაქეობის აღსანიშნავად არსებობს მეორე სიტყვაც, კერძოდ, ინგლისურში “Citizenship”). ამ პრინციპით, მაგალითად, ფრანგი ნაციონალობის ადამიანი შეიძლება იყოს წარმოშობით „ფრანგი“ ან „ალეირელი“. ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქეს პასპორტში უწერია „ნაციონალობა“ ამერიკელი, ხოლო წარმოშობა იტალიელი. საბჭოთა კავშირში მოქალაქეს პასპორტში ეწერა „საბჭოთა კავშირის მოქალაქე“, ხოლო ეროვნების გრაფაში „ქართველი“.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პირველად გადმოიღებული იყო საბჭოთა კავშირში არსებული პრაქტიკა და პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში იწერებოდა მოქალაქე, ეროვნება ქართველი (სომეხი, რუსი და ა.შ.). მოგვიანებით კი, პასპორტებში თუ მოწმობებში დატოვებულ იქნა მხოლოდ მოქალაქეობის აღმნიშვნელი ჩანაწერი “მოქალაქის პირადობის მოწმობა.”

როგორც ქართველი, ისე არაქართველი წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებისათვის ასეთი ჩანაწერი მიუღებელია შემდეგი გარემოებების გამო:

ქართველი წარმოშობის მოსახლეობას ასეთი ხასიათის ჩანაწერი ეროვნული იდენტობის სახელმწიფოებრივ დონეზე შეზღუდვად, ხოლო არაქართველი მოსახლეობის ნაწილს კი, ეროვნულ დისკრიმინაციად შეუძლია მიიჩნიოს. ქართველი წარმოშობის მოქალაქეებს ეროვნული იდენტობის დაკმაყოფილება

არ შეუძლია პირადობის მოწმობის საშუალებით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ იქ იქნება ჩაწერილი ქართველი. ასე, რომ პირადობის მოწმობის „მოქალაქე“ არ იწვევს მასთან გაიგივებას და ამგვარად იქმნება ისეთი განცდა, რომ პიროვნების გასაიგივებელი ჩანაწერი – „მოქალაქე“, ეროვნულობის თვალსაზრისით ცარიელი ადგილია და მასთან გაიგივება არა თუ არ არის დაკავშირებული ჩვენს სურვილთან, არამედ სურვილის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია, რადგან სიტყვა მოქალაქე ინდიფერენტულია ტერმინ საქართველოსთან მიმართებით.

მნელა იმის გარკვევა, თუ რას ფიქრობდნენ პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში ასეთი ჩანაწერის ავტორები, მაგრამ შესაძლებელია, რომ მათი აზრით, თუ საქართველოს მოქალაქებს მათი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად პირადობის მოწმობასა თუ პასპორტში ჩაეწერებოდათ მხოლოდ „მოქალაქე“, მაშინ ქართული წარმოშობის მოქალაქეებს ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით პრობლემა არ შექმნებოდათ, რადგან ისინი ისედაც „ქართველები“ არიან, ხოლო არაქართული წარმოშობის მოქალაქეები კმაყოფილი იქნებოდნენ, რადგან ქართველებთან „ქართველობით“ კი არ იქნებოდნენ გათანაბრებულები, რაც საქართველოს სახელმწიფოსთან ადაპტაციის მაჩვენებელი იქნებოდა, არამედ ნებისმიერი წარმოშობის ადამიანი მოქალაქეობასთან იქნებოდა გაიგივებული და ამით რეალურად იგნორირებული იქნებოდა „ქართველობა,“ რაც სინამდვილეში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის იგნორირების ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში საკუთარი თავის „საქართველოსადმი“ მიკუთვნება და მასთან გაიგივება შეუძლებელია მხოლოდ პირადობის მოწმობასა თუ პასპორტში მითითებული გვარის, სახელის, დაბადების წელის, თვის, ადგილისა თუ რიცხვის მიხედვით. „საქართველოსთან“ ასოციაციების დამყარება მსგავსების ასოციაციის მიხედვით (ნათაძე, 1977:302-316) უნდა მოხდეს, მაგრამ პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში არსად არ არის გამოყენებული ტერმინი ქართველი (ერო-

გნება) და არც ტერმინი ქართული (მოქალაქეობა), რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირება და საკუთარი თავის მასთან გაიგიფება. ასოციაციის დამყარების დროს აუცილებელია, რაღაც საერთო ნიშანი არსებობდეს ორ საგანსა თუ მოვლენას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში “საქართველოსთან” ასოცირებულობა მხოლოდ ფორმალური, არაარსებითი, შემთხვევითი ხასიათის მატარებელი იქნება, რომელიც გამოწვეულია რადაც პრაგმატული ანდა იძულებითი ფაქტორებით. ამიტომ ისეთ აუცილებელ ნიშად, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერი წარმოშობის მოქალაქეს გააიგივოს საკუთარი თავი საქართველოსთან, არის მხოლოდ და მხოლოდ “ქართველის” კონსტრუქტი. ამიტომ კი პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში აბსოლუტურად აუცილებელია ჩაიწეროს ქართული სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმნიჭებელი ეროვნების დასახელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ სახელმწიფოს სახელწოდების (საქართველო) დაკავშირებაც შეუძლებელი ხდება ქართული მოსახლეობის დასახელებასთან (ქართველები) და ქართველი პიროვნების დასახელებასთან (ქართველი), რადგან არც ერთი მათგანი (გარდა საქართველოსი) სხვაგან ოფიციალურად არ არის დაფიქსირებული. სახელმწიფო კი, ზუსტად ეროვნულობის ოფიციალური განხორციელებაა.

ქართული სახელმწიფოს სახელწოდება კი არის ლინგვისტურად დაკავშირებული “ქართველებთან” და “ქართველთან,” მაგრამ ოფიციალურად, სახელმწიფო ორგანიზაციად ასეთი დაკავშირებულობა არ არსებობს. საქართველო არა უბრალოდ საქართველოს მოქალაქეთა ერთობლიობაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართველთა (ეროვნული წარმოშობის მიუხედავად) ერთობლიობაა ანუ ისეთ ადამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც არა მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებათ აღიარებენ საკუთარ თავს, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ქართველებისადმი კუთნილ ქვეყანად აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხელწოდება საქართველო უბრალოდ გეოგრაფიული სახელწოდებისა

და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუნქციის მატარებელი ხდება ისევე, როგორც, მაგალითად, **კავკასიასთან** გასაიგივებლად საკმარისია ჩვენ საკუთარი თავი მივაკუთვნოთ **კავკასიელებს** და ამგვარად **კავკასიასთან** გაიგივებაც უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს და ასეთი **იდენტობა** უბრალო კოლორიტულობის ფარგლებს არ სცილდება. დამოუკიდებელ სახელმწიფოში კი, არ შეიძლება იგნორირებული იქნეს რომელიმე კომპონენტი, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელმწოდების მიმცემ მოქალაქეს შეზღუდავს სახელმწიფოსთან სრულყოფილი იდენტობის დაღგენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მოქალაქეს არ აქვს ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქის განცდა, არ მიაჩნია, რომ ეს სახელმწიფო მას ეკუთვნის, არ აქვს გათავისებული ეს სახელმწიფო, ის მისთვის უცხოა და ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ მას, როგორც უცხოს, ისე მოვაყრას ანუ არ იზრუნოს მასზე, არ დაიცვას ის და მიიჩნიოს, რომ სახელმწიფო არ აღიარებს მას როგორც სრულყოფილ მოქალაქეს და ამიტომ მასაც შეუძლია არ აღიაროს ასეთი სახელმწიფო როგორც **საკუთარი, ახლობელი.**

ქართული წარმოშობის მოქალაქეებს ეროვნული იდენტობის დაქმაყოფილება არ შეუძლიათ პირადობის მოწმობისა თუ პასპორტის საშუალებით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ იქ იქნება აღნიშნული: **ეროვნება - ქართველი.** ასე, რომ “**მოქალაქე**” არ იწვევს მასთან გაიგივებას და ამგვარად იქმნება ისეთი განცდა, რომ პიროვნების გასაიგივებელი ჩანაწერი – **მოქალაქე**, ეროვნულობის თვალსაზრისით ცარიელი აღგილია და მასთან გაიგივება არა თუ არ არის დაკავშირებული ჩვენს სურვილთან, არამედ სურვილის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია, რადგან სიტყვა **მოქალაქე** ინდიურებნებული, ემოციურობას მოკლებული, ოფიციალური კონსტრუქტია, რომელიც ხელოვნურობის განცდას იწვევს და ამ ხელოვნურ კონსტრუქტან გაიგივება ეროვნულობაზე უარის ტოლფ-

ას მდგომარეობაში ჩაყენებას ნიშნავს, რადგან სიტყვა **მოქალაქე** სიტყვა ნაციონალობასაგან (“**Nationality**”) განსხვავებით ერთ და იმავე დროს არ ნიშნავს **მოქალაქეობასა და ეროვნულობას**, არამედ ის მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეს (“**Citizenship**”) ნიშნავს და ამიტომ ქართული წარმოშობის ადამიანი აქ უთუოდ ნაკლულობის გრძნობას განიცდის.

ამ შემთხვევაში ქართველ ადამიანს, როგორც სახელმწიფო საოცვის სახელწოდების მიმნიჭებული ეროვნების წარმომადგენელს ანუ ქ.წ. სატიტულო ეროვნების წარმომადგენელს აიგივებენ ეველა სხვა ეროვნების ადამიანთან და არა პირიქით, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, როდესაც სხვა ეროვნული წარმოშობის ადამიანები გაიგივდებიან ქვეყნისაოცვის სახელწოდების მიმნიჭებულ ეროვნებასთან. აქ კი აიგივებენ არა ქვეყნის სახელწოდებისაგან “**საქართველოდან**” გამომდინარე, არამედ **საქართველოს მოქალაქეობისაგან** გამომდინარე (თუმცა პირადობის მოწმობაში არ არსებობს ასეთი, ჩვენს მიერ ხაზგასმული კონსტრუქტი და მას, ჩვენ მხოლოდ შინაარსობრივად ვგულისხმობთ). ასეთი იდენტიფიცირება უთუოდ ერთი და იგივე არ არის, რადგან ამ შემთხვევაში ძირითადი აზრის მატარებელი სიტყვა **საქართველო** კი არ არის, არამედ მოქალაქეობა. **მოქალაქეობა** შეიძლება იყოს დროებითი, მუდმივი, ორმაგი, შეიძლება იყოს ამა თუ იმ ქალაქის, დაბისათვე სოფლის. ანუ ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ნებისმიერი განსაზღვრება სიტყვა **საქართველოს სიტყვა მოქალაქეობის** მხოლოდ სპეციფიკის აღმნიშვნელია და არა **არსის** (ასევეა კონსტრუქტი წითელი ვაშლი, როგორიც მართალია განსხვავდება კონსტრუქტისაგან მწვანე ვაშლი, მაგრამ მაინც ორივე შემთხვევაში ვაშლზე არის საუბარი და ამიტომ ძირითადი არსის მატარებელი არის სიტყვა **ვაშლი** და არა წითელი თუ მწვანე). ამრიგად, ვერბალური კონსტრუქტი **საქართველოს მოქალაქე** უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მოქალაქეობასთან და მხოლოდ შემდეგ საქართველოსთან. ამ დროს კი **საქართველოს მოქალაქე** საკუთარ თავს

საქართველოსთან უნდა აიგივებდეს, მაგრამ რადგან კონკრეტულ პიროვნებას შეუძლია საკუთარი თავი მხოლოდ მოქალაქესთან (თუნდაც საქართველოს) გააიგივოს, გამოდის, რომ **საქართველოსთან**, როგორც **ქვეყანასთან** გაიგივების შესაძლებლობა მას აღარ აქვს იმ დროს, როდესაც **მოქალაქეობა** აუცილებლად გულისხმობს ქვეყანასთან იდენტიფიკაციისა ანუ გაიგივების შესაძლებლობას.

**საქართველო ქართული სახელმწიფოებრიობის სტრუქტურის უმაღლესი მწვერვალია,** ქართველობის ორგანიზაციული სისტემის სრულყოფილი განხორციელებულობაა. საქართველო ამჟამად ქართველთა ინტეგრირებული ცნებაა და ამიტომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მისი ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად აქვს მოლოდინი, რომ ინდივიდუალურად ამ სახელმწიფოებრიობის განმასახიერებელ ზოგადად და კველა მოქალაქის მომცველ **საქართველოს ცნებასთან იდენტიფიცირება** შესაძლებელია არა უშუალოდ ცნება **საქართველოსთან იდენტიფიკაციით**, არამედ შუამავალი ცნება **ქართველის** გამოყენებით, რომელიც ინდივიდუალური გამოყენების კონსტრუქტია და მისი მეშვეობით ადამიანი ხდება საერთოდ ქართველთა წარმომადგენელი, რადგან საკუთარ თავს მიაკუთვნებს ქართველთა ერთობას კ. ი. აიგივებს საკუთარ თავს საერთოდ ქართველებთან და ამის შემდეგ **საქართველოსთან**. ასეთი გაიგივება შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს არსებობის გარეშეც ადამიანის ცნობიერებაში, როდესაც მისი შესაძლებლობები ოფიციალური აღიარებისა შეზღუდულია ანუ მას ოფიციალურად არ შეუძლია საკუთარი თავი მიაკუთვნოს ქართველთა ერთობას და ოფიციალურად საკუთარი თავი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქართველოს მოქალაქედ განიცადოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს არ აქვს საშუალება ოფიციალურად საკუთარი თავი გააიგივოს დამოუკიდებელ საქართველოსთან, ის რჩება იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო ის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღწევამდე.

**“საქართველოს მოქადაქის”** კონსტრუქტი არ არის მხოლოდ ნაკლელობის გრძნობის გამომწვევი, რადგან ნაკლელობის გრძნობის დროს, ადამიანი რაღაც ოდენობით სრულყოფისა თუ სრულფასოვნების განცდას მაინც ფლობს. ამ შეთხვევაში კი **“ქართველისათვის”** პიროვნული ეროვნული იდენტიფიკაციისათვის “საქართველოს მოქადაქის” კონსტრუქტი საერთოდ მიუღებელია, რადგან პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში არ არის ნაჩვენები ოფიციალურად რა ეროვნების პიროვნების დამადასტურებელ მოწმობასთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, ქართული სახელმწიფოსათვის მისი სახელწოდების მიმნიჭებელი ადამიანისათვის მის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში თუ პასპორტში ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინის **“ქართველის”** გამოტოვების გამო ამ საბუთში დარჩენილ ტერმინთან საქართველოს **“მოქადაქე”** გაიგივება-იდენტიფიკირა შეუძლებელი ხდება. ის უცხო, მიუღებელ, ხელოვნურ, რეალობას მოკლებულ კონსტრუქტად აღიქმება, რომელსაც ქართულ ეროვნულ ცნობიერებასთან არაგითარი კავშირი არა აქვს და ამიტომ საქართველოს მოქადაქის პასპორტში და პირადობის მოწმობაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა **“ქართველი.”**

ტერმინი **“ქართველი”**, ისევე, როგორც შესაბამისი ტერმინი ფრანგულ თუ სხვა ევროპული ქვეყნის პირადობის მოწმობაში თუ პასპორტში ერთდროულად აღნიშნავს ყოფნასა და კუთვნილებას (მე ვარ ქართველი, ქართველი ისეთივე ჩემი ნიშანია, ჩემი თვისებაა, როგორც ჩემი სახელი ანუ ის მე მეკუთხნის) და ამავე დროს ტერმინი **“ქართველი”** ქართველთა ერთობლიობისადმი კუთვნილებას აღნიშნავს (ჩვენ ვართ ქართველები) და ამ კუთვნილების გაცნობიერებით ამ ერთობლიობის შემადგენლობაში ყოფნასაც აღნიშნავს.

**იდენტობა თანასწორობასთანაც** (Pizarro,2007: 767-792) არის დაკავშირებული. საქართველოს მოქადაქის **“ქართველთან”** გაიგებით დადასტურებული იქნებოდა არაქართული წარმოშობის ადამიანების თანასწორობა წარმოშობით ქართველებთან, ხო-

ლო ამჟამად არსებული მდგომარეობა იგნორირებას უკეთებს სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმნიჭებელი მოსახლეობის სახელწოდებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ დისკრიმინაციად შეიძლება იქნეს შეფასებული.

ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ არაქართული წარმოშობის მოსახლეობას საშუალება აქვს საქართველოს მოქალაქესთან იდენტიფიკაციით გვერდი აუაროს “ქართველთან” იდენტიფიცირებას, როგორც რეალურ, სრულყოფილ საქართველოს სახელმწიფოს პიროვნულ, ინდივიდუალურ განსახიერებას და ამ რეალური განსახიერების ნაცვლად ითვისებს, მიიკუთვნებს ქართული სახელმწიფოებრიობის ზედაპირულ, არაარსებით კონსტრუქტს, სუროგატს, რაც ბუნებრივია მას არ აძლევს სრულყოფილ მოქალაქეობასთან იდენტიფიკაციის საშუალებას მისი სურვილის მიუხედავად. აქ აშარად სხვა ეროვნული წარმოშობის ადამიანის დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. ნებისმიერ ადამიანს მისი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად უფლება უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის სუროგატს კი არა, არამედ სრულყოფილ კონსტრუქტს დაეუფლოს. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ნებისმიერი ეროვნული წარმომავლობის ქართველ მოქალაქეს პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში ეროვნების აღსანიშნავად გამოყენებული იქნება ტერმინი “ქართველი.” საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოებრივი ნაციონალური იდენტობა აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმცემი ეროვნების სახელწოდებას და ამიტომ ქართული წარმოშობის ადამიანთა ეთნიკური იდენტობის (Lubbers, Molina, McCarty, 2007:722) მაჩვენებელი ქართველი აუცილებლად უნდა იყოს ასახული პირადობის მოწმობაში თუ პასპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია გამტკიცოთ, რომ საქართველო ქართველთა ქვეყანაა. ამავე დროს ასეთი მტკიცებულება სულაც არ არის ქართველთა უპირატესობის აღმნიშვნელი. აქ უბრალოდ არსებული ფაქტის ოფიციალური დადასტურებაა ანუ განმარტებაა, თუ რა არის საქართველო, ისევე როგორც

ანალოგიური გზით შეიძლება განმარტებული იქნეს, თუ რა არის საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და ასე შემდეგ.

როდესაც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელო-ვანეს დოკუმენტში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი „სახელმწიფოს მოქალაქის” კონსტრუქტი, ეს გარემოება თვით ქართული წარმოშობის მოსახლეობაშიც იწვევს საქართველოს „მოქალაქის” კონსტრუქტის კანონზომიერ გაუფასურებას, პუთ-ხური კუთვნილების წინ წამოწევას და ცნობიერებაში მის განმტკიცებას, რაც, რა თქმა უნდა, არასასურველ მდგო-მარეობად უნდა იქნეს შეფასებული.

შესაძლებელია დამკვიდრებული იქნეს ჩვეულებრივი ევრო-პული ტრადიცია, როდესაც ცალ-ცალკე არ იქნება გამოყენე-ბული არც საქართველოს „მოქალაქე” და არც სიტყვა ერო-ვნება, არამედ გამოყენებული იქნება სიტყვა ნაიონალობა, რო-მელიც ევროპული **“Nationality”**-ს ტოლფასად უნდა მივიჩნიოთ და რომელიც ერთდროულად აღნიშნავს, როგორც მოქალაქეო-ბას ისე ეროვნებასაც და მის გასწვრივ ჩაიწერება „ქართველი.” იმ შემთხვევაში თუ წარმოშობით ქართველს ან სხვა ერო-ვნების წარმოშობის ადამიანს ექნება სურვილი, რომ პირადო-ბის მოწმობაში თუ პასპორტში მითითებული იყოს მისი ეროვნ-ული წარმოშობის შესახებ, მაშინ ასეთი შესაძლებლობა უნდა იყოს გათვალისწინებული (ამავე დროს უნდა იყოს განმარტ-ებული, რომ ეროვნული წარმოშობის დაფიქსირება გარვე-ულწილად შეიძლება დისკრიმინაციად იქნეს შეფასებული). ასეთ შემთხვევაში პირადობის მოწმობა ან პასპორტი თვითონ გახდება სრულყოფილი დოკუმენტი და პიროვნული სისავსისა და სრულყოფილების საფუძველი.

სრულყოფილ სახელმწიფო კონსტიტუციური მოქალაქეობის საგარაუდო კონსტრუქტორი (ამ შემთხვევაში „ქართველი“) ადა-პტაცია (ეს ქართული წარმოშობის მოსახლეობასაც ეხება), ჩვეულებრივი და აუცილებელი პროცესია, რომელიც ზუსტად სახელმწიფოს მოქალაქეთა თანასწორობას, სრულფასოგნების განცდას, დირსების გრძნობას, საკუთარი თავის სახელმწიფოს

სრულყოფილი მოქალაქისა და საკუთარი თავის სრულყოფილ პიროვნებად გრძნობის უზრუნველყოფას განაპირობებს.

ეროვნული (ნაციონალური) იდენტობის სრულყოფილი ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების საკითხია, რადგან იდენტობა დაკავშირებულია მორალურ ცხოვრებასთან, ალტრუიზმთან (6:406), რომელთა გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსადმი უკიდურესი ეგოისტური, ვიწრო ჯგუფური თუ პარტიკულარისტული დამოკიდებულების დაძლევა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ იდენტობა არის საკუთარი არსებობის, თავისი “მე”-ს საკუთარი თავისადმი კუთვნილების, საკუთარი პიროვნების თავისუფალი გამგებლობის შესაძლებლობისა და სოციალურად თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანებულ, მკვეთრად გამოცალავებულ ადამიანთა მთლიანობის გაიგივებლობის ცნობიერი ფენომენოლოგიური კონსტრუქტია.

ეთნიკური თვითცნობიერების დონეზე იდენტობა ფენომენოლოგიურად რეალიზდება საკუთარი “მე”-ს ეროვნულობასთან გაიგივებულობაში, ხოლო სახელმწიფოს დონეზე ეროვნულობასთან ფენომენოლოგიური გაიგივებულობა ტრანსფორმირდება ოფიციალურად დადასტურებულ და ქვეყნის სუვერენიტეტით გამტკიცებულ საკუთარი “მე”-ს სისტემურ გაიგივებულობაში ეროვნულობასთან, მოქალაქეობასთან და სახელმწიფოსთან.

ასეთი იდენტიფიკაციის, როგორც იდენტობის მიღწევის უზრუნველყოფის პროცესის, სრულყოფილი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდვიდუალობის (ეროვნება), სახელმწიფოებრიობისა (სახელმწიფოს სახელწოდება) და მოქალაქეობის (სახელმწიფოსადმი კუთვნილების ფიქსაცია) გაიგივებულობის ფაქტორებს აქვთ ერთი და იგივე ლინგვისტური საფუძველი.

**Guram Chaganava**

**Psychological Problems of National Identity and Citizenship  
(Nationality)**

**Summary**

Identity is conscious phenomenological construct of the sameness of the existence of the “Self”(Ego), belonging of the Ego to person, possibility of the free managing of the personality with united on equitable basis clearly limited wholeness of the people.

At a rate of ethnic consciousness identity phenomenologically is realized in sameness of the Ego with nationality but at a rate of state phenomenological sameness with nationality is transformed in officially confirmed and fixed by sovereignty of the country system of the sameness of the Ego with nationality, citizenship and state.

The Full-fledged realization of such identifications, as process providing achievement of the identity is possible only then, when factors of the sameness of individuality (the nationality),statehood (the name of the state) and citizenship( fixing belonging to state) have one linguistical base.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1977.
2. სმითი კ. დ., ნაციონალური იდენტობა, თბ., 2008.
3. Ainhoa de Federico de la Rua. Networks and Identifications: A Relational Approach to Social Identities. International Sociology. Vol. 22(6), November 2007, SAGE, Los Angeles, London.
4. Fowler H.W., Fowler F.G. (Editors). The Concise Oxford Dictionary of Current English. Oxford, At the Clarendon Press, 1974.
5. Hockenbury D.H., Hockenbury S. E. Discovering Psychology. Worth Publishers, 41 Madison Avenue, New York, 2007..
6. Lubbers M. J., Molina J.L., McCarty C. Personal Networks and Ethnic Identifications. The Case of Migrants in Spain. International Sociology. Vol. 22(6), November 2007, SAGE, Los Angeles, London.
7. Monroe K., How Identity and Perspective Constrain Moral Choice. International Political Science Review. Vol. 24(4), October 2003. c/o Mercury Airfreight International Ltd, Blair Road, Avenel, New Jersey 07001, USA. Unated Kingdom, The Alden Press, Oxford.
8. Pizarro N., Structural Identity and Equivalence of Individuals in Social Networks: Beyond Duality. International Sociology. Vol. 22(6) , November 2007, SAGE, Los Angeles, London.
9. Хъелл Л., Зиглер Д., Теории личности. Питер, М., 2006.

## სტრუქტურული და დეპრესიის ურთიერთკავშირი

სტრუქტურული და დეპრესიის ურთიერთკავშირი მინა-გან წინააღმდეგობრივ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა თუ ცხოვრებისეულ კონფლიქტურ გარემოებებზე (Анцупов, Шипилов, 2004 : 489–502) მისი პიროვნული, ხოციალური თუ ბიოლოგიური მოთხოვნილებების შეზღუდვაზე მწვავე რეაგირებას. სტრუქტურული და დეპრესიის ურთიერთკავშირი მინა-გან წინააღმდეგობას განვითარებაში შეუძლია გაიაროს სამი ეტაპი:

1) შფორთვის სტადია, როდესაც ხორციელდება ორგანიზმის რესურსების მობილიზაცია;

2) რეზისტენციის სტადია, რომლის დროსაც ორგანიზმი ეწინააღმდეგება ძლიერ გარე გამდიზიანებლებს, რომლებსაც პირობითად შეიძლება აგრესორი ვუწოდოთ, თუ მას ასეთი შესაძლებლობები გააჩნია;

3) გამოფიტვის, დაუძლეურების სტადია, რომლის დროსაც მცირდება ადაპტაციური ენერგიის მარაგი ინტენსიური გამდიზიანებლის ზემოქმედებით ანდა სუსტი გამდიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედებით, ან კიდევ, ადაპტური მონაცემების ნაკლებობით ორგანიზმში.

ამრიგად, მეცნიერული თვალსაზრისით, სტრუქტურული არის ორგანიზმის შეგუების რეაქცია გარემოს ექსტრემალურ ცვლილებების გამოყენების მიზანით. ამიტომ სტრუქტურული და განრიდების რეაქციების“ ერთობლივ გამოვლინებად არის მიჩნეული.

ჩვენს ორგანიზმს საკუთარი შინაგანი ენერგიის მობილიზაციის უნარი აქვს. სიმშვიდის, დასვენების, დაწყნარებულობის, მაგალითად, შვებულების პერიოდში, სტრუქტურული მაჩვნებლები დაბლოკდება, რაც თავისთავად ორგანიზმის აგრესიული რეაქციების მიმართ მომზადებულობის შემცირებას იწვევს.

განვითარებული გულისცემა, მაღალი სისხლის წნევა, შეცვლილი სუნთქვის რიტმი, კუნთების დამაბულობა ორგანიზმის საბრძოლო მზადებულების მდგომარეობას ასახავს. რა თქმა უნდა,

ეს სტრესული მდგომარეობის სომატური გამოვლინებების არას-რული ნუსხაა. ადამიანები მათი პიროვნული თვისებების შესაბ-ამისად განსხვავებულად რეაგირებენ სტრესზე. ის ვინც მუდ-მიგად იმყოფება დაძაულობის მდგომარეობაში, უფრო ხშირად აგადდება ინფექციური სწერულებებით და უფრო ხშირად ციგ-დება. სტრესის შედეგად სუსტდება ადამიანის იმუნური სისტემა, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანის სწერულებისადმი იმუნიტეტის, წინააღმდეგობის გაწევის უძლიერესი ფაქტორია.

სტრესი ითვლება დეპრესიის ერთ – ერთ მთავარ გამომწვევა მიზეზად (Перре, Бауманн, 2003 : 1053–1061). დეპრესიამ გავრცელ-ებულების თვალსაზრისით შეიძლება კონკურენცია გაუწიოს გრიპს.

ამტკიცებენ, რომ დეპრესია უფრო მეტად ახასიათებს ქალ-ებს, ვიდრე მამაკაცებს. დეპრესიის (ბოლქვაძე, 2009 : 125-131; ჩაგანავა, 2009:160-177; Андреева, 1984:61-82) დროს ადამიანს უპ-იდურესი პესიმიზმი, დაბალი თვითშეფასება, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, მომავლის იმედის დაკარგვა, სხვებთან ურთ-იერთობების დისტანცირება, გაუცხოება, საკუთარ თავში ჩაკ-ტილობა, უმოქმედობა, საკუთარი ქცევის მუდმივად ნეგატიურად შეფასება, საკუთარი თავის გაკიცხვა, დამცირება, დამცრობა ახასიათებს. ადამიანი ხშირად საკუთარი დირსების უარყოფამდე მიდის, მაგრამ ძირითადად დეპრესიული შემოტევა ჩვეულებრივ არ აღმატება სამ თვეს. დეპრესიის დროს არც თუ იშვიათია თვითმკვლელობა. ქალები უფრო მეტად თვითმკვლელობის იმიტაციას ახდენენ და ამის გამო მათ შორის თვითმკვლ-ელობათა რაოდენობა უფრო მცირება, ხოლო მამაკაცებს შორის უფრო მეტი. აღნიშნავენ (Лунц, 1978:636–637), რომ მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრკანიანები უფრო ხშირად იპლავენ თავს, ვიდრე შავკანიანები, მდიდრები უფრო ხშირად, ვიდრე ღარიბები, რაც შეიძლება იმით აქსნათ, რომ მდიდრებს თითქმის ყველა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული აქვთ და ისინი ისეთ ზღვარს აღწევენ, რომლის შემდეგ ცხოვრება კარ-გავს აზრს. დარიბები იმედით ცხოვრობენ, მათ მომავლის

ძლიერი რწმენა აქვთ, მოთხოვნილებები კი, შედარებით მცირე. მიუთითებენ აგეთვე, რომ მორწმუნებს შორის დეპრესიულობა და თვითმკვლელობა უფრო იშვიათია, ხოლო ათეისტებს შორის კი, უფრო ხშირი. ანუ რწმენა განამტკიცებს სიცოცხლისუნარიანობას და სიცოცხლისადმი აზრის მიმცემია. ასევე ძლიერდება დეპრესია განქორწინების ან მეუღლის დაკარგვის შემთხვევაში. საერთოდ, დეპრესიის შემთხვევები იზრდება ასაკთან ერთად (Лунц, 1978:636–637) და თუ საშუალო ასაკში დეპრესიით დაავა-დებულთა შორის ქალები შეადგენენ უმრავლესობას, მოხუ-ცებულობის პერიოდში დეპრესიულ ადამიანთა შორის მამაკ-აცები პირველობენ.

თანამედროვე გამოკვლევები მოწმობენ, რომ დეპრესია იზრ-დება ახალგაზრდებს შორის თოთხმეტიდან – ოცდახუთ წლ-ამდე ასაკში. დეპრესიული მდგომარეობა ძალიან სწრაფად ვითარდება სტრესებისა და დაბაზულობის შემთხვევაში. მასზე ქვეყნის მდგომარეობაც ახდენს ზეგავლენას. მაგალითად, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც არის ისრაელი და სადაც მუდ-მიგად სტრესული მდგომარეობაა, მაღალია დეპრესიული დონე (Лунц, 1978:636–637).

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ბავშვობის პერიოდის გამოცდილება ახდენს ზეგავლენას დეპრესიის წარმოშობაზე. ასე მაგალითად, ფროიდისტები ამტკიცებენ, რომ ბავშვობის პერიოდში ყალიბდება დანაშაულის განცდა და ეს განცდა ზრდასრულობის პერიოდში საკუთარი თავის მიმართ აგრესიუ-ლობაში გამოიხატება. დეპრესია სინამდვილებში არის შემო-ბრუნვებული აგრესია. სამუცნიერო დიტერატურაში (პეტროვსკი, 1977:80–132; კონ, 1989:128–156; კონ, 1967:69–84; კონ, 1984:12,47–78) სისტემატურად განიხილავენ სტრესისა და დეპრესიის (ანდა ამ რიგის განცდისეული მდგომარეობის მოვლენებს) ურთიერთმ-იმართებებს, მაგრამ მაინც აქ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასარკვევი. სასკოლო ასაკისადმი მიძღვნილ ნაშრომებში (ნორაკიძე, 1964:3-4; მუხინა, 1989:3-4; პეტროვსკი, 1977:3-4; გამეზო, მათიუხინა, მიხალ'чик, 1984:3-4; ჩაგანავა, 2004:10-14) მწირია ამ

არობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა სტრესისა და დეპრესიის გამოვლინების შესწავლა თანამედროვე ტესტების საფუძველზე. სტრესისა და დეპრესიის ურთიერთმიმართებები სამ ძირითად სასკოლო ასაკში იქნა შესწავლილი (უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკი).

სტრესული მდგომარეობის შესწავლისას გამოყოფილი იყო სტრესული მდგომარეობის 3 ჯგუფი;

- 1) დაბალი სტრესული მდგომარეობა;
- 2) საშუალო სტრესული მდგომარეობა;
- 3) ძლიერი სტრესული მდგომარეობა.

სტრესისა და დეპრესიის ურთიერთმიმართების კვლევამ გვიჩვენა, რომ დაბალი სტრესი საკმაოდ დიდი სიხშირით იწვევს დეპრესიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დეპრესიულობის დროს სტრესი სიძლიერის განსხვავებულობის მიუხედავად, ძალიან ხშირია უმცროს სასკოლო ასაკში და ის შედარებით მცირდება მოზარდობისა და ადრეული ჭაბუკობის პერიოდში. ეს მონაცემები ძალიან განსხვავდება ლიტერატურაში (Перре, Бауманн, 2003:1045-1077) გამოთქმული მოსაზრებისაგან, რომელთა თანახმად, მართალია, დეპრესია გაახალგაზრდავდა, მაგრამ ის 14-15 წლიდან შეიმჩნევა, ხოლო ჩვენი მონაცემებით, ჩვენს ცდისპირებში 9 წლის ასაკიდან დასტურდება დეპრესიულობა. ასეთი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენთან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცდისპირების მონაცემების შესაბამისად, დეპრესიამ ბავშვობის პერიოდში გადაინაცვლა, რაც საერთოდ იშვიათობაა. საფიქრებელია, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება აქსენით, ან გენეტიკური, ან ინდივიდუალური თავისებურებების საფუძველზე, რადგან ასეთ შემთხვევაში, დეპრესიულობა იქნებოდა ისეთივე სიხშირით, ანდა უფრო მეტი სიხშირით დადასტურებული მოზარდობისა და უფროს სასკოლო ასაკში, მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც გამოკლევიდან ჩანს, მოზარდებსა და ადრეულ ჭაბუკებში დეპრესიულობა, პირიქით, მცირდება. დეპრესიულობის ახსნა უმ-

ცროსს სასკოლო ასაგში შეიძლება სასკოლო რეეიმთან შეგუების პრობლემებით, როდესაც ბავშვისათვის დამახასიათებელი იმპულსურობის შეზღუდვა ხდება და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი შეზღუდვა, უმცროსებლასელთა ქცევის ნორმირება იწვევს სტრესს და შესაბამისად, ვითარდება დეპრესიულობა. ასეთი ვარაუდი არ არის სამართლიანი ორი გარემოების გამო: I. ის, რომ უმცროსი ასაკის სკოლის მოსწავლეებში დეპრესია არ დასტურდება არსად (15, 1045-1075) და ის, რომ დეპრესია ჩვენ უმცროსებლასელების ფსიქიკურ მდგომარეობაში დასტურდება, იწვევს გაკვირვებას; II. ის გარემოება, რომ დეპრესიას სუსტი სტრესი იწვევს. ასე არის ყოველ შემთხვევაში ჩვენს გამოკვლევებში.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმცროსებლასელები სკოლის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებში შეიძლება ყველაზე უფრო ემოციურები არიან. ამიტომ მათი დეპრესიულობა სოციალური და ფსიქოსოციალური ფაქტორებით უნდა იყოს გამოწვეული, როდესაც ისინი ასახავენ ფსიქიკაში იმ სტრესულ და დეპრესიულ მდგომარეობას, რომელიც, როგორც ჩანს, მათ გარემოცვას ახასიათებს. საყურადღებო იყო აგრეთვე ჩვენს მიერ დადასტურებული ის ფაქტი, რომ უმცროს სასკოლო ასაგში დეპრესია უფრო მეტად ვაჟებში და არა გოგონებშია გავრცელებული, როგორც ამაზე მრავლად მიუთითებენ ლიტერატურაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოლქვაძე ი., სტრესისა და დეპრესიის შესწავლა სოციალური ადაპტაციის ტესტით, კრებ. აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბათ., 2009.

2. მუხინა გ.ს., ბაგშვის ფსიქოლოგია, განათლება, თბ., 1989.

3. ნორაკიძე ვლ., (რედ.) ბაგშვის ფსიქოლოგია, თბ., 1964.

4. პეტროვსკი ვ., ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ., 1977.

5. ჩაგანავა გ., დეპრესიის ფენომენლოგია, კრ.: აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბათ., 2009.
6. ჩაგანავა გ., დეპრესიის წარმოშობის ფაქტორები აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ფონზე, კრ.: აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბათ., 2009.
7. Андреева Г. М., Современная зарубежная социальная психология. Московский университет, М., 1984.
8. Анцупов А. Я., Шипилов А., И. Конфликтология. Юнити, М., 2004.
9. ГамезоМ.В.,МатюхинаМ.В.,МихальчикТ.С.Возрастная педагогическая психология. Просвещение, М., 1984. и
10. Кон И.С. Социология личности. Политиздат, М., 1967.
11. Кон И.С., Психология ранней юности, М., 1989.
12. Кон И.С., В поисках себя: Личность и ее самосознание. Политиздат, М., 1984.
13. Лунц Е.Я. О возможности прогноза психосоматических заболеваний по данным проективной методики. Бессознательное. Мещниереба, Тб., 1978.
14. Наумова Н.П. От молекул до человека, М., 1973.
15. Перре М. Бауманн У. Клиническая психология, СПБ. 2003.
16. Столяренко Л.Д., Основы психологии, Ростов-на-Дону. 1999.
17. Чаганава Г. Я., Психология страха, Энциклопедический словарь, Бат., 2004.

**Inga Bolkvadze**

### **The Interrelation of the Stress and the Depression**

Summary

In the article it is discussed the meaning of the Stress and the Depression and on the basis of the modern tests the author studies the peculiarities of the manifestations of the Depression between the school pupils of the different age.

## რუსულან ბერიძე

### გარდამავალი ასაკის ფილოლოგიური თავისებურებები

გარდამავალი ასაკი ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს ხდება არა მარტო ფსიქოლოგიური სტრუქტურების ძირებული ცვლილებები, არამედ ყალიბ-დება მორალური ღირებულებები და სოციალური განწყობები. ამ რთული ეტაპისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ნეგატიური გამოვლინებები, შინაგანი დისპარმონია, ნეგატივიზმი, პროტესტი უფროსების მიმართ, მეორე მხრივ კი პოზიტიური ტენდენციები: იზრდება დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ურთიერთობა უფროსებსა და თანატოლებთან მრავალმხრივ ხასიათს იძენს. მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტია, როგორც გარდამავალი ეტაპი ბავშვობიდან მოწიფელობისაკენ. ამ სტადიაზე ხდება შექმნილი გამოცდილების ინტეგრირება ერთ მთლიანად. თუ მოზარდი ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი კრიზისის, ფსიქოლოგიური კონფლიქტის გადაწყვეტას ვერ ახერხებს, ვითარდება „არსებითი პათოლოგია”, „საბაზისო ანტიპათია” (ე. ერიქსონი) [1]. ამიტომაც, აუცილებელია, სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულად იქნას შესწავლილი ადამიანის ცხოვრების ეს პერიოდი ყოველგვარი წვრილმანის გათვალისწინებით, რათა არ გამოგრჩეს მოზარდთა ქცევებში არც ერთი ისეთი დეტალი, რომელმაც შეიძლება შემდეგში სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

რაც შეეხება ამ ასაკის ქრონოლოგიურ საზღვრებს, იგი, მეცნიერთა აზრით, უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება, რადგანაც თვლიან, რომ აქსელერაციის პროცესმა დაარღვია ადრე მიღებული საზღვრები. აქედან გამომდინარე სამედიცინო, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, იურიდიული თუ სოციოლოგიური ლიტერატურა მოზარდობის ასაკ-

ის სრულიად განსხვავებულ კლასიფიკაციას გვაძლევს, მაგალითად: 10 – 14 წელი, 14 – 18 წელი, 12 – 20 წელი და ა.შ. თუმცა, როგორც სპეციალისტები თვლიან, ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს, არა კალენდარული ასაკი, არამედ მის თრგანიზმში მიმდინარე ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცვლილებები. თუ ამას გავითვალისწინებთ მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოზარდობის ასაკი ყველაზე რთულია ადამიანის ცხოვრებაში, რადგანაც ამ პერიოდში მიმდინარე სქესობრივი მომწიფების პროცესი შეიძლება სხვადასხვა სახის ფსიქოფიზიოლოგიური და ფსიქიკური ცვლილების მიზეზი გახდეს. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია განგაშის განცდა, შფორვა, მომატებული აღგზნებადობა, დაბალი თვითშეფასება. ასევე საერთო თავისებურებებიდან აღნიშნავენ ემოციურ არამდგრადობას, გადიზიანებას, გუნება – განწყობის ხშირ ცვლას, მაგალითად: მხიარულება უმიზეზოდ გადადის პესიმიზმში და სხვა. მაგრამ გარდატეხის ასაკის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებად მაინც ითვლება, სხვებისათვის ჯერ ისევ ბავშვში, დიდობის თავისებური განცდის ფორმირება. ფიზიკური ცვლილებები იწვევს მასში ისეთ შეგრძნებას, რომ იგი უავა დიდია, თუმცა მისი სოციალური სტატუსი, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახი უცვლელია. სწორედ ეს ხდება მიზეზი, რომ მოზარდი იწყებს ბრძოლას იმისათვის, რომ ახლობლების მიერ მოხდეს მისი უფლებებისა და დამოუკიდებლობის აღიარება, რაც ხშირ შემთხვევაში მათ შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. საბოლოო ჯამში კი ვდებულობთ მოზარდობის ასაკის კრიზისს, რომლის არსი სწორედ ამ ასაკისათვის დამახასიათებელ ქცევით რეაქციებში მდგომარეობს.

დროთა განმავლობაში, მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ემოციური ცვლილებების შედეგად, მოზარდი კიდევ უფრო ამახვილებს ყურადღებას საქუთარი თავისადმი. იგი უფრო მგრძნობიარე და მორცხვი ხდება. მძაფრად აღიქვამს და აზგიადებს თავის ყოველგვარ ფიზიკურ ნაკლს, სრულიად

უმნიშვნელოსაც კი. ისე სწრაფად ეცვლება აზრები და შეხედულებები, რომ მათში გარკვევასაც ვერ ასწრებს. კარგავს მოქნილობას, შედარებით ტლანქი ხდება, რადგანაც ისე ვეღარ მართავს საგუთარ სხეულს, როგორც ადრე. ასევე უჭირს ახალი გრძნობებისა და ემოციების მართვა. ადვილად ბრაზდება და მაფრად რეაგირებს შენიშვნებზე. თავს დიდ, გამოცდილ ადამიანად აღიქვამს და სხვებიდანაც შესაბამის მოპერობას მოითხოვს, თუმცა რადაც მომენტში უბრუნდება ბავშვობის განცდა და უფროსებისაგან მოფერებისა და ყურადღების მიღების განუსაზღვრელი სურვილი უჩნდება.

ამ ასაკში მოზარდებს თავისებური წარმოდგენა აქვთ თავისუფლებაზე. მათი უმეტესობა თვლის, რომ მშობლები ზღუდავენ მათ თავისუფლებას. ისინი ხშირად ახსენებენ ოჯახის წევრებს, რომ ბავშვები ადარ არიან, თუმცა იმასაც გმობენ, რომ არც ისეთი მცოდნენი არიან და არც ისეთი ყოვლისშემძლენი, როგორიც უნდოდათ ყოფილიყვნენ, მაგრამ ამას არ აღიარებენ არც საკუთარ თავთან და რა თქმა უნდა, არც მშობლებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფლების განცდა ამ ასაკში ბავშვისათვის უცხოა, რადგანაც მთელი თავისი შენებული ცხოვრების მანძილზე ყოველთვის მშობლებზე იყვნენ დამოკიდებული, ისინი გულის სიღრმეში კიდეც უფრთხიან თავისუფლებას, ერთგვარ შიშსაც კი განიცდიან მის მიმართ, მაგრამ მაინც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან მშობლების მზრუნველობას და დამოკიდებლობისაკენ ამჟღვნებენ ლტოლვას. ამ დროს იზრდება დაძაბულობა შვილებსა და მშობლებს შორის, რაც ჩვეულებრივ მეტოქეობად განიხილება. ეს ძირითადად ვლინდება ჯიუტობაში, საზოგადოების მიერ მიღებული ნორმების შეუსრულებლობაში, უფროს თაობათა წარმომადგენლების ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების გადაფასებაში და სხვა. მათ აღიზიანებო ზედმეტი უურადღება, განუწყვეტელი კონტროლი, თავისუფლების შეზღუდვა დასჯის მიზნით და სხვა მსგავსი ქმედებები, რაც უფრო მეტად ზრდის დაძაბულობის ხარისხს მხარეთა შორის. ამას მოზარდები პასუხობენ

პროტესტით: აცდენენ მეცადინეობებს, არ დადიან სკოლაში, ეურჩებიან პედაგოგებს, უფრო უარეს შემთხვევაში კი მიღიან ოჯახიდან და მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან.

ამის გარდა, გარდამავალი ასაკი გამოირჩევა ბავშვის თანატოლთა ჯგუფში ურთიერთობის თავისებურებებითაც, სადაც ხდება სოციალურ ურთიერთქმედებათა უნარ-ჩვევების გამომუშავება და აპრობაცია. ეს არის, სწორედ პერიოდი, როცა მოზარდი კოლექტივში იქმნის ავტორიტეტს და თანატოლთა შორის მისთვის სასურველ სტატუსს მოიპოვებს. ეს ჯგუფი მოზარდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ბევრად უფრო ავტორიტეტულია, ვიდრე უფროსების საზოგადოება, რომლებიც, მათი აზრით, მხოლოდ შენიშვნებითა და ჭკუის დარიგებებით შემოიფარგლებიან.

სწორედ ამ პერიოდში ხდება იმის გაცნობიერებაც, რომ როგორ სახელსაც დაიმკიდრებს ის თანატოლთა ჯგუფში, ის სახელი და ავტორიტეტი გაჰყვება მას ცხოვრებაში გარკვეული წლების მანძილზე. ამიტომაც მოზარდი იწყებს ბრძოლას არსებულ სოციალურ გარემოში თვითდამკიდრებისათვის, სასურველი ავტორიტეტის მისაღებად. ამის მისაღწევად იგი ხშირ შემთხვევაში იყენებს ყველა, მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას, მათ შორის ძალადობრივსაც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდები ამ ასაკში აგრესიულობითაც გამოირჩევიან. როგორც კვლევამ ცხადჰყო, ეს არის ერთადერთი ასაკობრივი ჯგუფი სოციალურ გარემოში, რომელთა წევრებიც, უმეტეს შემთხვევაში, კონფლიქტური სიტუაციის დროს, სხვა არსებულ სტრატეგიებს შორის ჰყობის სტრატეგიას ანიჭებენ უპირატესობას. ამიტომაც ისინი “რისკ-ჯგუფად” უნდა ჩაითვალოს, რომელთანაც აუცილებელია სათანადო ფსიქოკორექციული მუშაობის ჩატარება.

შეიძლება ითქვას, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბოლო წლებში საქართველოში მთელი სიმწვავით დაღგა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: გახშირდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები, მათ შორის: ჩხუბი, ერთმან-

ეთისადმი სხვადასხვა ხარისხის ფიზიკური დაზიანების მიუ-  
ენება და მკვლელობებიც კი. სტატისტიკა იმდენად შემაშფოთე-  
ბელი აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში სერიოზული შიში გამ-  
ოიწვია. რატომ გახდნენ ჩვენი ბავშვები ასეთი აგრესიულები,  
რა არის ამის მიზეზი?, სად არის გამოსავალი? კითხულობები  
ისინი და პასუხს სპეციალისტებისაგან მოითხოვენ.

როგორც აღმოჩნდა, ეს არ ყოფილა მხოლოდ ჩვენს ქვე-  
ყანაში არსებული პრობლემა, თუ ლიტერატურას გადახედავთ  
მეცნიერები მრავალი წელია ამ საკითხებზე მუშაობენ მხო-  
ლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. როგორც ფსიქოლოგები ამტკ-  
იცებენ, აგრესია სწავლებას ექვემდებარება. მას ადამიანი მზა -  
მოდელის სახით ღებულობს. ისმება კითხვა, თუ ასეა მაშინ  
სად სწავლობენ მოზარდები აგრესიას? აგრესიული ქცევის  
მოდელი ადამიანმა შეიძლება მიიღოს: ოჯახში, ქუჩაში, სკო-  
ლაში, საზოგადოებრივი თავშეყრის აღილებზე, მაგრამ მეც-  
ნიერები მთავარ წყაროდ დიდი სანია მაინც ტელევიზიას მიი-  
ჩნევენ და ამის დასაბასტურებლად ჩატარებული კვლევის შედ-  
ეგები მოჰყავთ. მაგალითად: ჯერ კიდევ 1967 წლიდან მოყოლე-  
ბული, პერსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ გერ-  
ბნერმა და მისმა თანამემწევმა შეისწავლეს აშშ-ს ტელეგრაფწ-  
ებლობის თითქმის ყველა, საზოგადობაში პოპულიარული  
გასართობი ტელეგადაცემა. ხოლო 1994 წლიდან კი მათ მიერ  
გაანალიზებული იქნა ძირითადი არსებისა და საკაბედო ტელ-  
ევიზიების მიერ გაშვებული 10000 გადაცემა. შედეგად აღმო-  
ჩენილი იქნა, რომ სამი გადაცემიდან ორი შეიცავდა ძალადო-  
ბის გამომხატველ სიუჟეტებს (ჩეუბს, ცემას, გაუპატიურებას,  
მკვლელობებს და სხვა.) აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ სკ-  
ოლის დამთავრების დროისათვის მოზარდებს უკვე პქონდათ  
ნანახი 8000 მკვლელობისა და 100 000-ზე მეტი სხვადასხვა სა-  
ხის ძალადობის სცენები (Majercs, 2002: 498). დაისვა კითხვა,  
შეიძლება თუ არა ტელევიზიით ნანახი ფაქტებით მოზარდებმა  
მიიღონ აგრესიული ქცევის მოდელი? ამის დასამტკიცებლად  
მეცნიერებმა გამოკითხვა აწარმოეს 208 პატიმართან. 10-დან 9-ს

დასაშეგებად მიაჩნდა ის, რომ დანაშაულებათა შესახებ ფილმებიდან შესაძლებელი იყო ესწავლათ ახალი, სხვადასხვა სახის კრიმინალური ფანდები. ხოლო 10-დან 4-ი ამტკიცაბდა, რომ თავად ცდილობდნენ პარაქტიკაში გამოეყენებინათ ზოგიერთი ისეთი დანაშაულებრივი ქცევები, რაც ოდესდაც ტელევიზიზით ჰქონდათ ნანახი (Maiyerc, 2002: 499). ამათ გარდა, მეცნიერებმა გამოიყენეს კიდევ უამრავი კორელაციური და ექსპერიმენტული მეთოდი ტელევიზიასა და ადამიანთა ქცევებს შორის კაგშირის დასადგენად. მათ შორის ცნობილი მეთოდები, რომლებიც შეისწავლიდნენ მოზარდების ფსიქოლოგიას და იკალეგდნენ ტელევიზით ნანახი ძალადობის გამომხატვებლი სიუჟეტების გავლენას მოზარდის აგრესიულობის დონის ზრდაზე. და მივიღნენ ასეთ დასკვნამდე, რაც უფრო მეტ ძალადობას უყურებენ ტელეფილმებში ბავშვები, მით უფრო აგრესიულები ხდებიან. კიდევ უფრო რთულადაა საქმე, როცა ძალადობას ახორციელებენ ფილმების დადებითი პერსონაჟები, ისინი იმსახურებენ მაყურებელთა სიმპათიას, რაღაც ყოველგვარ ძალადობრივ ქცევას თითქოსდა სამართლიანობის აღდგენის სახელით აღასრულებენ. ასეთ პერსონაჟებს პატარა მაყურებლები გულშემატკივრობენ, იდგალად თვლიან და ცდილობენ მიბაძონ მათ, რეალურ ცხოვრებაში გაიმეორონ ის ქცევები რასაც ისინი ფილმებში ახორციელებენ.

ამას უმატება კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს არის ძალადობის გამომხატვებლი კომპიუტერული თამაშები, რომლებითაც ბავშვები დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში ერთობიან. თუ ტელეფილმის შემთხვევაში ბავშვი უბრალოდ პასიური მაყურებელია, კომპიუტერთან ის თავად ახორციელებს ძალადობრივ აქტს. დასდევს თამაშში მონაწილე პერსონაჟს, ეჩეუბება, ცემს, ესვრის ცეცხლსასროლი იარაღიდან, კლავს, ეჯახება სხვადასხვა ტრანსპორტით და სხვა. რამდენიმე ხნის წინ მოგვმართა ერთმა ქალბატონმა, რომელიც საქმაოდ იყო შეშინებული, მან გთიამბო, რომ მისი 10 და 12 წლის შვილები კინკლაობის დროს ხშირად მიმართა-

კლნენ ქრომანეთს ასეთი ფრაზებით: „ჯერ უურებს მოგაჭრი, მერე ცხვირს, შემდეგ ხელებს, ფეხებს და ბოლოს თავსაც მოგავეთავო”. ბავშვებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ მათ კომპიუტერში პქონდათ ასეთი სახის თამაში, რომლის პერსონაჟს ანალოგიურად უნდა მოქცეოდნენ და რომლითაც ისინი მთელი დღე რიგრიგობით ერთობოდნენ. ეს და კიდევ უამრავი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ, რომელიც მოზარდებში აგრესიულობის დონის ზრდაზე მიგვანიშნებს. ამას ხელს უწყობს დღვენდელი ცხოვრებისეული სინელეებიც, როცა მშობლები ოჯახის საარსებო ლუქმაპურის საშოვნელად მთელი დღე გარეთ არიან, ბავშვები ხშირად დღებოდ რჩებათ. ნაკლებია კონტროლი სკოლიდანაც. ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვები, დღის იმ მონაკვეთში, როცა გაკვეთილებზე უნდა ისხდნენ, ხან პარტში სეირნობენ, ხან კი სადარბაზოებში არიან თაგმოყრილნი. გაკვეთილების გაცდენა, გაუკონტროლებლობა მშობლებისა და პედაგოგთა მხრიდან, მათ ბევრ თავისუფალ დროს უქმნის, ამას ემატება მათი რთული ასაკობრივი პერიოდიც, როცა ნებისმიერი ხერხით ხდება თანატოლთა ჯგუფში თვითდამკიდრება, მათ შორის ძალადობრივითაც. და თუ ყველაფერ ამას, მათ მიერ სხვადასხვა გზებით შესწავლილ აგრესიული ქცევის მოდელსაც დავამატებთ, საქმარისი გახდება პატარა უთანხმოება, პატარა ინციდენტი და კონფლიქტიც სახეზეა.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია გაჩნდება კითხვა: 21-ე საუკუნეში, გერც ტელევიზიას ავკრძალავთ და ვერც კომპიუტერულ თამაშებს. მაშ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ თავიდან ავიცილოთ სავალალო შედეგები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის, თუმცა გამოსავალი, ასაკობრივი თავისებურებებიდა გამომდინარე, ასეთი ოვნახოთ საკუთარი შვილების-თვის, ვესაუბროთ და ვისწავლოთ მათი მოსმენა, მათთან ერთად ვუკუროთ ტელეფილმებს და ავუსხნათ, რა არის მასში კარგი და რა ცუდი. გაგუგოთ და პატივი ვცემ მათ თავმოყვარეობას. არავითარ შემთხვევაში არ დავამციროთ თანატოლთა

თვალწინ. გავაკონტროლოთ მათი ყოველგვარი საქმიანობა ისე, რომ არ იგრძნონ თავისუფლების შეზღუდვა. პატივისცემით მოვექცეთ მათ მეგობრებს. ნებ დავუწევებოთ აკრძალვებს დახასჯის მიზნით, ასევე გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ ასაკში უშედეგობა ფიზიკური დასჯაც, იგი ბავშვში მხოლოდ პროტესტის გამოხატვის სურვილს აჩენს. თუ გადამეტებულ სიმკაცრეს მეგობრულ ურთიერთობას ვამჯობინებოთ შედეგიც არ დააყოვნებს. მხოლოდ ასე შევძლებოთ დავეხმაროთ საკუთარ შვილებს, გადალახონ თავიანთ ცხოვრებში ის როგორი პერიოდი, რასაც გარდამავალი ასაკი ჰქვია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Майерс Д., Социальная психология, П., 2002.
2. Эриксон Э., Идентичность: юность и кризис, М., 1996.

## Rusudan Beridze

### The psychological peculiarity of the transitional age

#### Summary

Transitional age is one of the most difficult periods in human's life. Adults consider that they are older and they require from parents to confess this. This is why the conflicts are happening between them. Adults are also trying to consolidate in the social environment and get desirable statuse, which usually is the reason of many opposes between the adults.

The scientists think, that this age must be learnt well, because they want to get rid of these problems in this situation.

## **ხათუნა ცეცხლაძე**

### **პიროვნების ფსიქოლოგიური სივრცის პრობლემა დიდი ხანია თავისებურება**

პიროვნების ფსიქოლოგიური სივრცის პრობლემა დიდი ხანია შეისწავლება ფსიქოლოგიაში (Джеймс, 1902:135-137; Майерс, 2000:452-455.). ფსიქოლოგიური სივრცე უშუალოდ არის დაკავშირებული კუთვნილების განცდასთან (Майерс, 2000:453; Андреева 1980:135; ჩაგანავა, 2001:26-41; ჩაგანავა, 2008:190; თურმანიძე, 2009:150). აღქმის ყველა ობიექტი სივრცეშია განლაგებული. საგნის გრცეულობის გამომხატველია ობიექტის ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიდიდე, ფორმა, მდებარეობა, სხვა ობიექტებთან მიმართება, დაშორება და ა.შ.

პიროვნების ფსიქოლოგიური სივრცის ასაკობრივი თავისებურების შესწავლის მიზნით ჩატარებული იყო კვლევა სამ ასაკობრივ ჯგუფში. 1. დაწყებითი სასკოლო ასაკი (3-4 კლასები); 2. საშუალო სასკოლო ასაკი (8-9-11 კლასები); 3. ზრდასრული ასაკი (სტუდენტები). ჩვენი კვლევის კონკრეტული მიზანი იყო სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებულ ურთიერთობებში პიროვნები სივრცის ასაკობრივი სხვაობებისა და თავისებურებების შესწავლა.

სასკოლო ასაკის რესპონსების გამოკითხვა ჩატარდა ბათუმის № 14 საჯარო სკოლაში, ხოლო ზრდასრული ასაკის რესპონსების 1-3 კურსის სტუდენტები. თითოეულ ჯგუფში ცდის პირთა რაოდენობა იყო 30. პიროვნები სივრცის ასაკობრივი სხვაობების გამოსავლენად გამოვიყენეთ ურთიერთობების განმაპირობებელი ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა: ნაცნობი, უცნობი, ასაკობრივი სხვაობები.

ცდის პირებს ვაწვდიდით კითხვებს, მაგალითად: ურთიერთობის დროს თავისუფალ სიტუაციაში, პარტნიორთან საუბრის შემთხვევაში რა მანძილს იჭერთ მასთან თუ ეს ადამიანი არის თქვენი ნაცნობი; როგორია ასაკობრივად განსხვავებულ ადამ-

იანებთან (უფროსი, უმცროსი, თანატოლი) საუბრის დროს მანძილი თავისუფალ სივრცეში და სხვა. სავარაუდო მანძილის გარიანტები წარმოდგენილი იყო თვალსაჩინოდ დაფაზე, მანძილი იწყებოდა 15 სმ-დან და მთავრდებოდა 400 სმ და სხვა. სხვაობა მანძილებს შორის იყო 10 სმ. ცდის პირებს ხელის აწევით უნდა აღენიშნათ ის მანძილი, რომელსაც ისინი იქერენ მოცემული კითხვების შესაბამისი ურთიერთობის დროს. მონაცემთა დამუშავების შემდეგ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა სახის ურთიერთობებში გამოვლინდა შემდეგი სივრცობრივი ზონები პარტნიორებს შორის საუბრის დროს (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართებები (დაშრებულობა) პიოვნული სივრცის თვალსაზრისით ასაკით თანაბარ და განსხვავებული წლოვანების ადამიანებთან.

#### ცხრილი 1.

ასაკი	ცდის პ-თა რაოდენობა	დაწყებითი სასკოლო ასაკი	საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკი	ზრდასრული ასაკი
თანატოლი	30	50	37	56
უფროსი	30	141	47	96
უმცროსი	30	113	30	108

კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანთა სამყაროს გაცნობით ბავშვი რთული სოციალური სიტუაციის, სოციალური ურთიერთობების წევრი ხდება. უფროსებისადმი მიბაძვით, მიმსგავსებით წარმართავს საკუთარ სოციალურ ურთიერთობებს (Джемс, 1902:135).

ბუნებრივია მშობლების, თანატოლების აზრი მნიშვნელოვანია ბავშვისათვის. ბავშვი მოიპოვებს ცოდნას ადამიანთა სამყაროზე ეწ. სოციალური ცნობიერების საშუალებით, როდესაც აზრები, შეხედულებები და წარმოდგენები სოციალურ სამყაროზე (Крайг, 2002) გაშინაგნდება მის მიერ.

უმცროს სასკოლო ასაკში სოციალური ცნობიერება (Крайг, 2002) ხდება ბავშვთა ქცევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დეტერმინანტი. ისინი თანდათანობით უფრო ნაკლებ ეგოცენტ-რულები ხდებიან სკოლამდელებთან შედარებით. ბავშვები ითვისებენ ცოდნას მეგობრული ვალდებულებების (ნდობა, პატივისცემა ავტორიტეტებისადმი, კანონიერება, სამართლიანობა) შესახებ და ამავდროულად ხდება ამ ცოდნის გაფართოება და გაღრმავება (Крайг, 2002). ბავშვი, რომელსაც შეუძლია სხვისი თვალთახედვით აღიქვას სამყარო, უფრო მტკიცე და ახლო ურთიერთობებს ამყარებს თანატოლებთან და სხვა ადამიანებთან.

უმცროს სასკოლო ასაკში სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ზონის ჩამოყალიბება დამოკიდებულია „მე”-ს კონცეფციის, თვითშეფასების, საქუთარ თავზე წარმოდგენის ჩამოყალიბებასა და სხვა მრავალ ფაქტორზე, რომელიც შესწავლის საგანს წარმოადგენს და ბავშვის თანატოლებთან, უფროსებთან და საერთოდ გარშემომყოფებთან ქცევას განაპირობებენ. ბავშვის სივრცობრივ ზონაზე გავლენას ახდენს წარმოდგენა თავის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და პიროვნულ თვისებებზე. ის ასევე მოქცეულია მშობლების ზემოქმედების ქვეშ, რაც აგრეთვე გავლენას ახდენს მის სივრცობრივ ზონაზე.

ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით, უმცროს სასკოლო ასაკში თანატოლთან ურთიერთობის დროს გამოვლინდა პირადი ანუ პერსონალური ზონა 50სმ. ეს ზონა მაშინ იქმნება, როდესაც მეგობრებთან საუბრის დროს ადგილი აქვს ვიზუალურ და ემოციურ კონტაქტს.

ფსიქოლოგიაში ადამიანთა ურთიერთობაში გამოყოფენ დისტანციის შემდეგ ზონებს: 1. ინტიმური ზონა (15-45სმ); 2. პირადი ანუ პერსონალური ზონა (45-120სმ); 3. სოციალური ზონა (120-400სმ); 4. საქვეუნო ანუ საზოგადოებრივი ზონა (400 სმ-ზე ზემოთ) (Столяренко, 1999:419-420).

უმცროს სასკოლო ასაკში ურთიერთობები მირითადად ყალიბდება ტერიტორიული სიახლოვით. დაღებით ემოციურ ფონ-

ზე ნაცნობ თანატოლებთან ურთიერთობის დროს ფსიქოლოგიური სივრცის პირადი ზონა საგარაუდოდ იქმნება მეზობელ თანატოლთან ან კლასებთან ერთად თამაშის პირობებში, ერთ მერხთან ჯდომის, ერთნაირი ნიშნების ზეგავლენით და ასე შემდეგ. უფროსებთან ურთიერთობის დროს ფსიქოლოგიური სივრცის პირადი ანუ პერსონალური ზონიდან იზრდება სოციალურ ზონამდე 141 სმ, რომელიც (120-400სმ) ოფიციალური ურთიერთობის ამსახველია. ამრიგად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები საკმაოდ შეზღუდულად გრძნობენ თავს უფროსებთან, თუმცა ეს შეზღუდულობა არ არის ძალიან ძლიერი, რადგან 141 სმ აღნიშნავს სოციალური ზონის საწყისს.

უმცროს სასკოლო ასაკში უფროსებთან ურთიერთობის დროს სოციალური ზონის გამოვლენა უნდა აიხსნას იმით, რომ თვით უფროსის შესახებ წარმოდგენა გავლენას ახდენს ბავშვის მიერ საკუთარი ფსიქოლოგიური სივრცის გავრცელებულობაზე, აგრეთვე, მოქმედებს ასაკობრივი და ფიზიკური სხვაობა (სიმაღლე, სიძლიერე, გარეგნობა, გავლენიანობა, მშობლების რჩევა-დარიგებები და ქცევები უფროსებთან ურთიერთობაში).

უმცროსებთან ურთიერთობის დროს მანძილი კვლავ უბრუნდება სივრცის პიროვნულ ზონას 113სმ, მაგრამ რადგან ის ამ ზონის უკიდურესად დიდ მანძილს აღნიშნავს, ის სოციალური ზონის ზეგავლენის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ. ეს მიუთითებს, რომ ამ ასაკში ურთიერთობის დროს უმცროსებთან თავს შორს იჭერენ. ეს შეიძლება აგხსნათ იმით, რომ ისინი უფროსებად თვლიან თავს. ისინი გარკვეული ზედამხედველობის განცდით ეკიდებიან უმცროსებს და ზედამხედველობა ურთიერთობათა შემთხვევაში დაშორებას უფრო ითვალისწინებს, ვიდრე დაახლოებას. ფრანგმა ფსიქოლოგმა (პ.ზაზზომ) ჩაატარა 5 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვების გამოკითხვა. კითხვაზე როგორებად თვლიან ისინი თავს – „პატარებად,” „დიდებად” თუ „საშეადოდ,” ასაბის მიხედვით პასუხების ანალიზში აჩვენა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირად თავს „დიდებად”

თვლიან სკოლამდელებთან შედარებით (Кон, 1980). ისინი თვლიან, რომ რაც მათთვის გასაგებია, უმცროსისათვის გაუგებარია, რაც იწვევს მათ შორის შეუთანხმებლობას. ასეთი გარემოებით შეიძლება იქნეს გამოწვეული უმცროსებთან დაშორების ტენდენცია. ასეთი ქცევით ისინი საკუთარი თავის პატივისცემას აღწევენ და ამავე დროს უფროსების სიმპათიებს იმსახურებენ. ამრიგად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას რეალურად არ გააჩნია ინტიმური ზონა. ის ძირითადად პირადი ანუ პერსონალური ზონის ფარგლებში მოქმედებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეულია ბავშვის გეოცენტრიზმის ნარჩენებით, რადგან ბავშვი ძირითადად მაინც თბილი ემოციური დამოკიდებულების ობიექტი უფრო არის, ვიდრე ასეთი გამოვლინების სუბიექტი.

საშუალო სასკოლო ასაკში ძირითადად გამოვლინდა ინტიმური ზონა 30-45სმ, ამ ზონისათვის დამახასიათებელია ახლო, თბილი ურთიერთობა და ნდობის მაღალი ხარისხი. ინტიმური ზონის შექმნა საშუალო სასკოლო ასაკში განპირობებული უნდა იყოს მოზარდის ცნობიერების განვითარებით. მას აქვს სურვილი გაერკევს გარშემომყოფ სიტუაციაში, იყოს იქ, სადაც დიდები არიან, სურს ჩაერთოს სხვადასხვა სახის ურთიერთობებში, რაც იწვევს სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან ურთიერთობაში დაახლოებას. ეს ყოველივე აისახა ფსიქოლოგიურ სივრცეზე და როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოვლინდა ინტიმური ზონა.

თანატოლებთან ინტიმური ზონის (37სმ) შექმნა მიუთითებს იმაზე, რომ ამ ასაკში ურთიერთობა იძენს უფრო დრმა ემოციურ შინაარსს. ამ პერიოდში იქმნება ის მცირე ჯგუფები, რომლებშიც მოზარდი ცდილობს დაიჭიროს გარკვეული ადგილი და გამოავლინოს მისი პიროვნული თვისებები. მას უპავ შეუძლია იმ ნდობის გამართლება, რომლის საფუძველზეც იქმნება ინტიმური ზონა.

საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში იზრდება თანატოლების გავლენა მოზარდებზე. მშობლების თანადგომას ცვლის

თანატოლთა თანადგომა. მოზარდები თანატოლებთან ხშირად უფრო გულახდილები არიან, ვიდრე მშობლებთან. ეს გამო-წვეულია იმით, რომ ზოგჯერ მშობელს არ სურს დაინახოს მოზარდში ცვლილება, პატივი სცემს მის ავტონომიურობას, რაც არცთუ იშვიათად, ქმნის ფსიქოლოგიურ ბარიერს მშობ-ლებსა და შვილებს შორის.

მეგობრული ურთიერთობები ყალიბდება არა მარტო მეზობ-ლობით, კლასელობით, როგორც დაწყებით სასკოლო ასაკში ხდება ხოლმე, არამედ პიროვნული თვისებების საფუძველზე. იდეალები, მისწრაფებები, მეგობრობა უფრო ღრმა გრძნობებს იწვევენ ამ ასაკში, ვიდრე ადრეულ ასაკში და უბიძებს ამ ასაკის მოზარდს უფრო მჭიდრო, ახლო ურთიერთობისაკენ, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ხანგრძლივ, მყარ, ურთიერ-თგაგბაზე, ურთიერთპატივისცემაზე აგებულ ურთიერთობებს. ამგვარად, საურთირთობო სივრცის ანუ პიროვნული სივრცის შემცირებას ვღებულობთ. სინამდვილეში ეს პიროვნული, საუ-რთიერთობო სივრცის შემცირება ნიშნავს პიროვნულ სივრცეში სხვა ადამიანების შემოყვანას.

ასაკით უფროსებთან ურთიერთობის დროს გამოვლინდა ფსიქოლოგიური სივრცის ინტიმური ზონა (47სმ). ამ ზონის გამოვლენა საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში შეიძლება განპირობებული იყოს „უფროსობის გრძნობით” (ლ. ვიგორქსკი). მოზარდი თავს მიიჩნევს „უფროსად” (Кои, 1980). მოზარდი მიი-სწრაფვის შეითვისოს და გამოავლინოს ყველა ის თვისება რაც უფროსებს, დიდებს ახასიათებთ. აქედან გამომდინარე მას პრე-ტენზია აქეს იყოს ზრდასრული, თვლიდნენ გაზრდილად, ჩამ-ოყალიბებულ ადამიანად, რამაც ასახვა პოვა ინტიმური ზონის გამოვლენაში, რაც სიახლოვით დაინტერესების მაჩვენებელია.

საშუალო და უფროს სასკოლო ასაკის მოზარდის სურვი-ლია განთავისუფლდეს მშობლების, უფროსების კონტროლისა და მზრუნველობისაგან. მაგრამ მოზარდმა იცის, რომ მის ყოვ-ელგარ მცდელობას დამოუკიდებლობისაგან სჭირდება უფრო-სების ცხოვრებისეული გამოცდილება და დახმარება.

საშუალო ასაკში უმცროსთან ურთიერთობის დროს ინტიმური ზონის 30 სმ გამოვლენით მოზრდილი ცდილობს თავისი თავის დამკაიდრებას, გავლენის მოხდენას უმცროსებზე. მაგრამ ინტიმური ზონა იქმნება არა მარტო გავლენისათვის, არამედ იმის საჩვენებლად, რომ მას შეუძლია ურთიერთობაში ინიციატივის გამოვლენა, პასუხისმგებლობის აღება თავის თავზე, საკუთარ ქცევაზე. საკუთარი ზეგავლენის გაფართოებით მოზრდილი ცდილობს თავის სივრცეში მოაქციოს უმცროსები და დაიმკაიდროს ავტორიტეტი.

ამრიგად, ინტიმური ზონის გამოვლენა საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში მხოლოდ ნაცნობობასთან, სიახლოესთან როდია დაკავშირებული. ის გამოწვეულია თვითდამკვიდრების გამოვლენის სურვილით, რაც ესოდებ დამახასიათებელია ამ ასაკისათვის. ამ ასაკში მოზარდი იდებს საკუთარ თავზე ინიციატივას სხვადასხვა სახის ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ასაკით განსხვავებულ პარტნიორებთან და ცდილობს თავის სივრცეში სხვის მოქცევას. ეს ყველაფერი მას ეხმარება საკუთარი თავის გამოვლენაში, თვითრეგალიზაციაში, ორიგინალობასა და ინდივიდუალობის დამკაიდრებაში, რაც შეუძლებელი იქნებოდა ინიციატივის გამოვლენის გარეშე.

თვითდამკვიდრება ინტიმური ზონის გამოვლენის საფუძველია ამ ასაკში, ხოლო ინტერესი კი კონკრეტული გამოვლენაა ინიციატივის ხელში აღებისა. მიზომ გასაკვირი არ არის, რომ მოზარდი ცდილობს სხვის მოქცევას საკუთარი გავლენის სფეროში.

ზრდასრულ ადამიანთა უმრავლესობა მჭიდრო, მყარ ურთიერთობას ამყარებს სხვა ადამიანებთან, მაგრამ მათი ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია მათ ოჯახურ ურთიერთობებთან და საქმიან მოქმედებებთან.

ზრდასრულ ასაკში ძირითადად პირადი ანუ პერსონალური ზონა (56-108 სმ) გამოვლინდა. ზრდასრულობის პერიოდში ადამიანისათვის სხვაზე ზეგავლენა, სხვაზე შთაბეჭდილების მოხდენა, სხვების საკუთარ სივრცეში შემოყვანა, გარკვეულ წილ-

ად მათი „დამორჩილება” კი არ არის მნიშვნელოვანი საკუთარი პიროვნული ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად, როგორც ეს მოზარდს ახასიათებს ჩვენი ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, არამედ ინდივიდუალობის სივრცისეული საზღვრების, პიროვნული სივრცის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ხდება მთავარი და განმსაზღვრელი და ამიტომ იზრდება მანძილები როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან ურთიერთობაში. უმცროსებთან ურთიერთობაში პიროვნული სივრცის ზრდა საშუალო და უფროს სასკოლო ასაკის მოსწავლეების მიერ ნაჩვენებ მონაცემებთან შედარებით უნდა იყოს აგრეთვე გამოწვეული იმით, რომ უმცროსი ასაკის ადამიანი არ შეიძლება განხილული იყოს ჩვენი ინდივიდუალობის უზრუნველყოფებით (თანატოლთან და უფროსთან შედარებით).

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. თურმანიძე მ., პიროვნეული სივრცის ექსპერიმენტული კვლევა, კრებ., აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, XI, ბათ., 2009.
2. ჩაგანავა გ., განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა, ბათ., 2001.
3. ჩაგანავა გ, აქტივობის ძირითადი პირობები აპროპრაციის ფსიქოლოგიის ფონზე. X, ბათ., 2008.
4. Андреева Г.М., Социальная психология, М., 1980.
5. Джеймс В., Научные основы психологии. СПБ., 1902.
6. Майерс Д. Социальная психология, М., 2000.
7. Столяренко Л.Д., Основы психологии, Ростов-на Дону, 1999.

**Khatuna Tsetskhladze**

### **Age Peculiarities of the Personal Psychological Space**

#### **Summary**

The personal psychological space is studied in psychology long ago. We studied this phenomenon in different age groups and explored the specific psychological spatial zones. In junior school age personal zone covered 50-113cm. In middle and senior school age intimate zone is found the space between 30-47cm. In senior age social zone is not over 108 cm.

## ირგვა ბაგრატიონი

### სამედიცინო ეთიკის სოციალური ასამაგრებელი

შეიძლება ითქვას, რომ უპანასკნელ ათწლეულში სამედიცინო ეთიკამ გაცილებით მეტი ყურადღება მიიპყრო სოციუმის მხრიდან, ვიდრე ეთიკის ყველა სხვა სფერომ ერთად აღებულმა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეთიკურ დისკუსიებში ჩაბმული საზოგადოებისთვის მეტად საინტერესო უნდა იყოს დისკუსი შემდეგი საკითხების ირგვლივ: რა ფაქტორებმა განაპირობა სამედიცინო ეთიკის ასეთი სოციალური დაწინაურება თანამედროვე სამყაროში?

ადსანიშნავია, რომ სულ მცირე, არსებობს, სამი მიზეზი მაიც, რომელთა წყალობით სამედიცინო ეთიკამ ისტორიულად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ესენი გახდავთ შემდეგი:

I. ავანგარდიზმი და 60-იანი წლების სხვადასხვა ტიპის მორალური აქციები:

შავპანიანთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეული ნაწილი იყო, ჯანმრთელობის უფლებისთვის აქტიური ბრძოლა; ფემინისტურმა მოძრაობამ მკვეთრად შეცვალა მიმართება აბორტისა და შობადობის კონტროლის პრაქტიკის მიმართ; ეკოლოგიური მოძრაობის შედეგად ყურადღების ცენტრში მოექცა ჯანმრთელობის მსოფლიო პრობლემების კვლევა; ანტისამხედრო მოძრაობის გავლენა. ასე მაგალითად, აშშ-ს მიერ ვიუტნამში წარმოებული ომის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი, ტექნილოგიურ საშუალებათა ბოროტად გამოყენებისა. ლოგიკურად, ეს არგუმენტი შეეხებოდა ექიმებსაც ანუ მედიცინა თითქოსდა იზიდავდა იმათ, ვისაც აინტერესებდა პირადი გამორჩენის ძლიერი სურვილი და არა აგადმყოფთა კეთილდღეობა.

II. სამედიცინო ბიზნესში შექმნილ სამთავრობო სიმსელეფთა ზრდა:

60-იანი წლების შუახანებში აღმოცენებული სამედიცინო დახმარებისა და ჯანდაცვის სისტემა დაკავშირებული იყო მედიცინის სფეროში მთავრობის მხრიდან უდიდეს კაპიტალდაბანდებებთან. დაინტერესების გამოვლენის ერთ-ერთ ხერხად იქცა მეცნიერ-მუშაკთა დაფინანსება ჯანდაცვის სისტემაში წარმოებული გამოკვლევებისთვის. ასეთ პირობებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტები ადაპტირებდნენ ფინანსური სიტუაციისადმი და ცდილობდნენ გადაქცევას სამედიცინო სოციო-ლოგებად, სამედიცინო გეონომისტებად და ა. შ. როდესაც ახალმა ფსევდო-სამედიცინო სწავლულებმა მოიპოვეს მონაცემების გარკვეული რაოდენობა, დღის წესრიგში უკვე დადგა შემდეგი საკვლევი საკითხებიც:

საქმარისია კი სამედიცინო სკოლები ან, პირიქით, ზედმეტი რაოდენობით სპეციალისტის მომზადება ხომ არ ხდება? მეტისმეტად ბევრ, მათთვის ხელსაყრელ თემრაციას ხომ არ ატარებენ პატივცემული მედიკოსები? ნამდვილად საჭიროებენ საავადმყოფოები ისეთ იშვიათ აღჭურვილობას, რასაც მოიპოვებენ ან იძენენ? რამდენად ეთმობა საკმარისი ყურადღება პრევენციულ მედიცინას? ხომ არ იყენებენ ექიმები იმულებით მეთოდებს პაციენტთა მეურნალობისას (განსაკუთრებით ფსიქიატრიულ განყოფილებაში) ან სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობაში? (Maio, 1999:181). ანალოგიური კითხვები, ბუნებრივია, უეჭველად ჩნდებოდა თავად სამედიცინო საზოგადოების შიგნითაც.

III. საკუთრივ სამედიცინო სფეროში არსებული ტექნოლოგიური მიღწევები:

- ხელმოკლე ოჯახებზე ზრუნვისას სახელმწიფოს როცა უხდებოდა შეჯახება მორალურ პრობლემებთან, სხვადასხვა სამედიცინო პროცედურებმა ყველაზე მეტად შეძლეს ამაში დახმარების გაწევა.

- ბევრი წარმატება მედიცინაში მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმატება და არანაირად, სრულყოფილი. ასე მაგალი-

თად: ბავშვი, რომელიც *spina-bifida*-ს დაავადებით წინათ მოკვდებოდა დაბადებისთანავე, „გადარჩენილია”, მაგრამ მხოლოდ, როგორც სასტიკად დამახინჯებული და ავადმყოფი ფიზიონომიის მქონე არსება. ან კიდევ, ახალგაზრდას, რომელიც მოკვდებოდა თირკმლის უკმარისობით, უხანგრძლივდება სიცოცხლე, თუმცა ეს უკანასკნელი სავსეა უხერხულობით, როგორც დროებით წარმატებული ტრანსპლანტაციის ოპერაციის ან მოგვიანებით, დააღიზოს შედეგით. ან კიდევ, მოხუცი მომაკვდავი ავადმყოფი, რომელიც წენარად მოკვდებოდა ერთი თვის წინ, ძლივსძლივობით არის ცოცხალი ახალი ტექნოლოგიური საოცრება-აპარატის წყალობით.

როგორც ჩანს, მასობრივ სამედიცინო ჩარევამდე სასიცოცხლო პროცესი, ჩვეულებრივ, სწრაფად წყდებოდა, როგორც კი ის სცდებოდა გარკვეული სარისხობრივი დონის ქვედა ზღვარს. მე-20 საუკუნის მედიცინაში დაამკვიდრა „მინიმალური სასიცოცხლო ოპციები” (Udwadia, 1997:37) და შეუძლებელია იმის ზუსტად დაფიქსირება, ეს შესაძლებლობანი დიდი სიკეთეა თუ დიდი ბოროტება.

— ყოველმა ახალმა სამედიცინო ტექნიკურმა მომსახურებამ გაზარდა განსხვავება მედიცინის შესაძლებლობების მხრივ ჩვენს მოღონებისა და ამ მომსახურების საფასურს შორის ანუ საზოგადოებრივ მოცემულობაში წარმოიშვა ე. წ. ესტროგენული ან „ტექნიკური“ მორალური უწესრიგობა (Kitchens, 1995:7-10).

საგულისხმოა იმის გარკვევაც, თუ როგორია სამედიცინო ეთიკის მიმართ დამკიდრებული უურადღების სოციალური შედეგები. ამ შემთხვევაში, სავარაუდო პასუხების დაჯგუფება შესაძლებელია ოთხი ძირითადი პოზიციის სახით:

— აქცენტის გამახვილება ადამიანის უფლებების დაცვაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტები და ისეთ სიტუაციებში, რომლებიც სავსეა იძულებითი ანუ ძალდატანებითი მომენტებით.

- ექიმის სტატუსის დევალვაცია, რაც განსაკუთრებით აშკარად იკვეთება მათ ურთიერთობაში ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადმინისტრატორებთან, სოციოლოგებთან, ფილოსოფოსებთან, თეოლოგებთან და პაციენტებთანაც კი. ეს უკანასკნელი, როგორც მედიცინის საზღვრებისთვის „დაუპატიოებელი სტუმრები”, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საავადმყოფებისა და კლინიკების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სრულიადაც არ არის აუცილებელი წმინდა სამედიცინო ბუნების მატარებელი იყოს. ისინი ამტკიცებენ, რომ ექიმებს არა აქვთ უფლება გააკეთონ „სიკვდილის” დეფინიცია ისევე, როგორც არ ჰქონდათ უფლება თავის დროზე შემოვლოთ „შეუქცევადი კომის” ცნება, რამეთუ ამ ცნებას აქს ნაწილობრივ სოციალური ხასიათი (William and Thomson, 1977:87). ანალოგიურად, ფსიქიკური დაავადება არ წარმოადგენს წმინდა სამედიცინო ტერმინს, რამდენადაც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმ ცნებებით, რომლებიც ასახავენ სოციუმის შეხედულებას ინდივიდზე.

- სამედიცინო სფეროსთან არსებული საზოგადოებიდან მომდინარე კრიტიკის (მათ შორის სასამართლო სარჩელის) გავლენით, ზოგიერთი ექიმი ცდილობს პრაქტიკაში დანერგოს ე.წ. თავდაცვითი (defensive) მედიცინა.

- მართალია, თავდაცვითი მედიცინა გულისხმობს უდიდეს ყორადღებასა და მზრუნველობას პაციენტთან მიმართებაში, მაგრამ ის ასევე გულისხმობს პაციენტთა მხრიდან დიდ დანახარჯებს მიღებული მკურნალობისთვის, რამდენადაც თავის დაზღვევის მიზნით ექიმები ნიშნავენ დამატებით გამოკვლეულებსა და პროცედურებს. თავდაცვითი მედიცინის კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ექიმებს ნაკლებად სურთ გაინაწილონ გალდებულებანი სხვა სამედიცინო პერსონალთან (სამედიცინო დებთან ან ექთნებთან).

მტკიცება, რომ სამედიცინო ეთიკა სოციალურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეთიკის სხვა სფეროები, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ყველა ასპექტი თანაბარი მნიშვნელობისაა.

მაგალითად, ამჟამად სამართლიანობა წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის ტრადიციულ მომენტს. თუმცა საეჭვოა, რომ მედიცინაში ის იმდენად იყოს მნიშვნელოვანი, როგორც ბიზნესსა და პოლიტიკაში, სადაც სამართლიანობის კატეგორია გერბალური მოღვაწეობის დაცარიელებული გარკვეულობაა. ანალოგიურად, ექსპერიმენტები ადამიანებზე ამჟამად, როგორც პრობლემა, უმთავრესად იმყოფება გაცილებით მეტი კონტროლის ქვეშ, ვიდრე ათწლეულის წინ. სამედიცინო ეთიკის ბევრი ისეთი საკითხიც კი, რომელიც ეხება სიკვდილს, მოკვდინებას და აბორტებს, შესაძლოა დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას იმ ზომით, რა ზომითაც მედიცინა წაიწევს წინ ადამიანთა მკურნალობაში ცალკეული წარმატებული შემთხვევიდან სრულყოფილი წარმატებისკენ.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამედიცინო ეთიკის უმთავრესი ზნეობრივ-მორალური ასპექტები, რომლებიც იმსახურებენ უმეტესწილ სოციალურ კურადღებას, შეეხება განური ინჟინერიის საკითხებს. რაც შეეხება სამედიცინო ეთიკის სოციალური მნიშვნელობის სასარგებლოდ ჩვენს მიერ შემუშავებულ არგუმენტებს, ისინი აღქმული უნდა იქნეს არა როგორც აბსოლუტურად ჭეშმარიტი პასუხები დასმულ კითხვებზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც სურვილი, მათ მიმართ დაწინაურებული სოციალური ფენის, პატივცემული მედიკოსების მხრიდან ვიხილოთ სერიოზული პროფესიული დაინტერესების რელაგანტური გამოვლენა.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Maio G., Is etiquette relevant to medical ethics? Ethics and aesthetics in the works of John Gregory (1724–1773), Journal “Medicine, Health Care and Philosophy”, Volume 2, Number 2 / May, 1999.
2. Udwadia F., Ethical problems in medical education, Issues in Medical Ethics, New-York, 1997.
3. Kitchens L., Viewpoint: medical Ethics, Proceedings of Baylor University Medical Centre, 1995.
4. William A. R., Thomson A., A dictionary of medical ethics and practice, London, Publisher: “John Wright & Sons Ltd”, 1977.

### **Irma Bagrationi** **Social Aspects of Medical Ethics** Summary

The paper discusses what defined historically social promotion of medical ethics: Avant-gardism and different types of moral actions in 60-s; the growth of Government difficulties created in medical business; technological achievement existed in medical sphere.

The paper underlines social results of attention established towards medical ethics: By the influence of critics coming from the society existing with the medical sphere, some doctors try to establish the so called defensive medicine in practice. It is true that defensive medicine means the greatest attention and care towards the patient, but it also means enormous expenses from the patient for the received treatment, as to ensure themselves, medics set additional observations and procedures. One more negative result of the defensive medicine is that doctors don't want to share the duties with other medical staff.

The author concludes, that in favour of social importance of medical ethics, arguments worked out by her shouldn't only be perceived as answers to the given questions, but first of all, as the wish – reverend medics' relevant expression of serious professional interest toward this problems.

ირინა ცინცაძე

ბრიგოლ რობაჟიძის შემოქმედება ეპროგლი  
პრესის ზურცლებზე

„გრიგოლ რობაჟიძე პირველი ქართველი მწერალია, ვინც სიცოცხლეშივე გაიკვლია გზა გერმანელი მკითხველისაკენ” – წერდა თომას პოზერმანი რობაჟიძისადმი მიძღვნილ წიგნში „ბედისწერის სიყვარული”.

გ. რობაჟიძე ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და დირსეული წარმომადგენელია. მისმა ნაწარმოებებმა XX საუკუნის ეპროგლ ლიტერატურაში უდიდესი აღიარება მოიპოვა და საკუთარი ქვეყნის მდიდარი ტრადიციები და კულტურა უცხოელ საზოგადოებას აზიარა.

1931 წლის დამდეგიდან იწყება და 1962 წელს მთავრდება გრიგოლ რობაჟიძის შემოქმედების დიდი პერიოდი უცხოეთში, სადაც ის ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდა არა მარტო ქართულ, არამედ გერმანულ ენაზედაც.

გერმანულ ენაზე მის მიერ გამოქვეყნებული მთავარი ნაწარმოებებია: „გველის პერანგი”, რომანი, თარგმანი ავტორისა, სტეფან ცვაიგის შესავალი წერილით, იენა, 1928 წ., „მეგი – ქართველი ასული”, რომანი, ტიუბინგენი, 1932 წ., „ჩაკლული სული”, რომანი, იენა, 1933 წ., „ქალღმერთის ძახილი”, რომანი, იენა, 1934 წ., „წმინდა გრაალის მცველი”, რომანი, იენა, 1934 წ., „დემონი და მითოსი”, ჯადოსნურ სურათთა რიგი, იენა, 1935 წ., „პავკასიური ნოველები”, ლაიფციგი, 1932 წ. II გამოცემა, მაინის ფრანკფურტი, 1979წ (შარაძე, 1991, 174).

გერმანიას შეფარულებული გრიგოლ რობაჟიძე ბრძანებდა, მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს, რადგან პოლიტიკას ვერაფერს შეკმატებს და სულ ტყუილად დაზარალდებაო.

გერმანული ქურნალი „ეხო დერ ცაიტ“ 1933 წლის თებერვლის ნომერში აქვეყნებს წერილს სათაურით: „გრიგოლ რობაქიძე – ერთი ნამდვილი პოეტი“, რომელშიც წერია:

„წესი არაა გენიოსად გამოცხადებულ იქნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლოდ ორი ნაწარმოებით არის ცნობილი გერმანელი მკითხველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამონაკლისი დასაშვებია... რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის გადაქცეული: იგი არის სიმბოლო გამოღვიძებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში შესაფერი ადგილი კვლავ უნდა მოუპოვოს.“

„გველის პერანგი“ და „მეგი“, – ორივეს აქვს ქვესათაურად: რომანი. მაგრამ ისინი გაცილებით მეტი არიან. ისინი წარმოადგენენ გიგანტურ ნახატს ხელახლად წამოზრდილი სულისა, რომელსაც უკან დიდი ტრადიცია აქვს... რობაქიძე ოსტატია შემოქმედების უღრმესი საიდუმლოებისა: იგი არის მოგვი სიტყვისა.“

საინტერესოა გერმანელი კრიტიკოსის, რუდოლფ კარმანის სტატია „გრიგოლ რობაქიძე და მითის აღორძინება“, სადაც ის წერს: „1931 წელს ბერლინში გამოდის გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაქლული სული“ გერმანულ ენაზე, სადაც ევროპელი მკითხველისათვის ააშკარავებს ბოლშევიზმის არსეს და ამ არსები საქართველოს შვილთა ცხოვრებას. ამ რომანში მწერალმა შეჰქმნა გასაოცარი ხელოვნებით „მითიური სახე“ თავისი ონამემამულისა და ანტიპოდებს: ჯუდაშვილი სტალინისა“ (კარმანი, 1964, 17).

იგივე რუდოლფ კარმანი წერდა: „გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას. მაგრამ წლების განმავლობაში მას ჰკლავდა და სულს უფერფლავდა ჯავრი სამშობლოსი... სამშობლოს – საქართველოს სიყვარული გრიგოლ რობაქიძისა და უცხრომელი სულის მარადიული ღელვა იყო. სამშობლო მან დასტოვა ბავშვივით ატირებულმა, და ამ ქვეყნიდან განვიდა

მარადისობაში, საქართველოსთან განშორების ლამაზი სევდით...”

გერმანელი მწერალი ფ. პოიენტში წერს: „გრიგოლ რობაქიძე არის სულით არისტროკრატი, სულიერი მეთაური თავისი ხალხისა. იგი ქართველი ერის სახალხო პოეტია, ისევე, როგორც იყვნენ ესქილე, სოფოკლე, პინდარი და პომეროსი ელადისათვის, დოსტოევსკი და ლესკოვი რუსეთისათვის, გოეთე, პოლდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის. გრიგოლ რობაქიძე მისი პოეტური შემოქმედებით ნამდვილი სახალხო მგოსანია.”

გერმანელი გამომცემელი პეშკე 1936 წელს გრ. რობაქიძისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში „გამოვლინება ელემენტებისა”, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ეპკარტში”, წერდა: „არსებობენ უთვალაფი და სპონტანური საწყისები სამყაროსი, რომელიც გულკანური ძალით ამოხეთქილ მიწის დაჯახებისაგან მომდინარეობენ, რომ ერთ წამს, როგორც ამას მოითხოვს გაჩენის თვით აქტი, მიიღონ სხეულებრივი ფორმა. იმპულსებს, რომელიც ასულდგმულებს რობაქიძის გმირებს, მივყევართ იმ შედარებამდე, რომ ისინი თითქოს სამყაროს ჩასწვდნენ მისი გაჩენის დროს; ისინი არ არიან პიროვნებანი დასავლეთელთა გაგებით, არამედ არსნი, მსგავსნი ბუნების ელემენტთა” (შარაძე, 1991, 174).

ომის წინ, შვედურმა ჟურნალმა **IDUN** – მა ანუტა გამართა: ცნობილ ლიტერატურათმცოდნეთ უნდა დაესახელებინათ სამი უმნიშვნელოვანები წიგნი მსოფლიო ლიტერატურაში. გამოჩენილმა ავტორმა ნეანდერ ნილსონმა ამ სამში გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული” მოაქცია. ეს ფაქტი გრიგოლ რობაქიძის, როგორც მსოფლიო დირექტულების მწერლის დიდ აღიარებაზე მიანიშნებს.

ამრიგად, გ. რობაქიძის შემოქმედებამ დიდი გამოხმაურება პპოვა ევროპაში 30-იან წლებში, განსაკუთრებით, გერმანიაში. მისმა ნაწერებმა საპატიო ადგილი დაიკავა გერმანულ ლიტერატურაში. ამის დასტურია ის უამრავი სტატია, რეცენზია,

ნარკვევი, რომლებიც გამოქვეყნდა ევროპის პრესაში და სადაც  
მოცემულია მის შემოქმედების მაღალ შეფასება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, ობ., 1991.
2. ს. სიგუა, დამარცხებული ბეჭად, გაზ. „მწერლის გაზეთი”, 2003, №32.
3. თ. ჰოიზერმანი, ბეჭისწერის სიყვარული, ობ., 2006.
4. აკ. ბაქრაძე, კარდუ, ობ., 2003
5. კ. სალია, გ. რობაქიძე, რ. კარმანი, გრიგოლ რობაქიძე და მითის აღორძინება, კრებული „ბეჭი ქართლისა”, პარიზი, 1964, №47, გვ. 17.

**Irina Tsintsadze**

### **Activity of Grigola Robakidze on pages of the European newspapers**

#### **Summary**

Grigol Robakidze is one of visible and known representatives of the Georgian emigration of the XX-th century. Its products have obtained a huge recognition in the European literature of the given epoch, have acquainted the European public with rich traditions and culture of Georgia. Products of Grigola Robakidze have occupied a place of honor in the German literature. Vivid examples of it are the set of articles, reviews, sketches which were printed in the European press and in which the appreciation of activity of Robakidze has been given.

## ვ ი ლ ო ს ო ზ ი ა

ირმა ბაგრატიონი

### ხელოვნების სოციოლოგიური ანალიზი პონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიაში

ჩვენთვის საინტერესოა თუ როგორ აფუძნებს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი (1889-1952) სოციალური ესთეტიკის მთავარ პრინციპს – ხელოვნებაზე საზოგადოებრივი ცხოვრების და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ხელოვნების გავლენას, ხელოვნების ძირითად სახეობა მიმართ.

„ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1926) არის კაპანელის პირველი მცდელობა სისტემურად განიხილოს მხატვრული ლიტერატურის განვითარება ორგანოტროპული სოციოლოგიის ძირითადი დებულებების შუქზე. როდესაც ავტორი განსაზღვრავს ამ ნაშრომის „თვალთახედვის პრინციპს“, აღნიშნავს: „ჩვენი წიგნი ერთგვარი ცდაა ქართული შემოქმედების სისტემატიზაციისა ორგანოტროპული სოციოლოგიის თვალთახედვით“ (კაპანელი, 1996:31).

კაპანელი ცდილობს დაასაბუთოს, რომ მსატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების სტილი, ფორმა და შინაარსი არსობრივად საზოგადოებრივი განვითარების რეფლექსია. მისი აზრით, „ქართული სული, განსახიერებული ქართულ ლიტერატურაში, წარმოადგენს ქართველი ხალხის სოციალური განცდების, სურვილებისა და იდეალების მხატვრულ გამოფენას კაცობრიობის ორგანოტროპიულ და კუთხებრივ შემოქმედებათა გადარენაში“ (კაპანელი, 1996:29).

ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურის სოციოლოგიის საწყისებს საფუძველი ჩაუყარა ფრანგული ესთეტიკის წარმომადგენელმა ა. ლ. ჭ. დე სტალმა (1766-1817). საქმე ისაა, რომ მადამ დე სტალმა თავისი წიგნით – „ლიტერატურა განხილულ

საზოგადოებრივ დაწესებულებებთან მიმართებაში“ (1808) – პირველმა აქცია სოციალური ცხოვრების გავლენა მხატვრულ ლიტერატურაზე და ლიტერატურისა ცხოვრებაზე სპეციალური განხილვის საგნად. ავტორის აზრით, „მხატვრული ლიტერატურის ესა თუ ის ხასიათი განისაზღვრება ერის ცხოვრების პირობებით, ქვეყნის ზენობით, ჩვევებით, სახელმწიფო დაწესებულებებით და სოციალური განწყობებით; თავის მხრივ, ლიტერატურა მხატვრული გმირებით გავლენას ახდენს ხალხის გონისა და ზნეობაზე“ (Де Сталь, 1989:39).

საყურადღებოა, რომ კაპანელის მიხედვით, სოციალური ვითარების კონკრეტული სახე და სპეციფიკა ასულდგმულებს მუსიკალურ შემოქმედებასაც. მას მუსიკალური ცხოვრების რიტმი დაჟყავს სოციალური ცხოვრების რიტმზე და მათ შორის პირდაპირ კავშირს ამყარებს. მუსიკალური ხელოვნების სოციოლოგიური ანალიზი მასთან განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დიდი ავსტრიელი კომპოზიტორის ვ. ა. მოცარტის (1756-91) შემოქმედების განხილვისას. თავის ნაშრომში „მოცარტი, ბეთოვენი, ვაგნერი“ (1933) კაპანელი ცდილობს მოცარტის შემოქმედება განიხილოს როგორც არსებული სოციალური ყოფიერების გამოხატულება: „მოცარტის ნაწერებში გარკვევითაა მოცემული საზოგადოებაში გაბატონებული ჯგუფების გემოვნება, გამოსახულია ეპოქის სოციალური არეალი დიდი კლასი გამწარებით ებრძვის ერთმანეთს და ამ ბრძოლის კონკრეტული ისტორიული ფორმა აძლევს მიმართულებას ეპოქის იდეოლოგიას და მასთან ერთად მუსიკის განვითარებას“ (კაპანელი, 1967:9).

აღსანიშნავია, რომ მუსიკალური ხელოვნების ოეორიის განვითარებისთვის სოციოლოგიური ანალიზის აუცილებლობაზე ერთ-ერთი პირველი მიუთითებდა ესპანელი ფილოსოფოსი და ხელოვნების ოეორეტიკოსი ორტეგა-იგასეტი (1883-1955). იგი თავის ნაშრომს „ხელოვნების დეპუმანიზაციის“ შესახებ (1925) იწყებს სწორედ იმის მტკიცებით, რომ მუსიკალური ნაწარმოების გასაგებად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავანაა-

დიზოთ მისი სოციალური ძირები, რომელშიც ის აღმოცენდა. როგორც ორტეგა-ი-გასეტი აღნიშნავს, ხელოვნების სოციოლოგიის არსი მან აღმოაჩინა მაშინ, როცა წერა მოუხდა იმ მუსიკა-ალურ ეპოქაზე, რომელიც იწყებოდა მუსიკაში იმპრესიონიზმის ფუძემდგელი ფრანგი კომპოზიტორით დებიუსით (1862-1918): „ვცდილობდი გამერკვია, რამდენადაც შეიძლებოდა დიდი სიზუსტით, განსხვავება ახალი და ტრადიციული მუსიკის სტილში. ჩემი პრობლემა იყო წმინდა ესთეტიკური ხასიათისა და მაინც, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მოკლე გზა მის გადასაჭრებლად, ეს იყო შესწავლა მთლიანად სოციოლოგიური ფენომენის და, კერძოდ, ახალი მუსიკის არაპოპულარობის“. მისი აზრით, „ჭეშმარიტად გასაოცარია ის მჟიდრო შინაგანი მთლიანობა, რომელსაც ყოველი სოციალურ-ისტორიული ეპოქა ინარჩუნებს თავის ყველა გამოვლენაში და მათ შორის, ხელოვნებაში“ (Орtega-и-Гассет, 1999:377).

კაპანელთან გამომსახველობით ხელოვნებათა სოციოლოგიურ ანალიზს ადგილი აქვს ფერწერის მიმართაც. იგი ხაზს უსვამს ცნობილ ფაქტს იმის შესახებ, რომ XX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ექსპრესიონისტული ფერწერა წარმოიშვა როგორც იმპერიალიზმის ეპოქის უმწვავესი წინააღმდეგობის გამოძახილი: „კაპიტალისტური სამყაროს ნერვული მოძრაობა რევოლუციურ დელვათა შემდეგ ფერების ბორიალებით იხრება ექსპრესიონიზმისკნ; ექსპრესიონიზმი განცდის სტილია, სარკეა სულის სოციალური წვალებისა, სოციალური ცხოვრების შთაბეჭდილებათა მღელვარე თამაშის...“ (კაპანელი, 1989:308).

სახვითი ხელოვნების მიმართ სოციოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, აღსანიშნავია გერმანელი ხელოვნების თეორეტიკოსის ი. ბურკპარდეის ცნობილი წიგნი „აღორძინების კულტურა იტალიაში“ (1860), რომელიც ეძღვნება იტალიური საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის მდგომარეობისა და გემოვნების გავლენას მხატვრობაზე. ავტორის აზრით, „რენესანსის ხელოვნების განვითარება განუკრებლად არის დაკავშირებული იტალიის სოციალური ფონის ცვლილებებთან.

კვატრონჩენტოს მხატვრობა და ეპოქის სოციალური ყოფიერება ჰგავს არა მედალის ორ მხარეს, არამედ თანაზიარ ჭურჭლებს, სადაც სითხის დონისა და შემადგენლობის ცვლილება ერთში გარდაუვალად და საკმაო სისწრაფით აღექვატურად აისახება მეორეში“ (Головин, 2003:97).

ხელოვნების ძირითადი სახეებიდან კაპანელის სოციოლოგიური დაინტერესების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს თეატრის ხელოვნება. ავტორის შეხედულებით, თეატრის საფუძველი, დრამატურგია, თავისი არსებით სოციალურ გრძნობათა თრიგინალური გამოხატულებაა, „რამდენადაც მკითხველში, მსმენელში, მაყურებელში იწვევს თანასახეობით ემოციებს, მონათესავე ინტერესებს“ (კაპანელი, 1996:87). ავტორი ხაზს უსვამს თეატრის მნიშვნელოვან თავისებურებას – შემოქმედებითი აქტის (მსახიობის მიერ სახის შექმნის) მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობას, ამის წყალობით მართებულად აღიარებს აუდიტორიაზე სულიერი ზემოქმედების ამოუწურავ შესაძლებლობებს, თუმცა სპექტაკლის განსაკუთრებული მიზნიდველობის გასაღებს მაყურებელთან მსახიობის ცოცხალი კონტაქტის სოციალიზაციაში ემძეს.

ის გარემოება, რომ კაპანელი თეატრალური ხელოვნების არსობრივ გამოკვლევას ახდენს სოციოლოგიურ ბაზისზე, არ არის შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ სამსახიობო ხელოვნება შორეული წარსულიდან, თავისი არსებობის ყველა პერიოდში, გამორჩეულ სოციალურ დატვირთვას ატარებდა. ასე მაგალითად, ანტიკურ სამყაროში სპექტაკლები ჩვეულებრივ ბუნების წიაღში მიმდინარეობდა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური ნაწილი. შეა საუკუნეებში, თეოლოგიის ბატონობის ეპოქაში, თეატრში განვითარდა რელიგიური უანრი, მისტერია, საეკლესიო დადგმების სახით. ფეოდალურ-აბსოლუტური წყობის დამხობის შემდეგ, ჩნდება დემოკრატიული სასიათოს „ბულგარული“ თეატრები. ფრანგული ბურგუაზიული რევოლუციის შედეგებით საზოგადოების გულგატებით ლობას კი მოჰყვა რომანტიკული თეატრის წარმოშობა. რო-

გორც ჩანს, სამსახიობო შემოქმედების სოციალური ასპექტები ხელოვნების ისტორიაში თითქმის არასდროს არ კარგავდა აქტუალობას და არ ტოვებდა თეატრის სცენას.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ კონსტანტინე კაპანელის მიერ ხელოვნების სახეთა განვითარებისა და ფორმათცვალების ახსნა სოციალური მიზეზებით, რაც ხელოვნების სოციოლოგიის პრობლემების დასმა და გაცნობიერებაა, სიახლეს წარმოადგენდა ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. kapaneli k., filosofiuri Sromebi, Tbilisi, 1989.
2. kapaneli k., qarTuli suli esTetikur saxeebSi, Tbilisi, 1996.
3. kapaneli k., mocarti, beThoveni, vangeri, Tbilisi, 1967.
4. Головин В. П., Мир художника раннего итальянского Возрождения, Серия «Очерки визуальности», Москва, 2003.
5. Орtega-и-Гассет Х., Дегуманизация искусства, Перевод С. Л. Воробьева, Москва, 1991.
6. Сталь А. Л. Ж. де, О литературе, рассмотренной в связи с общественными установлениями, Москва, 1989.

**Irma Bagrationi**

**Sociological Analysis of Art  
According to Konstantine Kapaneli's Philosophy**

Summary

The paper discusses why and how made 20<sup>th</sup> century Georgian philosopher K. Kapaneli sociological analysis of art. “Georgian Spirit in Aesthetic Figures” is Kapaneli’s first attempt to systematically discuss the development of fiction on the background of main principles of Organotropic Sociology. It shows how Kapaneli made the analysis of the 19<sup>th</sup> century’s Georgian fiction analysis sociologically.

The paper underlines, that Kapaneli discusses main principle of art sociology toward music art. According to Kapaneli’s aesthetics painting, sculpturology, graphical art takes such style, that is demanded by the social life interest. Art of theatre is the most special event among Kapaneli’s sociological interest. The whole mixture of the art of theatre – dramaturgy, designer, composer, artist – these are people whose power evaluation should be conducted considering social reality. The author concludes, that Kapaneli made a basis of not only Art Sociology but its separate figures one in Georgian aesthetic thinking.

The paper draws some parallels between Kapanelian conception and Spanish art critic Jose Ortega-Y-Gasset, French theorist of literature M-me Ann Jermena de Stael, Swiss historian of art Jakob Burckhardt’s doctrines on the questions of sociological accents of art.